№ 24. დეკემბრის 31. გამოცემის წელი მეათე. გამომცემლობა „კომუნისტი“. ფასი 40 კ.

# დროშა



აკად. ნიკო მარრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ამხ. ლიტვინოვი ვაშინგტონში — ჩ. ა. შ. შ.



ამხ. ლიტვინოვისა და ჩრდ. ა. შ. შტატების საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივნის კორდელ ხელლის საუბარი თეთრ სასახლეში.

## ამხ. ლიტვინოვი ამერიკაში



ამხ. ლიტვინოვი და ამერიკა-საბჭოთა სავაჭრო პალატის თავმჯდომარე გიუ კუპერ ამხ. ლიტვინოვის საპატივცემულოდ გამართულ სადილზე ჰოტელ „ვალდორფ-ასტორია"-ში.

## ფლორი ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში



25 ნოემბერს მოსკოვში ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიელი ჩემპიონი — ფლორი და საბჭოთა კავშირში შახმატისტთა პირველობაში გამარჯვებული ბოტვინიკი. ნოემბრის 28 კავშირთა სვეტებიან დარბაზში დაიწყო მატჩი. სურათზე — ფლორი.

ფოტო: სოიუზფოტო.



ზემოდ—ფრანკლინ რუზველტი.

## პირველი საბჭოთა დროშა ამერიკაში



ამხ. ლიტვინოვის ამერიკაში ჩასვლის წინა დღეებში მის საპატივცემულოდ ნიუ-იორკის ჰოტელ "სენ-მორიტ"-ზე ამართეს საბჭოთა დროშა. ეს პირველი საბჭოთა დროშაა, რომელიც აიმართა ამერიკაში საზოგადო სახლზე.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ორკვირეული მასიური სამხატვრო პოლიტიკური ჟურნალი

შრომა

რედაქტორის ნახვა შეიძლება ყოველ დღე 12-3 საათამდე. მისამართი: წულუკიძის ქ. 8.

№ 24 ტფილისი, 31 დეკემბერი გაზ. „კომუნისტი"-ს გამ-ბა 1933

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს კომპარტიის მეცხრე ყრილობისათვის

სრულ ორ წელიწადზე მეტმა დრომ განვლო საქართველოს კომპარტიის მე-8 ყრილობის შემდეგ. ამ ხნის განმავლობაში მოხდა უდიდესი ცვლილებები მთელს სახალხო მეურნეობაში. ეს განვლილი პერიოდი ხასიათდება საქართველოს მძიმე და მსუბუქი მრეწველობის მუშაობის გაძლიერებით, სოციალისტური მიწადმოქმედების განვითარებით, მშრომელი მასების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი გაუმჯობესებით და სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტებზე, საწარმოო დავალებათა ბოლშევიკურად განაღდებით.

განვლილი ორი წლის განმავლობაში საქართველოს პარტიული ორგანიზაციების მუშაობას საფუძვლად ედო საკავშირო კომპარტიის (ბ) ც.-კ.-ის 1931 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება ა.-კ. და კერძოდ საქართველოს პარტორგანიზაციების მუშაობის შესახებ. ამ დირექტივების განხორციელებისათვის ბრძოლაში საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებმა მიაღწიეს უდიდეს გამარჯვებებს.

თუ გადავავლებთ თვალს ამ ორი წლის მანძილზე მოპოებულ გამარჯვებებს მრეწველობის ხაზით, დავინახავთ, რომ მე-8 ყრილობიდან დღემდე განვლილი პერიოდი იყო საქართველოს მთელი რიგი ახალი ინდუსტრიალური გიგანტების მომქმედ საწარმოთა რიგებში ჩადგომის წლები: ამუშავდა რიონჰესი—ეს საქართველოს და მთელი ამიერ-კავკასიის სიამაყე ელექტროფიკაციის დარგში; ამუშავდა ფეროშენადნობების უდიდესი ქარხანა ზესტაფონში, რომელსაც ჩვენი მეტალურგიის განვითარების თვალსაზრისით აქვს უდიდესი მნიშვნელობა; ამუშავდა ტფილისში რკინის კონსტრუქციების დიდი ქარხანა, ამუშავდა პირველი შაქრის ქარხანა (აგარის) საქართველოში, რომელმაც გასულ წელს გამოუშვა 250.000 ფუთზე მეტი შაქარი, ამუშავდა ლაქ-საღებავების ფაბრიკა ბათომში, რომელიც გვაძლევს ვალიუტის უდიდეს ეკონომიას. გარდა ყოველივე ამისა, უკვე საძირკველი ჩაეყარა და შენდება: ტყვარჩელის ნახშირის წარმოება, უდიდესი თბოცენტრალი იქვე, ალიუმინის გიგანტი ქუთაისში, მუშეულობის დიდი ფაბრიკა იქვე, ავტოსარემონტო ქარხანა ტფილისში, ფეხსაცმელების ფაბრიკა ტფილისში, ჩაის ფაბრიკების მოწყობილობათა ქარხანა ბათომში და მრავალი სხვა.

ტარდება უდიდესი მუშაობა ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეთა გამოყენების დარგში. გიგანტური ტემპებით იშლება ფართო მოხმარების საგნების გამომუშავება წარმოებათა განვითარება როგორც მსუბუქი მრეწველობის, ისე სარეწაო კოოპერაციის ხაზით; ტარდება უდიდესი მუშაობა სარკინიგზო და ავტოტრანსპორტის გასაჯანსაღებლად.

იზრდება მუშათა კლასის შემოქმედებითი საწარმოო ენტუზიაზმი და აქტივობა, იზრდება სოცშეჯიბრება და დამკვრელობა; იზრდება იზოტოვური მოძრაობა და ყოველდღიურად თვალსაჩინო ხდება მსხვილი სოციალისტური საწარმოების ათვისებისაკენ მობრუნება.



ამხ. ლ. ბერია

რაც შეეხება სოფლის მეურნეობას, აქ ჩვენ საქმე გვაქვს უდიდეს ძვრებთან. თვალსაჩინოდ გაიზარდა სამანქანო - სატრაქტორო სადგურების ორგანიზატორული როლი, საბჭოთა მეურნეობების ხვედრითი წონა. მსოფლიო მუშათა კლასის საყვარელი ბელადის ამხ. სტალინის მოწოდებას ყველა კოლმეურნეობის ბოლშევიკურ კოლმეურნეობებად და ყველა კოლმეურნის შეძლებულად გადაქცევის შესახებ უდიდესი აღტყინებით გამოეხმაურა კოლმეურნეთა და ღარიბ საშუალო გლეხთა მასები. საკმარისია დააკვირდეთ საკოლმეურნეო სოფელს, რომ რელიეფურად გეცეთ თვალში უდიდესი საწარმოო ენტუზიაზმი, საკოლმეურნეო შრომით დაინტერესება, დისციპლინა, პასუხისმგებლობა საზოგადოებრივ საკუთრების დაცვისათვის და წესრიგი, რომელიც საკოლმეურნეო მშენებლობის პირველ წლებში სუსტი იყო.

განვლილი ორი წლის დამახასიათებელი თვისება სოფლის მეურნეობაში ის არის, რომ მოხდა დიდი გარდატეხა კოლმეურნეთა მასების შეგნებაში, შეიცვალა მათი დამოკიდებულება საკოლმეურნეო შრომისადმი, გაიზარდა ხვალინდელი დღის იმედი და გაძლიერდა იმპულსი საკოლმეურნეო წარმოების ამაღლება - განვითარებისათვის.

დღეს საქართველოს კოლმეურნეობებში გამონაკლისს აღარ წარმოადგენენ შეძლებული ცხოვრების გზაზე დამდგარი კოლმეურნენი. უკანასკნელად შეჯამებული ცნობების თანახმად, გასულ წელთან შედარებით კოლმეურნეობებში შრომა-დღეების ანაზღაურება გაიზარდა 70 პროცენტზე მეტით. მარცვლეულის რაიონებში ჩვენ გვაქვს 200-დან 300 ფუთამდე მარცვლეულის მიღება ერთი ოჯახის მიერ.

დიდი გაუმჯობესებაა შეტანილი ტექნიკური კულტურების ფართობის და მოსავლიანობის გადიდების საქმეში. თუ განვიხილავთ ხარისხობრივ მაჩვენებლებს ჩაის დარგში, დავინახავთ ასეთ სურათს: ჩაის პლანტაციების მოსავლიანობა ერთ ჰექტარზე 1931 წლის 500 კილოგრამის ნაცვლად 1933 წლისათვის გაიზარდა 803 კილოგრამამდე. ჩაის მზა პროდუქტების გამოშვება პირველ ხუთწლედის პირველ წელთან შედარებით გაიზარდა ექვსჯერ. ასევე დიდი წარმატებებია მოპოებული თამბაქოს, შაქრის ჭარხლის და სხვა ძვირფას ტექნიკურ კულტურების ხაზით.

უკანასკნელ წლებში საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ჩვენი ქვეყნის სუბტროპიკული ზონის პარტიულმა ორგანიზაციებმა ბოლშევიკურად მოკიდეს ხელი ციტრუსოვანი კულტურების განვითარებას. სულ ახლო მომავალში დასავლეთ-საქართველოს შავი ზღვის სანაპიროები ჩაისთან ერთად მოფენილი იქნება ციტრუსოვანი ხეხილის ბაღებით. კოლხეთის ჭაობების ამოშრობის შემდეგ ეს მხარე გადაიქცევა საბჭოთა კალიფორნიად და ფლორიდად.

ყოველივე ამასთან ერთად, სისტემატიურად ფართოვდება კულტურული მშენებლობა სოფლად. საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღება, თეატრების, კლუბების, კინოების, რადიოს და პრესის ზრდა. ყოველივე ეს კულტურული რევოლუციის გაღრმავებისა და მშრომელთა კულტურული დონის სისტემატიური აწევის ფაქტორებია.

ეს მიღწევები იმის შედეგია, რომ საქართველოს კომპარტიის ც.-კ.-მა ამხ. ლ. ბერიას ხელმძღვანელობით უზრუნველყო იმ შეცდომებისა და გამრუდებების ბოლომდე გამოსწორება, რომელიც დაშვებული იყო ძველი ხელმძღვანელობის დროს. განსაკუთრებით აღსანიშნავია გლეხობისათვის სწორი პოლიტიკურ ხელმძღვანელობის გაწევა, რამაც უზრუნველყო სოციალისტური სექტორის პოზიციების განმტკიცება სოფლად.

მრეწველობის განვითარების, სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის და კულტურული აღმშენებლობის უდიდესი სამუშაოები ტარდებოდა ლენინური ნაციონალური პოლიტიკის მტკიცედ დაცვის პირობებში. ველიკორუსული შოვინიზმისა და ადგილობრივი ნაციონალიზმის ყოველგვარი გამოხატულების ძირშივე აღკვეთის ნიშნის ქვეშ მიმდინარეობდა ბრძოლა ნაციონალურ უმცირესობათა ოლქებისა და რაიონების სამეურნეო კულტურული აყვავებისათვის.

ყველა ამ მიღწევებით ხვდება საქართველოს კომუნისტური პარტია თავის მე-9 ყრილობას.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციები ამხ. სტალინის მითითებათა საფუძველზე კიდევ უფრო მეტი ენერგიით იბრძოლებენ სოციალისტურ მშენებლობის დარგში მოპოვებულ წარმატებათა განმტკიცებისათვის, კულაკური და კონტრრევოლუციონური მენშევიზმის ნაშთების აღმოფხვრისათვის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი ამაღლებისა და უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის.

# გარდაიცვალა შიო მღვიმელი

კაროლო მელაძე

2 იანვარს საღამოს 6 საათზე შიო მღვიმელის ცხედარი ჩაიბარა დიდუბის პანთეონმა. შიო მღვიმელი ქართველ ინტელიგენციის იმ ჯგუფს ეკუთვნოდა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებიდანვე ურყევად დადგა პროლეტარიატის დიქტატურის პლატფორმაზე და ენერგიულ მუშაობას აწარმოებდა საბავშო ლიტერატურის ხაზით. მისი სახით საბჭოთა ლიტერატურის ოსტატთა რიგებს გამოაკლდა საუკეთესო საბავშო მწერალი.

მეტად მრავალფეროვანია შიო მღვიმელის მიერ განვლილი შემოქმედებითი გზა. იგი სამწერლო ასპარეზზე ჯერ კიდევ 90-იან წლებში გამოვიდა და 1933 წლის 24 დეკემბრამდე ხელიდან კალამი არ გაუგდია. იგი სპეციალურად საბავშო ლექსებს წერდა. ამ მხრივ შიო მღვიმელი ქართულ ლიტერატურაში დარჩება, როგორც საბავშო ლირიკის მამამთავარი. მან შეძლო თავისი ლირიკული ნაწარმოებებით ბავშთა ბუნებაში ჩაწვდომა. მისი ლექსები უდიდესი სიყვარულითაა გამთბარი; სწორედ ამით აიხსნება მისი პოპულარობა ბავშთა მასებში. შიო მღვიმელის შემოქმედებაში იყო ისეთი პერიოდი, რომელიც ჰუმანისტური განწყობილებები და რელიგიური მსოფლმხედველობით ხასიათდეოდა.

ამ პერიოდისათვის აღსანიშნავია „ნეიტრალობა“ შ. მღვიმელის თ-მატიკის. შ. მღვიმელი თავის ლექსებში ქადაგებდა კლასობრივ ზავს, ქრისტიანიზმსა და რელიგიურ ფანატიზმს. მისი ლექსები ბავშვებში შებრალების იდეას ნერგავდა. იგი გვერდს უვლიდა კლასთა ბრძოლის გამოხატვას. მას უნდოდა ცხოვრების გარდაქმნა უსისხლოდ, უბრძოლველად. მისი ლექსების უმრავლესობა წელიწადის დროსა და ცხოველთა სამეფოს შეეხება. ყოველი ცხოველი შიო მღვიმელის მიერ დიდი სიყვარულითა და მონდომებითაა აღწერილი. ცხოველი მის შემოქმედებაში ყოველთვის სიბრალულის გრძნობას იწვევს მკითხველში.

*) მღვიმელის ბიოგრაფია და მისი შემოქმედების ვრცელი მიმოხილვა მოთავსებული იქნება ჩვენი ჟურნალის მორიგ ნომერში.
რედაქცია.



შიო მღვიმელი იაკობ გოგებაშვილთან ერთად ჰუმანისტურ და ნაციონალისტურ იდეებს ნერგავდა მოზარდ თაობაში. მის ლექსებში ძალზე დიდი ადგილი უჭირავს ნაციონალიზმის საკითხს. გიყვარდეს ქართველი ერი და სამშობლო — ასეთი იყო შიოს ლოზუნგი; მაგრამ შიო ბოლომდე არ შერჩენია თავის ძველ განწყობილებებს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ დიდი გარდატეხა მოახდინა შიოს შემოქმედებაში. მან შეძლო ნაწილობრივ უკუეგდო ძველი თემატიური მასალა და დღევანდელობის აქტუალურ საკითხებზე გადასულიყო. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში შიო დიდ ინტენსიურ შემოქმედებითი მუშაობას აწარმოებდა; მისი უკანასკნელი ლექსები „შემოდგომა“, „ზოოპარკი“, „ჭიათურა“ და სხვა თანადროულობასთან ახლოს მოსვლის დადასტურებაა. შიო ნელა, მაგრამ გულწრფელად მოდიოდა თანამედროვეობასთან. შიო ბავშვებისათვის გასაგები ენით წერდა. ამ მხრივ ხანიმუშოა მისი ლექსი „ჭიათურა“, სადაც ავტორი ჩვეული ხერხით და სისადავით აუწერს ბავშვებს ჭიათურის მაღაროებს:

„მოუსვენრობს ჭიათურა
აქეთ-იქით, სიგრძე-განით;
პერევისა—მღვიმევ-რგონით.

შ. მღვიმელს არ უყვარს მძიმე და რთული წინადადებები. მისი ენა ჩვეულებრივი სასაუბროცაა.

აი მაგალითიც:

„თოვლი წელს ჭარბად მოვიდა,
როგორც მთად, ისე ბარშია,
მინდვრები თეთრად დაბარდნა,
მთებს შემოავლო არშია.
. . . . .
ღამშვენდებიან ნაყოფით
ყველგან ნათესი ველები
და მეტად გალაღდებიან
მშრომელთ მკლავი და ხელები.
კვლავისათვის უფრო მხნედ დახვდნენ
ტრაქტორით ხოდაბუნებსა
და აავსებენ მოსავლით
ჯერ ბეღლებს, მერე წნულებსა“.

შიო მღვიმელმა ბევრი რამ გააკეთა ქართული საბავშო ლიტერატურის განვითარების საქმეში.

ჩვენმა ახალგაზრდა საბავშო მწერლებმა მისგან ბევრი რამ უნდა ისწავლონ.

შიოს დაკარგვა, მოზარდ ქართულ საბავშო მწერლობისათვის დიდი დანაკლისია. მის ლიტერატურულ მემკვიდრეობას ესაჭიროება შესწავლა. ეს კი იქნება საუკეთესო ძეგლი პირველ ქართველ საბავშო ლირიკოსის — შიო მღვიმელის ხსოვნისა.

## შრომის კულტურის საამქრო



ახალ მარტენოვის საამქრო მაკეევის ქარხანაში. ეს ქარხანა აშენებულია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. ამერიკული ტიპის 150 ტონიანი მარტენები აღჭურვილია სპეციალური აპარატებით, რომლებმაც საზღვარი დაუდვეს „თვალით გაზომვით“ მუშაობას. ქარხანაში მთელი მუშაობა მექანიზირებულია. საამქროს წინ ითელ ანზე ბაღია, და დაგებულია ასფალტი. სურათზე: მაკეევის ქარხნის ახალ-მარტენის საამქრო.
ფოტო: მარკოვის.

# აკად. ნიკო მარრის ცხოვრება და მოღვაწეობა

მიხ. ჩიქოვანი

იქ, სადაც მთებიდან მოხეთქილი რაიონი პირველად ეჯახება ქვემო იმერეთის ჭალებს და ლაგამ ამოდებულივით დუმდება, არის ქალაქის ყურე, რომელიც ადრიდან „ფერმის“ სახელითაა ცნობილი. „ფერმა“ ორი, ერთმანეთის მოპირდაპირე მთაგრეხილს შუა მდებარეობს. ბაგრატის ტაძრის ნანგრევები; მწვანე ყვავილა და ლეჩხუმ-იმერეთის თავ წაკვეთილი მთები; — აი, ის რკალი, რომელთა შორისაც ჩაღრმავებულა „ფერმა“: სუბტროპიკული კულტურების, ძვირფასი წიწვოვნების და სახელოვან ვაზთა აკვანი.

სწორედ, აქ, მაგნოლიების ტყეში,/ 1864 წლის 28 დეკემბერს სუსხიან დღეს ახალგაზრდა გურულ ქალს, მოხუც შოტლანდიელ მებაღისაგან შეეძინა ვაჟი. პატარა ჩვილი, შავტუხა და თვალებ ცქრიალა ნიკო.

აგრონომის ოჯახი სიხარულმა მოიცვა. შოტლანდიიდან წამოსული იაკობ მარრი, რომელსაც ეცხოვრა საფრანგეთში, ისპანიაში, და ოდესაში, ქუთაისში ალტაცებას გრძნობდა: მისი შრომა სასარგებლო ნაყოფს იღებდა: ერთის მხრივ დასავლეთ საქართველოში, მის მიერ დარგული პირველი ჩაის ბუჩქი საუცხოვოდ ხარობდა ხოლო მეორე მხრივ ახალგაზრდა გურული ქალი მშვენიერი მეოჯახე გამოდგა და მერცხალივით ბიჭი უშობნა.!

პატარა მარრი მალე ატიკტიკდა, აიდგა ფეხი და ეზოში სირბილი დაიწყო. ოჯახის დედა თავს ევლებოდა საყვარელ ბიჭუნიას და ყველას უმტკიცებდა, რომ მისი შვილი შავი არ არის, არამედ ბობრია, წაბლისფერ თმიანი და მხოლოდ მზისგან გაშავდა: „ცელქია, მთელი დღე მინდორში დარბის და მზემ დამიწვაო“ — ამბობდა გურული ქალი, მუდამ ჩიტის ბუდეების მაძებარ და მოუსვენარ მოსწრების მიმართ.

ქუთაისი და რაიონის წყნარი დუდუნი ოზურგეთის გაშლილმა ადგილმა და ჭირა ხელმოკლე იაკობ მარრი გურული ფეოდალის სამფლობელოში გადასახლდა და თავისი მოღვაწეობა იქ გააგრძელა: აყენებდა ცდებს ჩაის ბუჩქის გავრცელებაზე, კითხულობდა უამრავ საბუნებისმეტყველო ლიტერატურას და აღრმავებდა უნივერსიტეტში მიღებულ ცოდნას. ცოლი თავს უკეთ გრძნობდა, რადგან თავის სახლობა ახლოს ეგულებოდა და მეზობელ გურულებს შორის ცხოვრობდა... მაგრამ შინაური განათლების მქონე დედას ერთი რამ აწუხებდა. სახელდობრ ის, რომ ქმართან საერთო ენა არ ქონდა: იაკობ მშვენივრად ფლობდა მშობლიურ ინგლისურ და ფრანგულს, ქალი კი მხოლოდ ქართულს. ცოლ-ქმარი და მტვრეული რუსულ-ქართულის ენით ურთიერთობდენ, რაც თავისებურ დაღს ასვამდა მომავლის უდიდეს ლინგვისტს.

პატარა ნიკო მთელი არსებით გურულ ბავშვებთან იყო: ბურთაობდა, ქიდაობდა, მღეროდა, შაირობდა და ჯოხზე შემჯდარი დარბოდა, რომელშიაც მას ტოლი არ ჰყავდა. ნიკო იაკობი-ძეს მარტო ბავშვებთან თამაში არ აკმაყოფილებდა, ის ხშირად საუბრობდა მეჯინიბეებთან, მემინდვრეებთან მოსამსახურეებთან და ისმენდა ქართულ ზღაპრებს, რომლებიც შაჰერაზადას „ათას ერთ ღამესავით“ მიმზიდველი და გამოულეველნი იყვნენ... ზღაპრების გვერდით 6-7 წლის ბიჭი გულდასმით ისმენდა ოსმალო ბავშვების თავ-გადასავალს, რომლებიც „კორდონზე“ დაჭერილნი ბატონის კარზე ცხოვრობდენ. საინტერესოა მშობლების შეფასება. იაკობი ყოველ საღამოს გაიძახოდა: „შენგან არაფერი სახეირო არ გამოვაო“. დედა კი პირიქით, შვილს თავზე ხელს უსობდა და წყნარად ამბობდა: „ჩემი ბიჭიკო გაიზარდება, ჭკუას მოიცემს და სასარგებლო კაცი გახდებაო“. მართლაც, ქმრის შორს მჭერმეტყველობას სძლია ცოლის წინაგრძნობამ.

ნიკომ პირველად ქართული წერა-კითხვა ისწავლა. „მე სამშობლო ენად ქართული ენა მიმაჩნია, უფრო კი გურული კილოო“, ამბობს თავის ნაციონალობის შესახებ ჭაღარა აკადემიკოსი. ამას მოსდევს ფრანგული ენის სწავლა მამასთან და სამაზრო სკოლა, სადაც ცელქობისათვის „უსადილოდ დატოვებული“ ბავშვი ქუდის მოლოდინში იდგა...



რვა წლის ბავშმა დაჰკარგა მამა. 1874 წელს მიწას მიაბარეს მადლიანი აგრონომი იაკობ მარრი. ობლობა პირველ დღეებიდან გაჭირვებით დაიწყო. სიღარიბე და სიმშილი ემუქრებოდა დედა-შვილს. დედის გულმა ვერ გადასწყვიტა შვილის უსწავლელად დატოვება და კლასიკურ გიმნაზიაში ნიკოს მოთავსება მოახერხა. ახალგაზრდა მარრმა გიმნაზიაში გამოიჩინა თავისი ლინგვისტური ნიჭი. მალე, მას იცნობდენ, როგორც საუკეთესო მოწაფე ლათინისტს, ბერძნულის, ფრანგულის, იტალიურის, გერმანულის და ინგლისურის მცოდნეს. „რადგან მე მქონდა კარგი მოწაფის სახელი, გადავდიოდი კლასიდან კლასში, თუმცა უფრო ხშირად ვკითხულობდი წიგნებს, ვიდრე ვამზადებდი გაკვეთილებს„— იგონებს აკადემიკოსი ახალგაზრდობას.

უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწევაო, ნათქვამია ძველთაგან... „მგლის პასპორტის“ კანდიდატი ფეხს მოიტეხს და ექიმების კონსილიუმი მოითხოვს ფეხის მოჭრას. დედამ ენერგიული პროტესტი განუცხადა სპეციალისტებს და ამით შვილი დასახიჩრებას გადაარჩინა. ავათმყოფობა გაგრძელდა, გაცდა ნახევარი წლის მეცადინეობა. ამ დროს სიმშილი ძველებურად იმუქრებოდა. მარრმა გადასწყვიტა სწავლაზე თავის მინებება და ტელეგრაფისტად შესვლა, მაგრამ დედის მტკიცე ნებამ აქაც თავისი გაიტანა. ნაავათმყოფარი ნიკო კვლავ სწავლას უბრუნდება. „მე ვმეცადინეობდი შობის უქმეებზე, ქართულ ქოხში, რომელსაც არ ჰქონდა არც ჭერი, და არც იატაკი, სიცივეში, ცეხლის მკრთალ სინათლეში. მე მოვახერხე მაინც იმცადინეობა და როცა დავბრუნდი გიმნაზიაში, ვაოცებდი ძველ ენების მასწავლებლებს იმით, რომ წინასწარ ვხვდებოდი მათ განმარტებებს“.

ამ დროს „მე გატაცებული ვიყავი ლიტერატურული მოღვაწეობით, ქართულ ენაზე ვწერდი ლექსებს და ვცემდი გაზეთს, რის გამო მე შევეჩვიე ქართული სიტყვის ტეხნიკას, რომელიც შემდეგში გადაიქცა ჩემი სპეციალობის საგნად. მაგალითად, მე მოვათავსე ქ. ბათომის სახელწოდების განმარტება სხვა საგაზეთო წერილების რიცხვში, ე.ი. გაბედულად ვამუშავებდი საკითხს ისტორიული ტოპონიმიკიდან, რომელიც გადაიქცა ჩემს სპეციალობად უკანასკნელ წლებში. „მხატვრულად გადმოგვცემს ამ პერიოდს თავის ავტობიოგრაფიაში დამსახურებული მეცნიერი.

ამავე პერიოდს ეკუთვნის, **აკაკი წერეთლის** მიერ ალექსანდრე მეორეს მოკვლის შესახებ დაწერილ ლექსის საპასუხოდ, ადგილობრივ გაზეთში გამოსვლა, სადაც 16-17 წლის მარრი „ჭიკჭიკის“ მაგიერად „მოქმედების“ დევიზს იძლეოდა.

მომავლის გენიალურმა ენათმეცნიერმა თავის ძიებაში დაამთავრა გიმნაზია: ხან ბუნებისმეტყველებით გატაცება და ლიტერატურა; ხან მედიცინა და ფილოლოგია; უდიდესი შესაძლებლობის მქონე პატარა ნატურა ძალთა მოზღვავებას გრძნობდა და კაცობრიულ ცოდნის მრავალ დარგთა შორის ირხეოდა.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ნიკომ საბოლოოდ გადასწყვიტა აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტზე შესვლა. განზრახვა სისრულეში მოიყვანა. 1884 წელს სახელმწიფო ხარჯით მიემგზავრება მაშინდელ პეტერბურგს.

ახალი გარემო. ახალი წრე და შემადგენლობა. ენერგიით აღსავსე ახალგაზრდა დამკლავებული სწავლობს მრავალ ენებს, არაბულს, სპარსულს, თურქულს, ოსმალურს, ებრაულს, სირიულს, კავკასიის ენებს და სანსკრიტს. ამხანაგები და ყოფილი მასწავლებლები ამ ნაბიჯს ცუდათ შეხვდენ „ნუ მარხავ შენს ნიჭს — ეუბნებოდენ ისინი, — რა უნდა გამოხვიდე იქიდან? ქართული ენის მცოდნე? ერთი სიტყვით სოფლის მასწავლებლის მეტი არაფერი იქნებიო“-ო. მამის მიერ გადმოცემულმა დაუღალაობამ, ცოდნისადმი სიყვარულმა, ხოლო დედის ნაანდერძევმა მტკიცე ნებისყოფამ და ტემპერამენტმა სძლია უიმედობა. მარრი არ გაყვა ფეხის ხმას და ერთხელ დასახულ მიზანს კვალში ჩაუდგა.

შემოქმედებითი აღმაფრენამ, შორეულ ქრონებათა წარმომადგენლების მიერ წარმოშობილ ახალგაზრდაში, ადრე აიდგა ფეხი. გიმნაზიაში ლიტერატურული პოეზია, ტოპონიმიკაში მუშაობა და ისტორიით გატაცება, უნივერსიტეტში უფრო ღრმავდება და დახვეწილ ხასიათს იღებს.

ნაციონალურ უმცირესობის — ქართველობის, წარმომადგენელი სამშობლო ენაზე ფიქრობს. ადარებს მას მისთვის ცნობილ სემიტურ და აღმოსავლურ ენებს, და იქ ისახება უდიდესი მისწრაფებაც, რომელიც შემდეგ მეცნიერული მუშაობის მთავარ პრობლემად იქცა. ეს იყო ქართული ენის წარმოშობა, მისი სხვა ენებთან ურთიერთობა, და „კულტურული შუბლი“. ბედნიერმა შემთხვევამ მიიყვანა მარრი ამ პრობლემამდე და წინ მეტის-მეტად დიდი საჭირნახულე ველი გადაუშალა, რომლის მოხვნა-მოთესვა მხოლოდ მარრის ინტუიციის მქონე ადამიანს თუ შეეძლო!

„188. წელს—არაბული ენის შესწავლის დროს მე გამაოცა ქართული ენის ნათესაობამ სემიტურ ენებთან. ჩემს განცხადებას ამის შესახებ ძალიან სკეპტიკურად შეხვდენ. ცნობილი ორიენტალისტი როზენი (არაბისტი) მიწინასწარმეტყველებდა სრულ დამარცხებას, ის ამბობდა: რომ ეს მართალი ყოფილიყო, ისინი არ დაუცდიდენ კავკასიიდან ვინმეს ჩამოსვლას, და ეს დიდი ხანია ცნობილი იქნებოდა. ამხანაგებიც არ შეხვდენ უკეთესად ჩემგან დასმულ პრობლემას“. აქ კვლავ ძველი ისტორია განმეორდა. ქართული, — კოლონიალური და „ძაღლის ენა“, რუსეთის იმპერიის დიდმპყრობელებისაგან ერთხელ კიდევ ჩაქოლილ იქნა. ბურჟუაზიული ენათმეცნიერება შესანიშნავად ასრულებდა თავისი კლასის დავალებებს. ქართული ენისათვის და საერთოდ კავკასიურ ენებისათვის არ არსებობდა ადგილი ევროპული „კულტურული“ ენების გვერდით. მაგრამ ერთხელ წამოჭრილმა პრობლემამ სტუდენტს ძილი დაუფრთხო. მარრი მეტის სერიოზულობით შეუდგა მუშაობას. შემოიკრიბა ამხანაგები, რომელთა შორის პირველი ისევ კოლონიალური საქართველოდან გამოსული მოძმეები ყვნენ, მათ მიზანს ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ბრძოლა შეადგენდა. აი, როგორ გადმოგვცემს ამას მოხუცი მეცნიერი:

„მე იძულებული ვიყავი უფრო ღრმად შემესწავლა სემიტური ენები და ამ დარგის ლინგვისტური ლიტერატურა. კავკასიელ სტუდენტების ნაციონალურ წრეში ყველაზე ადრე მხარი ქართველებმა დამიჭირეს, რომლებიც გიმნაზიიდანვე ნდობით მიყურებდენ“.

ერთხელ აკვიატებული აზრი სრულ ყოფას ნახულობს. 1888 წელს, „ქართულ ენაზე „ივერიაში“ პირველად მოეწერა წერილს ბოლოში „ნ. მარრი“. წერილს ასეთი სათაური ჰქონდა: „ბუნება და თვისება ქართული ენისა“. „ეს შრომა დაწერილი იყო ფარულად“, გადმოგვცემს ავტორი. წერილში დაგმობილ იყო ინდოევროპეისტთა შეხედულებანი ქართულ ენის შესახებ და წამოყენებულ იქნა ახალი პრინციპი, რომელიც სრული სახით 1903 წელს სადოქტორო შრომაში მოგვევლინა: „ძველი ქართული ენის გრამატიკის ძირითადი ტაბულები და წინასწარი ცნობა ქართული ენის ნათესაობის შესახებ სემიტურ ენებთან“.

1890 წელს ვერცხლის მედალზე უნივერსიტეტდამთავრებული მარრი დასტოვეს სამეცნიერო სამუშაოზე, ხოლო 1891 წ. დაინიშნეს პრივატ-დოცენტად. 92-93 სამოსწავლო წელში ნ. მარრი იწყებს ლექციების კითხვას სომხურ სიტყვიერებაში და იმავე წელს მიემგზავრება ანში არქეოლოგიური გათხრების ჩასატარებლად. ამ მუშაობამ ახალგაზრდა მეცნიერს სახელთან ერთად ბევრი მტერიც შესძინა: ერთი მხრით ნაციონალისტურ ინტელიგენციაში „იწრდებოდა უკმაყოფილება იმის გამო, რომ მე ვამტკიცებდი ქართული მწერლობის კავშირს სპარსულ მწერლობასთან და „ვეფხის ტყაოსანის“ ფაბულის წარმოშობას სპარსულიდან“. ხოლო მეორე მხრივ „კავკასიის სამოსწავლო ოლქის ანტი-ეროვნული პოლიტიკა ქართული და სომხური ენების შესწავლას ნაციონალისტურ მტრობის აქტად სთვლიდა და კავკასიის ხალხთა შორის იდეოლოგიურ განხეთქილებათა დათესას ცდილობდა“. („ჩემი ავტობიოგრაფია“).

უდიდესი მეცნიერული ინტუიციისა და ნიჭის წყალობით ნ. მარრის სახელი ყველასათვის ცნობილი გახდა. სამეცნიერო ასპარეზი თანდათან გაფართოვდა და მაღალ საფეხურზე ავიდა. 1901 წელს გახდა პროფესორი, ხოლო 1909 წელში აირჩიეს სამეცნიერო აკადემიის წევრად.

ოქტომბრის რევოლუციამ მარრის თეორიას სრული გასაქანი მისცა. ახალ ლინგვისტიკას მხოლოდ საბჭოთა პირობებში შეეძლო ნამდვილი განვითარება და ასეც მოხდა. აკ. ნ. მარრი საბოლოოდ ემიჯნება ძველ იდეოლოგიას, დგება მარქს-ლენინის თვალსაზრისზე და 1930 წელში შედის კომუნისტურ პარტიაში.

1930 წელს დამსახურებული აკადემიკოსი არჩეულ იქნა საბჭოთა კავშირის სამეცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად. სამეცნიერო მოღვაწეობის გვერდით მარრი ეწევა უდიდეს საზოგადოებრივ მუშაობას. 1927 წლიდან ის არის ლენინგრადის საბჭოს წევრი; რ.ს.ფ.ს.რ. განსახკომის სამეც. საბჭოს წევრი, სიძველეთა დაცვის კომიტეტის წევრი ს.ს.რ.კ. ცაკთან, სსრკ ცაკის წევრი „ვარნისტოს“ ც. საბჭოს წევრი და სხვ. ამავე დროს აკადემიკოსი მარრი არის მთელი რიგი სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტების და დაწესებულებების ხელმძღვანელი. მათ შორის საქ. სამ. აკადემიის ა.-კ. ფილიალის დირექტორი და საქართველოს სახუნტის კათედრის გამგე.

ნ. მარრი მონაწილეობდა მრავალ ექსპედიციაში. იმგზავრა ათონზე, სინას მთაზე და შემოიარა აღმოსავლეთის და დასავლეთ ევროპის მრავალი ქვეყანა.

ქალარა აკადემიკოსი ნ. მარრი უდაოდ ფენომენს წარმოადგენს ლინგვისტიკის ისტორიაში. არ არსებობს ლინგვისტიკაში ისეთი საკითხი, რომელზედაც მარრს თავისი შეხედულება არ წამოეყენებინოს. არ არსებობს მატერიალური კულტურის, ფილოლოგიის, ფოლკლორის, კავკასიის ერთა ლიტერატურისა და კულტურის განვითარების ძირითადი საკითხები, რომლებსაც არ შეხებოდეს მისი მრავალრიცხოვანი შრომები.... ყველაფერი ეს შედეგია არა კაბინეტური და ძველი ბურჟუაზიული მეცნიერული მუშაობის სისტემისა და მეთოდოლოგიის, არამედ ახალი, მეცნიერული მუშაობის პროლეტარული გზის. პროლეტარიატის იდეოლოგიის გზით სვლის; რომელმაც მოგვცა კომუნისტი-აკადემიკოსი და მარქსისტული ენათმეცნიერება.

**„ყველა ჩემი შემოქმედებითი ენათმცოდნეობის იდეები არიან შედეგი არა კაბინეტური მუშაობისა, არამედ ჩნდებოდენ და ვითარდებოდენ უშუალო კავშირის გამო ბუნებასთან და ადამიანებთან ქუჩებში, მოედნებზე, უდაბნოებში და ზღვებზე; მთებში და ტრამალებში; მდინარეებთან და წყაროებთან, ცხენზე და ვაგონში; ყველგან, მხოლოდ არა აკბინეტში“.** ასეთია ჭეშმარიტი გზა მეცნიერის ახალი ტიპისა. ეს გზა სახელოვანმა მეცნიერმა ბრწყინვალედ გაიარა და კვლავაც აგრძელებს. დღეს, ის 45 წლის მეცნიერულ მუშაობის ასპარეზს იძლევა და მომავალ გამარჯვებებზე გვიამბობს.

დღეს, საბჭოთა კავშირის მუშათა კლასს თამამად შეუძლია იამაყოს, რომ მას ყავს ასეთი გიგანტი მარქსისტი ენათმეცნიერი, და უთხრას ბურჟუაზიას:—თქვენ წარმოშვით ბოპპი, გუმბოლდტი, შლეიხერი, გრიმები, მეიე და დე, სოსიური. შექმენით თქვენი იდეოლოგიის შესაფერისი ენათმეცნიერება, მაგრამ ჩვენც არ ვართ ჩამორჩენილნი. ჩვენ გვყავს კომუნისტი ენათმეცნიერი აკად. ნ. მარრი და მთელი რიგი ახალგაზრდა მეცნიერები, რომლებიც ქმნიან და ანვითარებენ დიალექტიურ მატერიალიზმზე დაფუძნებულ ნამდვილ ენათმეცნიერებას.

## II.

აკად. ნ. მარრი მეცნიერულ მოღვაწეობის გრძელ მანძილზე განვითარების სხვადასხვა საფეხურები გაიარა. ახალი ენათმეცნიერული მოძღვრება, იაფეტიდოლოგია თავიდანვე როდი ყოფილა იმ სახით, როგორიც დღესაა. ოდესღაც ურყევად და განწირულად მიჩნეული იდეები დასრულდენ, დაუკარგდენ და მსოფლიო აღიარება მოიპოვეს. ამჟამად ნ. მარრის მიერ შექმნილ თეორიას იცნობენ, არა საბჭოთა კავშირში, არამედ საბჭოეთის გარეთაც. გერმანიაში და საფრანგეთში, ინგლისში და ამერიკაში.

იაფეტიდოლოგია არის ახალი მეცნიერება ენის შესახებ. ადამიანის მეტყველების წარმოშობის, განვითარების და მომავლის შესახებ. აკად. მარრის ძირითად საკვლევ საგანს მუდამ ადამიანის მეტყველება შეადგენდა. ის კვლავაც ცენტრალურ საკითხად რჩება.

იაფეტიდოლოგია წარმოიშვა ბურჟუაზიული ინდო-ევროპეისტიკის გარშემო და განვითარდა, როგორც მისი ანტითეზა. ვიდრე 19 საუკუნემდე ენაზე მეცნიერული სისტემატიური სწავლება არ არსებობდა. ბურჟუაზიამ სხვა დარგთა გვერდით შექმნა თავისი შეხედულებათა სისტემა მსოფლიოს ყველა ენების შესახებ, რომელიც დაფუძნებულია ე. წ. შედარებითი და აღწერითი იდეალისტურ მეთოდებზე.

ინდო-ევროპეისტიკა მსოფლიოს ენებს განიხილავს, როგორც ერთ ან რამდენიმე **პრაენის** (პირვანდელი ენა) ნაყოფს და იძლევა მათ „ნათესაობრივ“ ოჯახებად დაყოფას. დაყოფა დამყარებულია „რასიულ თეორიაზე“. ენათა სამი ოჯახი „ინდო-ევროპული“, გერმანელები, ინდო-გერმანულს ხმრობენ, ქამიტური და სემიტური მიკუთვნებული იქნენ „თეთრ რასაზე““; უგრო-ფინური, თურქული, მონგოლური, მანჯურიული და პალეო-აზიური „ყვითელ კანიან“ რასაზე; ეს უკანასკნელნი თურმე ბურჟუაზიის საექსპლოატაციოთ გაჩენილან და მაშასადამე მათი კავშირი და ნათესაობა ინდო-ევროპულ, „კულტურულ“ ერების ენებთან შეუძლებელი იყო, რადგან ეს იქნებოდა წმინდა ბატონის შეურაცყოფა!

ინდო-ევროპეისტიკა ფაქტიურად ენას განიხილავს, როგორც არაკლასიურ და არა სოციალურ მოვლენას. ბურჟუაზიული სწავლება ენაზე წარმოადგენდა და წარმოადგენს ბურჟუაზიის საუკეთესო საშუალებას მრავალ მილიონიანი მასების საყვლეფად: საილუსტრაციოდ საკმარისია გავიხსენოთ თვითმპყრობელ რუსეთის ენობრივი პოლიტიკა ნაც. ენებისადმი, უკრაინულისა და ქართულისადმი და ყველაფერი ნათელი იქნება. ზემო თქმულიდან აშკარად გამომდინარეობს, რომ ინდო-ევროპეისტიკა არ არის ჭეშმარიტი ენათმეცნიერება, არამედ მარრის სამართლიანი გამოთქმით რომ ვსთქვათ იგი კლასიკური ფილოლოგიაა.

იაფეტიდოლოგია ინდო-ევროპეისტიკის ანტითეზაა. ის სისხლით და ხორცით მოწინააღმდეგე ბურჟუაზიული შედარებითი იდეალისტური მეთოდის. ამის დასამტკიცებლად საკმარისია მოვიყვანოთ საფრანგეთის გამოჩენილ ლინგვისტის **ვანდრიესის** შეხედულება: იაფეტიდოლოგიური თეორია „ეწინააღმდეგება ძირითად პრინციპებს, რომელზედაც დღემდე დაფუძნებულია ინდოევროპული ენების შედარებითი გრამატიკა“. ამას აღიარებს თვით ბურჟუაზიული ენათ-მეცნიერი. ბურჟუაზიის იდეოლო-

ბები კარგად გრძნობენ მარრის თეორიის კლასიკურ შინაარს და შესაფერისად აფასებენ მას.

აკად. ნ. მარრი, წინააღმდეგ ყველა ევროპის ენათმეცნიერებისა (**ბოპპი, გუმბოლტი, შლეიხერი, ძმ. გრიმები, დე-სოსიური, მეიე და სხვა**) ენას განიხილავს, როგორც სოციალურ ზედნაშენს. ენა არ არის ბიბლიური წარმოშობის, ის ადამიანისათვის არავის უჩუქებია. ენა ადამიანმა თვით შექმნა შრომის პროცესში, როგორც პრაქტიკული რეალური ურთიერთობის საშუალება. ენა „წარმოიშვა ადამიანთა შორის ურთიერთობის მოთხოვნის" ნიადაგზე. **(მარქს-ენგელსი)**. ამ ჭეშმარიტებას სრული სიცხადით ამტკიცებს აკად. ნ. მარრი უამრავ კონკრეტულ მასალებზე დაყრდნობით.

ენა არ არის უძრავი, გაყინული და გაქვავებული. ენა ვითარდება და წინ მიდის; განვითარება განსაზღვრულია საზოგადოებრივი ეკონომიურ-პოლიტიკურის სტრუქტურით. პირველყოფილმა „ადამიანმა" თავიდანვე როდი იცოდა ლაპარაკი, მისი სამეტყველო ორგანოები იმ თავითვე როდი იყო სამეტყველოდ მოწყობილი. ბგერითი მეტყველება წარმოიშვა ისტორიულად განსაზღვრულ სტადიაზე; ძალიან შორეულ წარსულში. ბგერითი მეტყველებამდე ადამიანები (მგონია უკეთ, გაადამიანურების გზაზე მდგომი მაიმუნები) ურთიერთობდნენ, გადასცემდნენ თავიანთ აზრს ერთმანეთს. აზრთა გადაცემა; ნიშნება ხდებოდა **ხელის ანუ კინეტიური ენის** საშუალებით. „ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში (არა ნაკლები 300.000 წლისა) ანთროპოლოგების სიტყვით ადამიანები საურთიერთოდ სარგებლობდნენ ჟესტებს, მიმკას"), აკად. ი. **მეშჩანინოვი** „იაფეტოლოგია და მარქსიზმი"), ხელის ენის პერიოდი ხანგრძლივი იყო, ის ძველ ქვის ხანას და მის წინა პერიოდს ფლობს, რადგან მაშინ ადამიანის კულტურული წინსვლა ძალზე ნელი ნაბიჯით მიმდინარეობდა. „ენა შემთხვევითი ჯილდო როდია, არამედ გამომუშავებულია საკმაო წვალების და ხანგრძლივი გზით თვით ადამიანის შრომითი ქმედობის პროცესში". (მეშჩანინოვი).

ნ. მარრმა უკუ აგდო რასიული თეორია. ენის პალეონტოლოგია ისე შორს მიდის, რომ რასებზე ლაპარაკი შეუძლებელია. იაფეტიდოლოგიამ დაამტკიცა, რომ სიტყვის შემოქმედების პროცესი მთელ მსოფლიოში ერთგვარად სწარმოებდა... საზოგადოებრივი კოლექტივები სხვადასხვა ენებზე ლაპარაკობდნენ, მრავალი ენა არსებობდა... განსაზღვრულ სტადიაზე ხდებოდა კოლექტივების სამეურნეო გაერთიანება ან დაპყრობის ერთისა მეორისაგან, ანალოგიურად სწარმოებდა ტომთა ენების შეჯვარინება და იქმნებოდა ახალი ნარევი ენები. ეს პროცესი ხანგრძლივია და ჯერაც დაუმთავრებელია. ამ კანონის თანახმად ენათა განვითარება მრავლიდან ერთისაკენ მიდის ისე როგორც ადამიანთა საზოგადოება ერთ სამეურნეო სისტემისკენ მიისწრაფვის, პირამიდა წვერით კი არ სდგას, არამედ ფუძით! „**მომავალი მთლიანი მსოფლიო ენა, იქნება ენა ახალი სისტემისა, განსაკუთრებული, აქამდე არ არსებული, როგორც მომავალი მეურნეობა თავისი ტექნიკით, მომავალი უკლასო საზოგადოებრიობა და უკლასო კულტურა. ასეთ ენად, ბუნებრივია, არ შეიძლება გახდეს არც ერთი დღეს მსოფლიოში თუნდაც ყველაზე გავრცელებული ცოცხალი ენა**". (ნ. მარრი, იაფეტური თეორია).

კლასიკური ფილოლოგიის და მისი „სოციალოგიური" მიმდინარეობის საწინააღმდეგოდ იაფეტიდოლოგიამ დაამტკიცა, რომ **ენა კლასობრივი იარაღია**. ისე როგორც სხვა ზედნაშენობრივი დარგები: ფილოსოფია, ხელოვნება, სამართალი.... არა მარტო კლასიურია, არამედ კლასიური წარმოშობისაც. არ არსებობს ერთი მთლიანი ქართული, რუსული, გერმანული, ან ფრანგული ენა,—არამედ არსებობს ამავე ნაციონალობის სხვადასხვა კლასების სალაპარაკო ენები, ძველი ქართული ლიტერატურული ენა ე. წ. ნუსხა-ხუცური დამწერლობა არ არის მე-11—12 საუკუნის მთელი ქართველი ერის სალაპარაკო და სამწერლო ენა, არამედ იგია მაშინდელი ექსპლოატატორი კლასის,—ფეოდალური არისტოკრატიის და სასულიერო წოდების სალაპარაკო ენა. საერთოდ, მარრს არა კლასიური ნაციონალური ენის ძიება ფიქციად მიაჩნია.

ენობრივი მასალების კვლევამ მარრის მიერ დაყვანებულ იქნა სრულიად ახალ პრინციპზე. იაფეტიდოლოგია უარყოფს ინდოევროპეისტიკის, მან მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ნიადაგზე გადაჭრა ძირითადი საკითხები და ამით შექმნა ახალი, ნამდვილი მეცნიერება ენის შესახებ. ნ. მარრი ენას სწავლობს იმ ბუნებრივ-ისტორიულ პროცესში, რომელშიდაც ვითარდებოდა კაცობრიობა და ცხადია მასთან ერთად ის, რაც თვით ადამიანმა შექმნა პრაქტიკული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. იაფეტიდოლოგიის სახელმძღვანელო მეთოდს დიალექტიკური მატერიალიზმი წარმოადგენს.

მრავალ პრობლემათა გვერდით მეტად აქტუალური და მნიშვნელოვანია იაფეტიდოლოგიის ენობრივი პოლიტიკა, რომელიც ემთხვევა ლენინურ პარტიის ნაციონალურ პოლიტიკას. **ლენინი** ენას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. ეს ნათლად ჩანს მის ცალკეულ გამოთქმებიდან და განსაკუთრებით იქ, სადაც აკრიტიკებს **ლასალს, ჰერაკლიტეს** ფილოსოფიის განხილვაში. ამ ადგილზე ლენინი შემეცნების ისტორიის გარკვევისათვის დიდ როლს აკუთვნებს ენას და სწერს. **„ენის ისტორია** № B.

სიტყვა ენა ლენინის მიერ ხაზგასმულია და გვერდში უდგას ფილოსოფიის, ცალკე მეცნიერების, ბავშვის და ცხოველთა გონებრივ განვითარების ისტორიას. (იხ. ლენ. კრ. 12, გვ. 314).

ენაზე ახალი მატერიალისტურ-დიალექტიური მეცნიერების, ე. ი. იაფეტიდოლოგიის მნიშვნელობა, კიდევ უფრო გასაგები იქნება თუ თვალს გადავავლებთ გამოჩენილ მეცნიერთა და მოღვაწეთა შეფასებას.

**იაფეტიდოლოგიის შეფასება ევროპაში.** აკად. ნ. მარრის მოღვაწეობა ევროპაში კარგა ხანია ცნობილია. მის შესახებ ევროპაში ცხარე კამათია. მოკამათეთა ნაწილი მარრის მხარეზე დგას; ნაწილი, კი გმობს მას და ბოლშევიზმის იარაღად თვლის. მარრის მოღვაწეობის ადრინდელი პერიოდი, სანამ ის ვიწრო სპეციალურ საკითხებს ეხებოდა, ევროპის ფართო მკითხველისათვის შეუმჩნეველი იყო. მაგრამ როდესაც მარრმა გადალახა კომპარატივიზმი და წამოაყენა სიტყვაშემოქმედების პროცესის მთლიანობის საკითხი, როცა წინა პლანზე გამოვიდა ისტორიზმი, სტადიალობა და ენის წარმოშობის მარქსისტული ახსნა, როდესაც გამოქვეყნდა „იაფეტური კავკასია და მესამე ეთნიური ელემენტი ხმელთა შუა ზღვის კულტურაში", მარრის თეორია ცნობილი ხდება ფართო მკითხველისათვისაც. ინდო-ევროპეისტიკის რჩეული მიმდევრები, მათ შორის მეიე (დასწერა რეცენზია ნ. მარრის შრომაზე: „ძველი სომხური ენის გრამატიკა"), მკაცრი კრიტიკით გამოდიან და უწოდებენ მას მეცნიერებაში „რისკზე წავლას". ევროპის სწავლულთა პროგრესიული ნაწილი მარრის თეორიას მიმართავს მსგავსი პრობლემების გადასაწყვეტად. ლეიპციგის პროფ. ბრაუნი იაფეტიდოლოგიას იყენებს გერმანული ენების წარმოშობის ასახსნელად.

იაფეტიდოლოგიის განვითარების უკანასკნელი ეტაპი სასტიკ წინააღმდეგობას იწვევს ბურჟუაზიულ ლინგვისტთა ბანაკში. „სოციოლოგიური სკოლის" წარმომადგენელმა მეიემ აკად. ნ. მარრთან კამათში განაცხადა: **„თუ ბურჟუაზიული მეცნიერება იმაში მდგომარეობს, რომ ის ხედავს ფაქტებს ისე, როგორადაც სინამდვილეში არიან, მაშინ მე ვღებულობ ბრალდებას ბურჟუაზიულობაში"-ო.** ყველასათვის უდავოა თუ როგორ ხედავს ბურჟუაზიული მეცნიერება ფაქტებს, ამიტომ ჩვენ აქ სათქმელო სიტყვას არ გავაგრძელებთ. შემთხვევით არ არის ის ფაქტი, რომ ინგლისელი კონსერვატორი პარლამენტის წევრი ალლენსი იაფეტიდოლოგიის წინააღმდეგ გამოვიდა „ტაიმში" და მას უწოდა „ბოლშევიზმის რუპორი". მეცნიერების და პოლიტიკური მოღვაწეების თანხვედრილობა ერთხელ კიდევ ცხადყოფენ მარრის მოძღვრების რევოლუციონურ როლსა და მნიშვნელობას. სხვებთან ერთად აღსანიშნავია აგრეთვე შვედელი ლინგვისტის **შელდის** გამოსვლა მარრის წინააღმდეგ.

მარრმა ენათმეცნიერებაში რევოლუცია მოახდინა. მან დაანგრია ბურჟუაზიული ლინგვისტიკის ციხე-კოშკი და ძველის ნანგრევებზე ააშენა ნამდვილი მეცნიერება, „იაფეტიდოლოგია" არ არის „იაფეტიდოლოგია" ძველი გაგებით. დღეს ის ახალი მოძღვრებაა. ის წარმოადგენს შენობას, რომლის საუკეთესო ოსტატი მცხოვანი მეცნიერი ნიკო მარრი უდიდესი ენთუზიაზმით დაჰქრის მონუმენტალურ შენობაში.

აკად. ნ. მარრი 45 წლის დაუღალავი, შეუნელებელი შრომის და განსაკუთრებული ნიჭის მეოხებით კაცობრიული კულტურის მწვერვალზე ავიდა. მან შექმნა „რკინის იარაღი", რომელიც პროლეტარიატის საჭურველს შეადგენს, მან შექმნა თეორია, რომელსაც ენგელსი ყველას აწავლიდა, რომ ახლა ცოცხალი ყოფილიყო; მან შექმნა ახალი ენათმეცნიერება, რომელიც ბურჟუაზიის საფრთხობელას წარმოადგენს; მან შექმნა რევოლუციონურ-ინტერნაციონალური თეორია, რომელიც ლახვარს სცემს ყოველგვარ ნაციონალიზმს, შოვინიზმს და პატრიოტიზმს. **აკად. ნ. მარრი მარქსისტი მეცნიერია და განსაკუთრებული ლინგვისტური მოღვაწეობისათვის საკ. ცენტრ. აღმ. კომიტეტმა ის დააჯილდოვა უმაღლესი საჩუქრით, ლენინის ორდენით.**

შეუნელებელი ტემპერამენტი კვლავ დუღს. ჭაღარა აკადემიკოსი კვლავ მოწოდების ხმაზე გაიძახის, ის კვლავ მასებს მოუწოდებს მეცნიერების ციხე-სიმაგრის ასაღებად. „საქმიანად დავიმკლავოთ ხელები გიგანტური მუშაობისათვის და შესაძლებელი იქნება ახალის აშენება, და ძველის ულმობელი ნგრევა. მიზანი ცხადია,—მომავალი კაცობრიობის მთლიანობა, როგორც სიტყვაში, ისე მეურნეობაში და საზოგადოებრიობაში; ცხადია აგრეთვე ჩემი სპეციალობის აქტუალური და ძირითადი პრობლემა: მეტი სისწორით გამორკვევა სიტყვის წარმოშობისა და გაუმჯობესება მისი ცალკეული სახეებისა, რომ შეგნებულ და მიზანშეწონილ ტექნიკით გაადვილებულ იყოს კაცობრიობის ურთიერთობის საუკეთესო მთლიან იარაღის წარმოშობა, კოლექტიურად და შეგნებულად დასრულებული იყოს ის, რაც კოლექტიურად —ინსტიქტიურად გაჩნდა და იღებდა სხვადასხვა ფორმებს მრავალი ათასეული წლების განმავლობაში... წავიდეთ წინ! ასეთია აკად. ნ. მარრის რევოლუციონური სიტყვა. „წავიდეთ წინ!" კვლავ მოგვიწოდებს აკადემიკოსი, და ჩვენც, ახალი ქვეყნის მშენებლებმა უსურვოთ საუკეთესო სურვილი ლენინის ორდენიან მეცნიერს: იყოს კარგად და ხშირად გვასმინოს მისი მქუხარე სიტყვა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გიგანტი რიონჰესი

მ. ფოფხაძე

ფასის მთებიდან
ტოშაგებით ჰყეფდა რიონი
ველურ ტალღების
ხეობებში იდგა ქუხილი,
როგორც ჩერქეზის
ქედმაღალი ყარაგიოზი
ძილს დაუფრთხობდა
მძინარ კლდეებს
მედგარ ქშუილით!
რბოდა რიონი
მოლხენე და ფაფარაყრილი,
გუშორეული
შლამნარევი ქვების ხველებით,
ბევრი დაგლიჯა
ტყავისა თუ რკინის ალვირი
შეურისძიებით
გატაცებულ ველურ ხელებით.
სტომაქ ალვსილი
კლდეებით და სოჭის მორებით;
მოჰქონდა ხარბად
საკვირველი მაღალ მთებიდან,
ცივი ლოდების
რახრახით და ველურ გორებით
ვის ვერ მოტეხა
ზღვის სიმკაცრემ დასავლეთიდან.
ფასის მთებიდან
ავი ხმებით სჭექდა რიონი
კლდის დერეფნებით
გადმოჰქონდა ბარში სვანეთი,
როგორც ჩერქეზის
ქედმაღალი ყარაგიოზი
იცოდა შეჭრა
ჭირნახულით სავსე ყანებში.
მომღერალი ვით მაყრიონი;
მთებივით მძიმე
შემზარავი ქვების რახუნით,
გამოჩნდებოდა
ცაზე თვარა მზის ალიონი
ეხურა თავზე;
სვანის ქუდი — წელზე ჩაფხუტი
ცივი კალმახი
თოვლდაფრქვეულ ფასის მთებიდან
იალბუზის რძით
გამოზრდილი ლოდქვეშ ფთქვინავდა,
თეთრი ფიფქები
არ მოსჩანდენ სიმწვანეთიდან
და ბნელ ღამეში
წყლის პირებზე
ცეცხლი ბრწყინავდა
მოდის მუქარით
მუდამ ბრძოლით, მუდამ ხმაურით,
გაყინულ ლოდებს
ერთმანეთზე ძალით აჯახებს,
თითქოს სვანები,
გამოსულან ტყეში სალაშქროთ
და ბებერ კლდეზე
განრისხებით სცემენ ნაჯახებს.
საუბრობს მთებთან
მწყემსს ნახირი როგორ მოსტაცა
და თვითონ მწყემსებს
თუ როგორი ცრემლი ადინა,
მთელი ქვეყანა
მასთან ბრძოლის ნდომამ მოჰქანცა,
და ვინც შეეხო
ყველა დასცა, მოინადირა.
თავი წაჰგლიჯა,
აგერ ფოლადის სპილო მოვიდა
თუჯის ხორთუმით
დასწვდა მიწის მკერდს,
ბასრი კბილებით
მთა გადმოგლიჯა
და ორთქლმავლებმაც
მძაფრად იკივლეს!
დალამებიდან გათენებამდე,
სისხლის წვეთამდე
სცლიდენ ბალონებს;
რიონის გულში მფოთავს ნავები
და ამაგრებენ
რკინის პალოებს!
ღმუის რიონი დაშნადაკრული
გრძნობს აღსასრული
მოადგა კარზე,
რკინა - ბეტონში ტანგაძაგრული
ხელს ველარ ისვამს
ჭალარა თავზე!
აქ არხი უნდა გავთხაროთ დიდი
ქედ-მაღალ რიონს
მოვსტეხოთ თეძო,
დასცხეთ მაგარი! არ გექნეთ რიდი;
დასცხეთ მაგარი
მშრომელო ძმებო!
მაზუთის ცეცხლით გადაბუგული
მოაქვთ მანქანა
ცეცხლით მდუღარე;
მორგავს რიონი წელგალუნული
რომ ძველებურად
ველარ მქუხარებს!
დღითა და ღამით
დღითა და ღამით
რიტმი არ სწყდება
გმირულ შრომისა,
თავდადებულად უტევს დამკვრელი
ებრძვის მდინარეს
მედგარ ბრძოლითა!
ებრძვის მიწის გულს მძლავრი პათოსით

კომკავშირულიც
უტევს ბრიგადა,
ჰკივის, გრიალებს ექსკავატორიც
ტყეს მოსდებიან
უტეხ გრიგალად!
ჰკივის, გრიალებს ექსკავატორიც
რკინის ნიჩბებს
რიგი ათასი,
გააქვს გრიალი კლდეზე მომტვრეულ
ქვევით გადმოყრილ
კირს და თაბაშირს!
სულს უხუთავენ მშფოთვარე რიონს
შემოხვევიან რკინის მკლავებით
ძველ გზებს რიონმა
აწ რაგინდა სდიოს.
სდგანან დარაჯად მტკიცე დამბები!
მზად არის უკვე არხის სათავე
გვირაბი გვირაბს
მისდევს რიგდარიგ!
სიძნელე დაკვრით ამოათავეს
ელავს სხივები
ჰიდრო - გიგანტის!
აჰა საგუბრის ფართე ჯურღმულში
დაჭრილ ლომივით
ღმუის რიონი!
მძლავრ ტურბინების მედგარ გუგუნში
სცვივა თვალთაგან
ცეცხლის ფიორი!
არის ხარხარი დაჭრილ ტალღების
გვირაბებს ხვრეშით
გადის გრაგანობს,
დაიხრიალებს რკინის ჯაჭვები
ასცდა რიონიც
მის ძველ კალაპოტს!

# ქარხანა ზესტაფონში

ლევან ასათიანი

## შეხვედრა დამკვრელებთან

ჩვენს შეხვედრას დამკვრელ მუშებთან უფრო გაცნობის და ურთიერთი ინფორმაციის მიზანი უდევს საფუძვლად.

ოთახი თანდათანობით ივსება. მოდიან ქარხნის საუკეთესო დამკვრელები, შრომის გმირები, შენებლობის ნამდვილი, თავდადებული და გულწრფელი ენტუზიასტები.

ესენი უბრალო ადამიანები არიან, სრულიად ჩვეულებრივი მუშები. გარეგნულად არაფერი არ ამჟღავნებს მათ ნამდვილ შინაგან ღირსებას. არაფერი „გმირული". არაფერი განსაკუთრებული მათ შესახედაობაში არ შეაჩერებს თქვენს ყურადღებას.

მაგრამ საკმარისია ჩაებათ მათთან ლაპარაკში, გაეცნოთ მათ მუშაობას, გადაფურცლოთ მათი ცხოვრების წიგნი, — თქვენ თანდათანობით დარწმუნდებით, რომ მათ სახეში საქმე გაქვთ ადამიანთა ახალ ფორმაციასთან, მუშების ახალ ტიპთან, რომლისთვისაც შრომა უკვე სათაკილო და მონური უღელი კი არ არის, არამედ საგმირო,—სავაჟკაცო და სასახელო საქმე.

აქ არიან ესენი: უფროსი მდნობელი შალვა ლორია, ბრიგადირი შალვა აბულაძე, ზეინკალი ვლადი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერ ბაკურაძე, ვოლგელი დურგალი თოვანე კარატოევი და მრავალი ათეული სხვა.

უბრალო და მარტივია მათი ბიოგრაფია, მაგრამ რა მჭერმეტყველია ეს უბრალო შტრიხებიც მათი ცხოვრებისა.

**აი მაგალითად შალვა ლორია.**

სრულიად ახალგაზრდა კაცია. პირ-ტიტველა, დაბალი, ხმელი, მკრივი. წინად მუშაობდა ბათომში, აზნავთში, შემდეგ ტფილისის ფერო მარგანეცის საცდელ ქარხანაში ზესტაფონში 1930 წლიდან მუშაობს. 1931 წელს ის სხვა 15 მუშასთან ერთად გაიგზავნა ჩელიაბინსკში, კვალიფიკაციის მისაღებად.

ეხლა შალვა ლორია უფროსი მდნობელია ღუმელზე. ბრიგადის ხელმძღვანელი. ქარხნის პარტუჯრედის მდივანი. დამკვრელობისათვის დაჯილდოებულია მრავალჯერ.

აი შალვა აბულაძე: შუა-ტანის, დიდ თვალება და მუდამ კოპშეკრული ყმაწვილი კაცი. ის ზედა-საქარელია. ფეროზე მუშაობს 1930 წლიდან, ე. ი. დღიდან მშენებლობის დაწყებისა. შალვა დამკვრელი ბრიგადირია. თავისი ბრიგადით ის მუშაობდა შორაპნიდან რკინის გზის შტოს გამოყვანაზე, ბრიგადაში 16 კაცი ჰყავდა. ეს ბრიგადა მთელს მშენებლობაზე ითვლებოდა მოწინავე ბრიგადათ. მას სამი გარდამავალი დროშა აქვს მიღებული.

შალვა აბულაძე პარტიის კანდიდატია.

ის ცხოვრობს ზედა საქარაში. მუშაობის შემდეგ ყოველდღე დადის სოფელში, სადაც მას პატარა მეურნეობაც მოეპოება.

კომკავშირელი ვლადიმერ ბაკურაძე ყველაზე ახალგაზრდა დამკვრელია მუშებს შორის. ის 1909 წელს არის დაბადებული. ფეროზე ორი წელია რაც მუშაობს. ეხლა ის მექანიკურ ცეხის მეთარგლეა, დამკვრელობისა და გამომგონებლობისათვის ბაკურაძე რვაჯერ არის დაჯილდოებული.

ჩვენ ვსაუბრობთ მუშებთან. ქარხნის მშენებლობა, ყოფის საკითხები, კულტურული ცხოვრების პრობლემები —აი თემა ჩვენი საუბრისა.

ქარხანა უფრო ადრე უნდა გასულიყო ექსპლოატაციაში. მაგრამ დროზე გაშვებას ხელი შეუშალა მთელმა რიგმა მიზეზებმა. არ იყო საკმაო საშენი მასალა. ერთ ზამთარში ფარდულების მოუწყობლობამ სავსებით შეაჩერა ბეტონის სამუშაოები.

ღუმელების მონტაჟს, რომელიც 1932 წ. ნოემბერში დაიწყო, ხელი შეუშალა ნაწილების დაგვიანებამ ჩვენი ქარხნებიდან.

მუშებსაც არ ქონდათ ხელის შემწყობი პირობები. შარშან მალარიამ დაგვრია ხელი. იყო შემთხვევა, რომ ბრიგადიდან მხოლოდ 3 კაცი გასულა სამუშაოდ, დანარჩე-



ქარხნის დირექტორი ამხ. ნოე კალანდაძე, პროფესორი გრიგოროვიჩი, შ. სოსლანი; დგანან: მესიანი, ფ. ნაროუშვილი, ინჟ. ი. ნიჟარაძე, ლ. ასათიანი, ინჟ. ი. ქურდიანი.

ფოტო. მიქელ პატარაძის.

საქმეს გვიჭირვებდა აგრეთვე მუშა-ხელის დენადობაც. ამას ხელს უწყობდა ბინების ნაკლებობა. უბინობა ეხლაც მწვავედ დგას ჩვენს წინაშე. ქარხნის მშენებლობის ხელმძღვანელებმა უნდა მიიღონ გადამჭრელი ზომები საბინაო მშენებლობის გასაძლიერებლად.

მუშები ლაპარაკობენ თავის მიღწევებზე და ჩავარდნებზე. მათ არ აშინებთ დაბრკოლებები. ისინი სძლევენ ყოველივეს, მხოლოდ საჭიროა ხელის შეწყობა.

მუშები არ მალავენ დეფექტებს თავის მუშაობაში, სხვებსაც არ მოუწოდებენ ცუდ მუშაობას.

მაგალითად მათ არ აკმაყოფილებთ კულტურული მომსახურეობის საქმის დაყენება.

არ არის კინო, არც თვითმოქმედი წრეები, რომ წარმოდგენები გამართონ, რადიო, თუმცა გამოყვანილია, მაგრამ მისი ხმა ჯერ არავის გაუგონია.

ბიბლიოთეკამ ვერ შემოიმჭიდროვა გარშემო მუდმივი მკითხველები. ჩვენ არც კი ვიცით, არის თუ არა იქ საინტერესო საკითხავი წიგნები.

ვერ ვიცნობთ თანამედროვე ჩვენს მწერლებს. ეს ძალიან ცუდია.

ეგნატე ნინოშვილს კი ალბად მისი თანამედროვე მუშები კითხულობდენ და სიცოცხლეშივე იცნობდენ საყვარელ მწერალს.

ჩვენ კი არ შეგვიძლია ვთქვათ, ვინა გვყავს მწერლები, სამკითხველოს მოვალეობას შეადგენს გაგვაცნოს და შეგვაყვაროს ისინი...

## ხ ვ ა ლ

საღამოს ცხრა საათია.

ღამის წყვდიადს მოუცავს არემარე. შორეული ზვიადი მთები და ყვირილის გაღმა ჭალები სიბნელე-

შემოდგომის ცა ვარსკლავების აკიდოებით დახუნძულა ჩვენი აივანიდან ღამის ხავერდოვან ფონზე მკაფიოდ მოსჩანს ქარხნის გაჩირაღდნებული ფანჯრები.

ქარხანა გუგუნებს.

სჩანს ელდენი ჩაურთავთ, ღუმელის გახურებას შესდგომიან.

მთელი ღამე გაგრძელდება მისი გახურება.

ხვალ დაიწყებს თუ არა ღუმელი მუშაობას, მერე ის აღარ გაჩერდება. მან შეუწყვეტლად უნდა ამზადოს პროდუქცია. დღე-ღამეში მან 32 ტონა მარგანეცი უნდა მოგვცეს წლიური 10.000 ტონაზე მეტი.

ყველა 18 ღუმელი, რომ ამუშავდება, ქარხნის წარმადობა 200.000 ტონას მიაღწევს.

საბჭოთა ქვეყნის მეტალურგიაში ახალი პერიოდი იწყება. ზესტაფონი ანთავისუფლებს საბჭოთა ფოლადის მრეწველობას საიმპორტო ფერო-მარგანეცისაგან.

ამ საქმეზე კი ყოველწლიურად უცხოეთს მიჰქონდა 40—50 მილიონი მანეთი, ამიერიდან ეს ფული ჩვენ დაგვრჩება.

...მთელი ღამე გუგუნებდა ქარხანა....

## შემოდგომის დღე 30 ოქტომბერი

30 ოქტომბერი. საუცხოვო დილა გათენდა ზესტაფონში, თბილი, მზიანი შემოდგომის დილა.

ქარხანას რაღაც სადღესასწაულო ელფერი ედვა დილიდგანვე. თუმცა მას გარეგნულად არაფერი ეტყობოდა უჩვეულო: არც დროშები იყო გამოკიდული, არც მუსიკა უკრავდა, სურათები და ლოზუნგები არ იყო გამოფენილი. გირლიანდები არ ამშვენებდა ფასადებსა და

მაგრამ ქარხანა დილიდანვე მაინც განსაკუთრებულ მღელვარებას მოეცვა.

ნოე კალანდაძე კარგად გათენებულიც არ იყო, ბინიდან რომ გამოვიდა. მან აჩქარებით ჩაირბინა ქარხნისაკენ მიმავალი ბილიკი.

ცარიელ ქუჩაზე რამდენიმეჯერ გაიხმაურა ქარხნის „ფორდმა".

ქურანა ლაფშებმაც ფაფრების ფრიალით ჩაითქაფუნეს სადგურისაკენ.

ელვასავით სწრაფმა და მოუსვენარმა ვანო ჩემსაძემ, ქარხნის უფროსმა კომენდანტმა, უკვე მეხუთეჯერ მოირბინა საწყობი, სამმართველო, საავადმყოფო, კოოპერატივი, ქარხანა და ეხლა ისევ საწყობისაკენ გარბოდა.

ქარხნის ეზოს კარებთან მდგომ თოფიანი ყარაული გაჯავრებული იყო. — დალახვრა ეშმაკმა,—ბუზღუნებდა ის,—ამდენი უცხო ხალხი ჯერ ქარხანაში არ გამიშვია. დღეს რა ჯანდაბა აუტყდათ ნეტავი, რას მოაწყდნენ ქარხანას? ამ ჩვენ მუშებსაც რა მოეჩვენათ, საღამოს ჯერზე მომუშავეებიც რომ ამ დილაადრიან მოსულან.

უკვე დილის 10 საათია.

იტეესის სასადილოში საჩქაროდ ვსაუზმობთ.

საერთო მღელვარება ჩვენც გადაგვედო. ჩვენც ვჩქარობთ ქარხნისაკენ. გვეშინია უჩვენოთ არ გაკეთდეს პირველი ფეროშენადნობი.

მივდივართ სამმართველოში, რომ ავიღოთ ქარხანაში გასასვლელი ნებართვა. უამისოდ არ გაგვიშვებს მკაცრი ყარაული.

სამიოდე წუთის შემდეგ ჩვენ უკვე ქარხნის ეზოში ვართ და სქელ ტალახში მივჭყაპუნობთ.

ჯერ ქარხანა არაა დამთავრებული, ეზოს მოწყობისათვის არავის სცალია, ოდესმე კი—და ეს ოდესმე ძალიან ჩქარა იქნება, ამ ეზოში სურნელოვანი ყვავილნარით მორთული გაშენდება, გზებიც ასფალტით დაიგება.. ეხლა კი ტალახს არავინ დაეძებს. არც ჩვენ ვაქცევთ ყურადღებას.



ფერომარგანეცის ქარხანა. შენადნობის გა- მოსვლის დრო.
ფოტო: მიქელ პატარიძის.

ჩვენ გულისყურს უფრო მძლავრი გუგუნი იზიდავს. რაც უფრო უახლოვდებით ქარხანას, გუგუნი უფრო ძლიერდება, ფართოვდება. ამ გუგუნში შემავალი ხმები, ბგერები, უფრო მკაფიო, გარკვეული და დიფერენცირებული ხდება.

შევდივართ სადნობ ცეხში. იქაურობა დაჭვარტულია. ღუმელი სანახევროდ ამოვლებულია „შიბტით". ლორიას დამკვრელ ბრიგადა გალომებული მუშაობს თაკარა სიცხეში, მოლაყლაპე ღუმელის გარშემო.

მთელი ღამის განმავლობაში არც მათ, არც ინჟინერებს: ნიჟარაძეს, ნადირაძის ქალს, ჩიტაძეს თვალი არ მოუხუჭავთ.

პროფესორი გრიგოროვიჩი, რომელიც ქარხნის კონსულტანტია და ღუმელის პირველ გაშვებას ხელმძღვანელობს, — მჭვარტლით გამურულა. არც მას სძინებია წუხელის. დაქანცულობა ეტყობა სახეზე, მაგრამ მაინც მარჯვედ არის.

სიმენსის ფირმის წარმომადგენელი გერმან. ინჟ. წარამარა გამორბის მუშაბანდით გადამტიხრულ ხელსაწყოების ოთახიდან ღუმელისაკენ, ისევ ბრუნდება უკან. თავს დასტრიალებს აპარატებს. ელდენის განმანაწილებელ დაფას, ღუმელის მუშაობის მომწესრიგებელ იარაღებს.

ღუმელში კი ელდენი ჩართულია და 6500 კილოუატისაგან გაგიჟებული, ის საზარლად ღმუის და ღრიალებს.

სამი ვეებერთელა ნახშირის ბოძი, — სამი ელექტროდი, ღრმად ჩაშვებულა ღუმელის ორმოში. ამ ბოძებს 12 მეტრი სიგრძე აქვთ და მეტრი სიმსხო.

ეს ნახშირის სვეტები ზევიდან არის ჩამოშვებული. ელექტრო-ჯალამბერების სისტემა განაგებს მათი აწევ-დაწევის საქმეს. სპილენძის მილების ხლართი შემოხვევია მათ გარშემო. ამ მილებით სვეტები ღებულობენ 6500 კილოუატ დენს. მილებში შიგნიდან ცივი წყალია გაშვებული, რომ გააგრილოს სპილენძის გამტარი.

ელდენი შედის ნახშირის სვეტებში. მათ ბოლოებში წარმოშობილ წინააღმდეგობით ქმნის ჯოჯოხეთურ ცეცხლის სიმხურვალეს. ღუმელის ტემპერატურა 3500 გრადუსს აჭარბებს.

ჩვეულებრივი კრემატორიუმის სიმხურვალე 1700 გრადუსი თუ იქნება.

ამ გავარვარებულ ღუმელში უკვე შუაწელამდე ჩაუყრიათ კაზმი. მუშები თანდათანობით უმატებენ ულუფას. ამ კაზმის ქვედა ფე-



ზესტაფონი. ფერომარგანეცის მუშათა საცხოვრებელი სახლი.
ფოტო: მიქელ პატარიძის.

ნა უკვე დამდნარ სითხეს წარმოადგენს. აქ უამრავი გაზები გროვდება. დროგამოშვებით ეს გაზები ამოსუთქავენ კაზმის სქელ ზედა ფენას. ღუმელის ფსკერიდან, როგორც ვულკანის კრატერიდან, ამოვარდება თვალის მომჭრელი ცეცხლის ქარიშხალი, მას ვერ გაუსწორებ მზერას, ისე როგორც ვერ შეხედავ მზეს შეხედავ და თვალთ დაგიბნელებს.

ღუმელი გუგუნებს და ღრიალებს.

მისი გმინვა საზარია და შემაძრწუნებელი.

ვეგონება: დედამიწის ყოველ კუთხეში—მთებსა და უღრან ტევრებში, უზარმაზარ ველებსა და უნაპირო ოკეანეთა სივრცეებში დაბუდებულ ყველა გრიგალებს ერთბაშად აღწყვეტიათ და აქ მოხეთქილა გაუბედავგუგურებელ სტიქიონად.

მაგრამ აქ სტიქიონთან ომი გვაქვს საქმე. საკმარისია ხახელურის გადაწევა მარმარილოს განმანაწილებელ დაფაზე, რომ ელდენი მყისვე აითრთევს და ცოტა ხნის შემდეგ ღუმელი ისევ შავ, მყუდრო და უვნებელ ორმოდ გადაიქცეს.

აქ ყოველივე ადამიანის ხეთა სურვილზეა დამოკიდებული. მისი გონება ვანაგებს დენის მოძრაობას, ელექტროდენის რეგულიაციას. ღუმელი ფორმალურ მუშაობას.

ღუმელის ფსკერთან გარეთ სამი ხვრელია გაკეთებული. სითხედ ქცეული შენადნობი აქედან უნდა გამოისხას. ხვრელიდან ძირს ცეცხლგამძლე აგურით ნაშენი ღარი მოდის. მას უნდა ჩამოყვეს შენადნობი ქვევით, სასხმო ეზოში, სადაც სილაში ორ წყებად გრძელი ოთხკუთხი ყალიბები გაუკეთებიათ. შენადნობი შევა ყალიბებში, გაცივდება, გამაგრდება: ფერო-მარგანეცი მზად იქნება.

სასხმო ეზოში უამრავი ხალხი მოგროვილა. მოსულან ზესტაფონიდან: პოლიტბიუროს 'აშა ჯაფარიძე, რაიკომის მუშაკები, პარტიისა და კომკავშირის ხელმძღვანელი ამხანაგები. აქ არიან ქარხნის ინჟინერები. ხელოსნები, მოსულან ცოლებით, ბავშებით, დედებით, რომ ნახონ უჩვეულო სანახავი, ის რაც შეადგენდა მათი მუშაობის მიზანს სამი წლის მანძილზე. ის რაც შეადგენდა მათი ცხოვრების მთავარ შინაარს ამ ხნის განმავლობაში.

ღუმელი ცოფიანივით ღმუის, ისვრის ელვარე ჩინჩგლებს.

დრო გამოშვებით მისი ფსკერიდან გეიზერივით იფეთქავს ალმოდებული გაზი და მაშინ გავარვარებულ ჰაერის სუნთქვას ვერ უძლებს ვერავინ. მუშები ჯვარედინად შეკრულ იდაყვებს იფარებენ სახეზე და დიდხანს, სიცხისაგან გაგუდულები ბივით კედელზე არიან მიყრდნობილნი.

ქვემოთ, ხვრელთან უკვე ფუსფუსია გაჩაღებული. ხვრელების გაღების დრომ მოაღწია. ფერო-შენადნობი ალბათ უკვე კარგა ხანია მზად არის ღუმელში.

ხვრელებთან თავდაუზოგველად მუშაობენ ყველანი: ბრიგადირი ლორია თავის ამხანაგებით, ინჟინერები: ქურდიანი, ნიჟარაძე, ჩიტაძე.

ხალხი გაფაციცებით მისჩერებია ამ ადამიანებს გაფთრებულ ბრძოლას ყველას ყურადღება ხვრელის შავი წერტილისაკენ არის მიპყრობილი. სადაცაა ხვრელი უნდა გაიხსნას და...

ფოტო-რეპორტიორებს უკვე მოუმზადებიათ თავისი სამფეხზე შედგმული აპარატები. მათ უნდათ ფირფიტაზე აღბეჭდონ ლითონის დაბადება.

მოსკოველი ჟურნალისტი, გაზეთ „ინდუსტრიალიზაციის“ კორესპონდენტი, გუნებაში უკვე ადგენს სასწრაფო დეპეშას ფეროშენადნობის პირველი გამოშვების შესახებ.

მას ხელში საათი უჭირავს და წარამარა დაჰყურებს ზედ. ამავე დროს თვალს არ აშორებს ხვრელის პატარა ჭურჭრუტანას, რომელსაც მუშები გაცხელებული უკირკიმალებენ, რკინის გრძელი ჭოგრებით.

კორესპონდენტს სწადია უსათუოდ ზუსტად ჩასწეროს თავის დეპეშაში წუთი და წამი პირველ ფერო-შენადნობის დამზადებისა.

უეცრად ხვრელთან მომუშავე ინჟინერების და მუშების ჯგუფი, ორად გაყოფილი, აქეთ-იქით იფანტება.

— გამოვიდა. გამოვიდა!—აღტაცებით გაიძახის ვიღაც ზედ ჩემს ყურთან.

ხვრელიდან მართლაც ოქროს ნაკადულივით მოქუხს გავარვარებული მადანი.

მუშები მორბიან გრძელი რკინის ჯოხებით, ასწორებენ და აღრმავებენ სილის ვიწრო ღარს, რომ ცეცხლის ნაკადული დაუბრკოლებლივ წამოვიდეს მიწის ყალიბებში.

ხვრელიდან კი გაუთავებლად იღვრება გამდნარ, მზესავით მოლაპლაპე ლითონის მასა, მოდის და ავსებს ვიწრო ღარს, გადმოდის კალაპოტიდან, გუბდება ყალიბების გასწვრივ, სქელ და სწრაფად შედედებულ ტბორებათ.

ჰაერი უეცრად შრება და ფიცხდება.

ხალხი უკან იხევს, მაგრამ მოჯადოებულივით თვალს ველარ აშორებს ხვრელიდან მომდინარე ცეცხლოვან წყაროს.

რაღაც არა ჩვეულებრივად საზეიმო მომენტია.

ღუმელი კი ზევით განაგრძობს თავის ცოფიან ღმუილს.

არაფერი ისმის.

ხვრელიდან ცეცხლი ისევ მოქუხს. ყალიბებში აღარ ეტევა შენადნობი. ის იქცევა განზე.

ამ დროს ლორია სახეზე იდაყვმიფარებული მირბის ღუმელის ხვრელთან და კეტავს მას.

ცეცხლის ნაკადი წყდება.

მოსკოველი კორესპონდენტი, რქის სათვალეებიანი ახალგაზრდა ბრიუნეტი, აღტაცებით მიჩვენებს საათის ციფერბლატს:

3 საათი და 37 წუთია.

მას უკვე მზადა აქვს დეპეშა:

„ზესტაფონის ფერო-შენადნობთა ქარხანა. 30 ოქტომბერს გაშვებულმა პირველმა ღუმელმა 3 ს. და 37 წ. მოგვცა პირველი ფერო-მარგანეცი. შენადნობის ღირსება მაღალია, ქარხანა განაგრძობს ნორმალურ მუშაობას“.

მუშები სინჯავენ შენადნობს. ის ჯერ კიდევ ცხელია. გული არავის უთმენს მოსაცდელად. მოლაპლაპე მადნის ნატეხებს აგდებენ წყალში და სასწრაფოდ აცივებენ. შემდეგ ამტვრევენ პატარა კენჭებად, სინჯავენ, ნახულობენ გემოს, ყნოსავენ და აჩვენებენ ერთმანეთს.

ყველას კმაყოფილება აქვს სახეზე აღბეჭდილი.

— ეს არის კაცო?—იცინის დამკვრელი შალვა აბულაძე და ფეროშენადნობის ბრჭყვიალა ნატეხს ხუმრობით ცხვირში აჩეჩებს ლორიას, ამისათვის დევიდგით წელებზე ფეხი ამ სამ წელიწადს?

— ეს არის ამხანაგო, ეს!—ღიმილით უპასუხებს ლორია.

ის თვალებს კარგად ველარ ახელს. სიცხისაგან უპეები გასწითლებია და ლოყებიც გათარაჩნებული აქვს.

— მე თუ მკითხავ, ძამია, ჩემდა თავად მე ბედნიერი ვარ, რომ სამი წლის შრომამ ტყვილად არ ჩამიარა და ამისთანა კარგი ნაყოფი გამოიღო.

მაგრამ ეხლა ლაპარაკის დრო აღარ არის.

ორი საათის შემდეგ შენადნობის ახალი ულუფა იქნება ხვრელიდან გამოშვებული.

საჭიროა სილის ახალი ყალიბების დამზადება, ღარის გაფართოება, ნაპირების ამაღლება, რომ შენადნობი არ დაიქცეს. მუშები იწყებენ ყალიბების კეთებას სილაში.

ღუმელი გააფთრებით გმინავს ზედა სართულში. მდნობელები კვლავ ყრიან კაზმს გავარვარებულ ორმოში. ღუმელი ისვრის ჩინჩხლებს და ლაპლაპა შადრევანებს.

ორი საათის შემდეგ შენადნობის ახალი ულუფა იქნება მიღებული.

ბუნკერებიდან კონვეიერს მოაქვს კირ-ქვა, ქვანახშირი, მარგანეცი.

სამსხვრევი ცეხი ხმაურობს, ოხრავს, რახრახებს.

სკიპის ამწი ადის და ჩადის შეუსვენებლივ.

ქვევით სასხმო ეზოში მუშები აკეთებენ ყალიბებს. ისინი ემზადებიან ახალი პროდუქციის მისაღებად.

ყოველ ორ საათში ისინი მიიღებენ ახალ ფერო-მარგანეცს.

დღისით და ღამით ღუმელი მოგვცემს ახალ შენადნობს: ამიერიდან ის იმუშავებს განუწყვეტლივ.

ქარხანა უკვე გავიდა ექსპლოატაციაში.

ზესტაფონის ფერო შენადნობთა ქარხანა ამუშავდა.

ტფილისი, 3 ნოემბერი 1933 წ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბალადა ოთხ ძმაზე

## ჯეკ ალტაუზენ

შინ მოსვლა იყო ძნელი:
ჩემ ნავს გრიგალი ახლდა;
ოთხნი ვიყავით ძმები,
მარტო მოვედი ახლა.
დაო დახეულ კაბით,
თვალცრემლიანო დედავ,
მე თქვენ კალთაში მოსვლას
ხელცარიელი ვბედავ.
მითხარ, რა დროა, დედავ,
რომელი დღე და წელი?
სამი ძმა მყავდა, ნეტავ
თუ ვინმე ვნახო მრთელი.
ერთს ვარსკვლავები სურდა
სიცოცხლეს ისე სწვავდა:
თვლიდა მანძილებს მუდამ
პავლოგრადიდან ცამდე.
ვერ შესძლო მაინც დათვლა,
ისე დალია დღენი,
ის ვერასოდეს დათვრა
ახალ ცხოვრების მღერით.
ჩვენ არ ვზოგავდით თავსაც,
ბრძნულს ის იჩენდა სურვილს
ტამბოვს უნდოდა ასვლა
ავსტრალიაზე ცურვით.
ყველა ვისხედით ცხენზე,
მივქროდით ალმა-დალმა;
ყვავები ჭადრის ხეზე
დამქრალ მუგუზალს ჰგავდა.
ზაპაროჟიე ალდგა,
და ძილს მოელო ბოლო:
ჩვენ მინდორ-ველზე დადვა
ბრძოლის ხანძარის ბოლი.
ის-კი ვარსკვლავებს უჯდა,
ჩვენი ცეცხლი არ სწვავდა
თვლიდა მანძილებს მუდამ
პავლოგრადიდან ცამდე.
როცა გრიგალმა დაჰკრა
თვლა იტაცებდა რაინდს.
ბევრი ეცადა, მაგრამ
მოკვდა ათასზე მაინც.
უმცროსი იყო ნაზი, —
დედავ იკმარე კვნესა, —
მახსოვს, ისწავლა ჩემგან
ნაპერწკლის დაშნით კვნესა.
ნახირში იყო მწყემსად
(მერე გასტეხა სახრე)
და იუნკერი ბოლოს
გახდა... იუნკრებში მიყვარს
მე ლერმონტოვი მხოლოდ.
დესნასთან ბრძოლის წამია
მთიდან დავეშვი ბორცვით,
რომ ფიჭვზე ჩემი ძამია
ჩამოეკიდათ თოკით.
გული შეიქნა მკაცრი;
ძმა გახდა თოკის წერა...
ცაში აფრენილ მტრედებს
შორს გაყოლებდი მზერას.
ერთიც მეთევზე კუშტი,
სიტყვა უყვარდა ტკბილი
მაგრამ დაკოჟრილ მუშტით.
ლომსაც მოსტეხდა კბილებს.
ჭირი მოგვედევა შავი,
სოფლის ხანძრებს უმზერს
თევზს გაანება თავი
და ცხენს მოახტა ზურგზე.
გადვიდა ცურვით დონე
ბრძოლის გრიგალში ჩადგა,
მრავალი ნახა ომი,
იყო მარჯვეთ და ნალდათ.
და ვარშავასთან დაშნას
პირი გაუტყდა ორად,
კაცი სისხლიდან დაშრა
სისხლმა დაიწყო ტბორა.
შინ მოსვლა იყო ძნელი.
ნავს გრიგალები ახლდა;
ოთხი ვიყავით ძმები,
მარტო მოვედი ახლა.
მოველ ტოლალით, მტვერით,
ხელში მეკავა ქუდი.
ხახეზე მაჩნდა მტერის
ოთხი ჭრილობა მრუდე.
ასე ვიყავი ნალდათ
ხუთი წლით კიდით-კიდე,
რომ რესპუბლიკა ბედთა
უფრო აყვავდეს კიდევ.
დვინას, ლადოგას იქეთ
თეთრებს პასუხი ვაგეთ,
რომ რესპუბლიკა ჩვენი
დოვლათიანი დადგეს.
თუ დაგვიძახა ბედმა, —
ისევ ავილებ ნაგანს.
ყელს მომხვევია დედა
და ხელი მომცა დამან.

თარგმანი მიქელ პატარიძის

# ბარიტის საბადოებში

## ვ. ლალიაშვილი

წიფლარის მთის ვიწრო ბილიკს, რომელსაც ჩვენ მივყვებით, მარცხნივ მდინარე რიონი ახლავს, მდინარის პირზე ჩავარდნილი ხევია, ათიოდე სტანდარტული სახლით და 900 მეტრის სიმაღლე მთაზე გაბმული საეჰაერო გზით.

მხარ და მხარ ბარიტის მაღაროების მთ. ინჟინერი აპ. ჩიჩანიძე მომყვება, ის გზა და გზა მესაუბრება ჩემთვის საინტერესო თემაზე ამ რაჭა-ლეჩხუმის მთებში ბარიტის საბადოების შესახებ...

— აი, უყურეთ შორს, ზემო მთაზე თეთრი ფენა მოსჩანს, ის ჩვენი მაღაროა ნაქეეშის სახელწოდებით, აბა თვით იფიქრეთ რა მიუდგომელ ადგილებში გვიხდება ბარიტის ძარღვების ძებნა.

— კი მაგრამ ერთი საკვირველია, რატომ დაბლა ფენაში არ ხვდება მისი ძარღვები.

ამხ. ჩიჩანიძეს ღიმილი გადაჰკრავს, ის ეხლა დაწვრილებით ჰყვება ბარიტის საბადოების სპეციფიურ თვისებებზე, და თან მოყავს გეოლოგების დასკვნები ბარიტის მდებარეობის ამ სპეციფიურობის შესახებ.

— დილის 11 საათს ათი წუთი და აკლდა, მხოლოდ ეხლა ამოიწვერა წიფლარის ვებერთელა მთის კონცხზე მაისის ცხოველი მზის სხივები. უკვე დიდი ხანია მაღლა-მაღლა მივიწევთ სარტყელივით მოკეცილ ბილიკზე და დასასრული ჯერ კიდევ არ უჩანს გზას. ეხლა რიონის სიძლიერე, ოხრობა დაიჩრდილა, ის სადღაც ქვესკნელში მთიდან მონაკად პატარა რუდ გადაიქცა.

მარტო არ ვართ, რამოდენიმე ათეული ნაბიჯით წინ—თან გვახლავს წიფლარის ხევში ახლად ჩამოსული სტუმრები სამთო ინჟინრები ყიფიანი და ვ. ბერიძე.

ინჟ. ბერიძე მესამე თვეა წიფლარის ხევში იმყოფება, იგი მოვლინებულია სამთომადნო ტრესტის მიერ ნაძუეშის მაღარომდე ვიწრო ლიანდაგის გაყვანამდე ხელმძღვანელობის გასაწევად.

საუბარი ისევ ბარიტზეა, ბარიტი დღეს გადაიქცა გაშლილი სოციალისტური მრეწველობის უმნიშვნელოვანესი მოხმარების საგნათ.

— ორი წლის წინეთ,—ამბობს ამხ. ბერიძე როდი იყო ამდენი თიქრი და ზრუნვა მთისა ამ პროდუქტზე, დღეს მოთხოვნილება რაჭის „თეთრ ქვაზე“ იმდენათ გაიზარდა, რომ შეუძლებელი ხდება ამ მოთხოვნილების დაკმყოფილება თუ არ მოვახდინეთ მისი გამოტეხვის, გამოლების და ჩამოტანის ტექნიკაში საჭირო რეკონსტრუქცია.

— მარტო წელს მთელი რიგი ახალი დარიგები გამოუჩნდა მომხმარებლად,—ჩაერია ლაპარაკში ინჟ. ყიფიანი.

დამაინტერესა ბარიტის გამოყენებამ ნავთის ჭაბურღილებზე, ამხ. ბერიძე თითქმის მიუხდა ჩემ სულისკვეთებას, ის განაგრძობს...

— ჭაბურღილების გათხრის დროს, რომ გზა და გზა არ ამოხეთქოს გვერდული ნაპრალებმა და გამაგრებულ იქნეს ასეთი, თიხნართან ერთად ამ გვერდულებში ყრიან ბარიტს (ფხვნილს) ამ უკანასკნელის სიმძიმე შესაძლებლობას ქმნის თავიდან აცილებულ იქნეს მოსალოდნელი ავარიები..

კიდევ ნახევარი საათი და ავაწიეთ მთის წვერზე, ეხლა უკვე წიფლარზე ჩახედვა მოგვაგონებს ჩიტის ბუდეს, ხოლო მდ. რიონი მის გვერდით გაშოტილ ნაცრისფერ ზოლს...

ამ ადგილიდან, სადაც ბარიტი ჩააქვთ საჰაერო გზით—ლოკნარის მაღარომდე გაყვანილია ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზა. ეს გზა ისევ აღმართით მიდის, ჩვენც მივყვებით ამ გზას, თუმცა მოქანცულები ნაგრამ, თავზე ძალდატანებით, რადგან უნდა მოვუსწროთ მაღაროში მოწვეულ მუშათა საწარმოო კონფერენციას, რომელიც ტარდება გაზ. „კომუნისტი“-ს ბრიგადის ინიციატივით.

აი, ესეც ლოკნარის მაღარო...

ლოკნარის მაღალი წვერწვეტა მთა სი[illegible]ეტად აშვეტილა და ირგვლივ მომკრო მთები შემოუფარგლია. მთის წვერიდან ო[illegible] საჟენის დაქანებით ორი ხვრელი მოსჩანს. ესენი ბარიტის გვირაბებია, პირველი მოქმედი ხოლო მეორე უმოქმედო ბარიტ დაცლილი.

— წელან ამ მაღაროზე გესაუბრებოდით, ეს მაღარო 1925 წლიდან მოქმედობს. შიგ გვაქვს მაღალ ხარისხოვანი ბარიტი, რომელსაც სრულიად არ ურევია კალციტი და წმინდა წონა აქვს 4. ამბობს ინჟ. ჩაჩნიძე.

სანთლები ავანთოთ და მოვიმარჯვეთ, მწკრივში ჩავეწყვეთ და წელში მოხრილი გაუდექით გზას მთის გულში.

100 საჟენზე მეტი გავიარეთ, მივაღწიეთ კიდეც „ზაბოის“ ამხ. ჩიჩანიძე ღვედში გარჭობილ სამთო ჩაქუჩს იძრობს და თოვლივით თეთრი მთის კედელს არაკუნებს..

აი, 100 პროცენტიანი წმინდა ბარიტი ამ თეთრად მოყოლებულ ზოლს ქვა ბარიტის ძარღვი ხედავთ, ის 2 კვადრ. საჟენზეა გაშლილი. აქეთ მიცქირეთ—აი, ამას ჰქვია შრეები, ამას ფუჭიქანი გამოუსადეგარი ეფნაა, რომელიც მაღაროებს ყოველთვის აქვს. ამ გვირაბის ნომერაციაა 513, გათხრილია 320 მეტრზე როგორც გორიზონტალურად აგრეთვე ვერტიკალურად.

ვათვალიერებთ სამ სართულიან გეზენკებს (ზევიდან ქვევით მიმართული გვირაბი) მეორე-მესამე სართულის დათვალიერების შემდეგ მივდივართ საწარმოო ტექნიკურ კონფერენციაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლუკა

## როდიონ ქორქია

— ჩვენი თავმჯდომარე განსაკუთრებული კაცი იყო.—დაიწყო ბუჰლალტერმა.

— რა ამბავია, სულ იყო და იყო... ნუთუ ახლა არ არის?—გაიკვირვა მასწავლებელმა ქალმა.

— ასეთი თავმჯდომარეები გაჩნდებიან, ამოტივტივდებიან და ისევ ჩაიძირებიან, ან საპნის ბუშტივით გასქდებიან.—განმარტა რევიზორმა.—გინახავთ ბავშვები, რომ ქაფის ბუშტებს უშვებენ ჰაერში? მრავალ ფერად ბრწყინავს ბუშტი მზეზე, მაგრამ, რადგან დუნეა, სქდება.

— ლუკა არ იყო დუნე,—შეუსწორა ბუჰლალტერმა.—მან იცოდა, რას აკეთებდა. სრულიად გამომზეურებისა და აზრების გამომჟღავნებისა ეშინოდა, თორემ... ერთხელ რაღაცა საიდუმლო ქაღალდმა გააბრაზა, და როდესაც მარტოდ მარტო დავრჩით—მითხრა:

— ეხ, შაქროჯან, ბევრი რამ არ მომწონს, მაგრამ მე ერთი რას გავხდები? სიმართლე რომ ვსთქვა, თავმჯდომარეობას დავკარგავ.

ლუკა ანგარიშის კაცი იყო. ასე ანგარიშობდა: რას მიკეთებს ხელფასი? სადა მცალიან კანცელარიაში დავჯდე? მე უნდა ვიმუშავო. საერთოდ, ყველამ უნდა იმუშაოს. ყველა უნდა სცდილობდეს კარგად მოწყობას. გარდა ამისა ყველგან სანდო ხალხი უნდა ყავდეს კაცს. მე ხელის მოწერა ძლივს ვიცი და რომ მომატყუონ, რა ვქნა?

ამიტომ ალმასკომში, კოოპერატივში, საკრედიტო ამხანაგობაში, ყველგან, სადაც კი შესძლო, თავისიანები მოაწყო. მე ვერ შემცვალა, რადგან ბუჰლალტერი ვერ იშოვა. თავის მოქმედებას ლუკა ასე ამართლებდა:

— მე მათ ვენდობი, **ამიტომ ვნიშნავ.**

საუკეთესო მიწები თვითონ, თავის ძმასა და ბიძაშვილს მიუზომა.

როდესაც კომკავშირის მდივანმა შენიშნა, რომ ეს არ არის ლამაზი, ლუკამ უპასუხა:

— შენც მიიზომე, თუ გინდა. არ გიშლი. ოღონდ იმუშავე და მიწა ყველას გვეყოფა.

— მაინც რას იტყვიან? ალმასკომის თავმჯდომარემ საუკეთესო მიწები თვითონ დაირიგაო. ეს არ შეიძლება!—ჯიუტობდა მდივანი.

— შენ, ბიძია, ჯერ ცხვირის მოხოცვა დაისწავლე, — გაუჯავრდა ლუკა.—შენ სად იყავი, როცა მე რევოლუციას ვაწყობდი? შენ იცი, გლეხი რისთვის იბრძოდა? გლეხი იბრძოდა მიწისათვის. მეც გლეხი ვარ, ამა სოფლისა, და მიწა მინდა. შენ, ბიძია, შენს საქმეებს მოუარე.

— მაინც არ არის სწორი.—ამტკიცებდა მდივანი.

— სწორი არ არის? — გაცხარდა ლუკა. — როგორ თუ არ არის? აბა, განსაჯე, ეგ მიწა ხომ უნდა მიიღოს ვინმემ?

— უნდა მიიღოს.

— რომ დაამუშაოს და სარგებლიანობა მოუტანოს ოჯახსა და სახელმწიფოს?

— სწორია!

— უნდა მიიღოს პირველ რიგში კულაკმა, საშუალომ თუ ღარიბმა?

— ღარიბმა!

— მაშ, მე სადაური კულაკი მნახე? შეხედე ჩემს ხელებსა!

ლუკას ფართო ხელები ხნეულსა გავდა.

— აქ ხელები მოსატანი არ არის.

— შენ ფეხები გაიტანე აქედან, თორემ...

და იმ დღიდან კომკავშირის მდივანმა ლუკას ომი გამოუცხადა.

ტყის გაჭრაზე სასტიკი მეთვალყურეობაა დაწყებული. ტყის მცველი უნებართვოდ არავის უშვებს ტყეში. ლუკას ოთხი ქალიშვილი ყავდა. ერთი მიათხოვა ტყის მცველს. ლუკამ ეს დიდის ოსტატობით მოაწყო.

ტყის მცველი ცხოვრობდა ტყის პირას პატარა ქოხში. ლუკამ ქალი მიუგზავნა და მცველი ალმასკომში დაიბარა. გავიდა ორი დღე და კიდევ დაიბარა. ასე შეჰყარა ქალ-ვაჟი ერთმანეთს რამოდენიმეჯერ. ბოლოს გადაჰკრა ტყის მცველს:

— ილო, კარგი ბიჭი ხარ, არ მინდა გაწყენინო, მაგრამ...

ილო შეკრთა.

— რა იყო, ლუკაჯან! რა დამიშავებია?

— რა ვიცი, ეგებ დააშავე კიდეც. ხმა ჩამეწვეთა ყურში, ვითომ შენ და მართა...

ამ დროს, სოფლის ბიჭებმა ჩაიარეს, და მოისმა მხიარული სიმღერა:

უი, ჩემო მართა,<br>ეს რა დაგემართა!<br>ილიკოს კარავში<br>ფეხი გაგეხლართა....

ახლაც მიკვირს, როგორ მოეწყო ისე, რომ მოჭახრაკებულსა და მოგონილ ამბავს, რომელსაც ლუკა აწყობდა, შემთხვევამ ასე შეუწყო ხელი.

ლუკა დაჭრილი მხეცივით წამოვარდა, ორივე ხელი ილოს მკლავებში სტაცა, ჩაბღუჯა, დაიღრიალა:

— გესმის? თავი მომჭერი?

ილო მიხვდა და ლილას დაემსგავსა.

— არა, ლუკა, სიტყვას გაძლევ! შენს ოჯახს როგორ ვკადრებდი ამას?

— არა მჯერა! არა! ჰაი, შერცხვენავ! ილო, ან შენ, ან მე.

— რით დაგიმტკიცო რომ არ ვიცი...

— თუ პატიოსანი კაცი ხარ, შენი შერცხვენილი ქალი შენვე წაიყვანე. ხომ ხედავ სოფელი დამცინის. მერე ვის? მე, ლუკა ელიზარაშვილს.

— მე... თანახმა ვარ... — წაილუღლუღა ილომ.

— შენისთანა პატიოსანი ბიჭისაგან სხვა სიტყვას არც მოველოდი. აბა, ახლა დატრიალდი, ილოჯან! იმ ქოხში ხომ ვერ შეიყვან ქალსა. ერთი მაგარი ლეშტერი მოვიდეს, თან წაიღებს. დანარჩენი მე ვიცი.

ცოტა სიტყვა უთხრა, მაგრამ ბევრს მიახვედრა.

ილოც დატრიალდა, და რამოდენიმე ხნის შემდეგ ილომ და ლუკამ თითო-თითო სახლი წამოჭიმეს.

საკრედიტო ამხანაგობიდან ლუკამ ყველა თავისიანებს დაურიგა სესხი. წინაალმდეგ ვინ წავიდოდა, რადგან ამხანაგობის თავმჯდომარე სიძეთ გაიხადა. მოხერხებული კაცი იყო და არც ერთს ფულადი საბუთს ხელს არ აწერდა. სულ სხვის საშუალებით აკეთებდა.

ბოლოს, კედლის გაზეთში გასწერეს: თავისიანებს ეხმარებაო, ყველგან თავისიანები ჩააყენაო.

კედლის გაზეთს კომკავშირის მდივანი მოიხმო და ჰკითხა:

— ვინ დასწერა?

— რა ვიცი!

— შენ დასწერდი.

— ტყუილის კვალში ჩამდგარხარ.

— მაშ, სთქვი, ვინა?

— ეს საიდუმლოებაა. ამისი გამჟღავნება არ შეიძლება.

— რომ გადმოგაბრუნო და სიგრძე სიგანეთ გიქციო, ეს შეიძლება?

— ამისი უფლება არა გაქვს.

— ჰო და, ჩემზე სისულელე სწერო, ამისა უფლება გაქვს? აბა, რომელი ჩემიანი მოვაწყვე სამსახურში? ტყის მცველი მე მოვაწყე? სანამ ჩემს ქალს შეირთავდა მანამ იყო ტყის მცველი. შენ, როგორ ფიქრობ: ესაო და ტყის მცველიაო, ქალი არ მიმეცა?

ან საკრედიტო ამხანაგობის თავმჯდომარისათვის იმიტომ არ მიმეცა ქალი, რომ თავმჯდომარე იყო?

— კოოპერატივის გამგე?

— კოოპერატივის გამგეს ჩემი შვილი არა ყავს.

— ძმისწული ყავს.

— ერთი შეხედეთ, რა პირმოხეულია!—გამწარდა ლუკა.—მაშ, შენის აზრით, ჩემი ნათესავები არ უნდა გათხოვდნენ? ჩემიანებმა ქალები არ უნდა შეირთონ? დავაბრუნოთ ბერ-მონოზნობა, გავხსნათ ისევ მონასტრები. ესაა შენი წადილი? იმის ნაცვლად, რომ ხალხი გა[illegible]რავლდეს შენ [illegible]ლობას ქადაგებ? [illegible], ის გაუთხოვარი, [illegible] [illegible], ორჯერ რომ დაგინახე იმასთან, [illegible] [illegible]დიხარ, თუ კუდი არ გეწვის?

კედლის გაზეთის ხელმძღვანელი გაწითლდა და ლუკამ მშვენივრად დაყნოსა ჰაერი, და დამარიგებელის კილოთი, უთხრა:

— აი რა, ბიძია, ჩემს ქალზე ხელი აიღე. მე ფაცხაში ქალს ვერ გაგატან. ჯერ სახლი დაიდგი, ოჯახი გაავსე, და მერე მთხოვე ქალი.

— ეს ძველი აზრებია—მიუგო მდივანმა.

ლუკა აენთო:

— გლახას მე ქალს არ მივსცემ.

მდივანიც აენთო:

— არც შეგეკითხები ისე წავიყვან.

— როგორ თუ არ შემეკითხები. ძმარს გადენ ცხვირიდან.

— ვნახოთ! — დაემუქრა მდივანი.

და მათ შორის უფრო გამწვავდა ბრძოლა.

იმ დღიდან ლუკა აუხირდა სოფიოს. კრებებზე არ უშვებდა, დაღამების შემდეგ სახლიდან ფეხს არ გადააბიჯებდა. მუდამ ჭკუის დარიგებით თავი გამოულაყა.

— ღარიბი... რათ გინდა ოხერი და ტიალი.

ბოლოს სოფიო ეურჩა:

— ამბობენ ძველად იყოვო ასე.

ჰაი გიდი, ძველად სიძეზე იტყოდნენ კარგი სახლკარი აქვსო, ამდენი მიწა აქვსო, ამდენი საქონელი ყავსო, ამდენი [illegible] [illegible], პატრონიაო, კარგი დედ-მამის შვი[illegible]

— ეს ჩემი საქმეა.

— ისე მოგთელო, როგორც ოსური ნაბადი.

და სწვდა თმეპში.

სოფიომ მიატოვა სახლი. ორთა ბანაკის ბრძოლა გამწვავდა. ლუკა დადიოდა მარჩენალი კამეჩივით.

ლუკას სმა-ჭამა უყვარდა. სიამოვნებით მიდიოდა სტუმრად ლხინია თუ ქორწში.

— მთავრობას პატივისცემა უნდა, ძმაო! —ხუმრობდა, და სერიოზულად დაუმატებდა:

— რა გაყვება ამ ქვეყნიდან? საიქიო არ არისო, მოკვდა იმისი მომგონი. მოკვდები და ჭიები დაგჭამენ. მაშ, რისთვის ვცხოვრობთ?

ერთხელ, ერთმა გლეხმა წვეულება გამართა. ლუკაიე შემწყრალი იყო და არ დაპატიჟა. ქეიფმა სამი დღე-ღამე გასტანა.

— დააწერეთ მაგ მამაძაღლს ისეთი გადასახადი, რომ სამი წლიწადი წელში ,ვერ გაიმართოს. მე ვუჩვენებ მას აბუჩად აგდებას.

ეს გაიგო თემკომის მდივანმა და რევიზია დაუნიშნა. ხომ იცით, ბალანსი ციფრებისაგან შესდგება. ერთი ციფრი თუ ყალბია და დაიშალა, მთელი ბალანსი უნდა დაიშალოს. სხვანაირად არ შეიძლება. ასეთია ბუჰლალტერიის წესები. ასე დაემართა ლუკასაც. რევიზიამ ერთი სიყალბე რომ აღმოაჩინა, ერთს მეორეც მოჰყვა. მეორეს მესამე, და დაირღვა მთელი ბალანსი.

ლუკას მოწინაალმდეგე ბანაკი უფრო მძაფრად ამუშავდა. ამუშავდენ ლუკას მომხრენიც, რადგან ლუკას დიდძალი ნათესაობა და ნაპურმარილევი ხალხი ყავდა. მაგრამ ლუკას არ უმადლოდნენ ღარიბები.

— ღარიბი გლეხი რაში უნდა გამომადგეს? რა ჭირათ მინდა?—იტყოდა ხშირად ლუკა.,

მართლაც, როდესაც ლუკას საქმის გამოძება დაიწყეს, ღარიბები არ გამოადგნენ ლუკას. პირიქით ერთხმად, ერთსულოვნად გაილაშქრეს მის წინააღმდეგ და დაუჭირეს მხარი თემკომის მდივანს.

როცა დარწმუნდა, რომ საქმე ცუდათ მიდიოდა ლუკამ, განაცხადა·

— ბოლოს და ბოლოს რა გინდათ ჩემგან? არ მოგწონხართ? მე თვითონ გადავდგები. მე ხომ არ მითხოვნია ამირჩიეთ მეთქი. ხელის მოწერა ძლივს ვიცოდი და მაინც ამირჩიეთ. რა ჩემი ბრალია? იმისი მადლობაც მითხარი, რაც გავაკეთე.

ლუკას გამოუცხადეს საკადრისი „მადლობა“: გამორიცხეს პარტიიდან და სამი წელი კარგად უნდა დაისვენოს გამასწორებელ სახლში, სადაც ხელის მოწერას კარგად შეასწავლიან.

ბუჰლალტერი დადუმდა.

მასწავლებელმა ქალმა გაიცინა. შორს, ტყის თავზე, მთვარე ნელ-ნელა ამოგორდა. ღამის სიჩუმისა და მთვარის სიჩუმის შუა ქალის სიცილი თეთრ ელვასავით დაეკიდა. ამ სიცილმა ყველას გულში უცნაურად დაირბინა, და მთვარის სხივებზე აკინძა ჯერ დაბალი, მოკრძალებული, შემდეგ მაღალი და გაბედული:

„ოხ, მთვარევ, მთვარევ, დამწვარო მედო, მსურს ჩემი ტანჯვა შენ გაგიბედო.“

1930 წ.

# კ. თ. რილეევი

107 წელი შესრულდა მას შემდეგ (13 ივლისი 1826 წ.), რაც რილეევი ნიკოლოზ I განკარგულებით, ჩამოახრჩვეს.

რილეევი იყო ცნობილი პოეტი და დეკაბრისტი. დაიბადა 1795 წ. 18 სექტემბერს. მამა მისი მსახურობდა თავად გოლიცინთან საქმეთა მმართველად და განთქმული იყო სისასტიკით. განსაკუთრებით დესპოტურად ეპყრობოდა იგი ოჯახის წევრებს: ცოლს და შვილს. შეუბრალებელ მამის ბრჭყალებისაგან შვილის გადარჩენის მიზნით, დედამ პატარა რილეევი 1801 წ. მიაბარა კადეტთა კორპუსში. აქ რილეევმა ადრევე გამოამჟღავნა პოეტური ნიჭი. მაგრამ მისი ნამდვილი ლიტერატურული მოღვაწეობა იწყება 1820 წლიდან.

ამ ხანებში იგი დაუახლოვდა და დაუმეგობრდა იმ დროინდელ საუკეთესო ლიტერატურულ ძალებს: პუშკინს, მარლინსკის და სხვ. 1923 წ. რილეევმა ბესტუჟევთან ერთად, გამოსცა „პოლარული ვარსკვლავი“, რომელიც სამი წლის განმავლობაში გამოდიოდა. ამავე (1823) წელს რილეევი შევიდა წევრად რევოლუციონურ „ჩრდილოეთის საზოგადოება“-ში. ერთი წლის შემდეგ, იგი საზოგადოების დირექტორად აირჩიეს. „ჩრდილოეთის საზოგადოება“ განირჩეოდა „სამხრეთის საზოგადოებისაგან“ დემოკრატიზმით. რილეევი მოითხოვდა მიეღოთ საზოგადოებაში, დანარჩენ მაღალ ფენებთან ერთად, მეჩშანებიც; აგრეთვე ყმების განთავისუფლებისთანავე მიეცათ გლეხებისთვის მიწა და სხვ.

რილეევმა აქტიური მონაწილეობა მიიღო სენატის მოედანზე მეფის წინააღმდეგ ჯარის გამოსვლებში. იგი დაიჭირეს და დანარჩენ ხუთ ამხანგთან ერთად, მიუსაჯეს ჩამოხრჩობით სიკვდილი ოთხად გაჭრით.

საბრალმდებლო ოქმში რილეევზე ნათქვამი იყო: „განზრახული ჰქონდა მეფის მოკვლა; ამის სისრულეში მოსაყვანად, დანიშნული ჰყავდა სათანადო პირები. განზრახვა ჰქონდა შეეპყრო, გაეძევებია და მოესპო მთელი საიმპერატორო გვარეულობა. აგროვებდა ამ მიზნით ხალხარს. ადგენდა აჯანყების გეგმას. თხზავდა დაავრცელებდა აღმაშფოთებელ ლექსებს და ხიმღერებს, აჯანყებდა დაბალ მოხელეებს სხვადასხვა დაპირებებით და აჯანყების დროსაც თითონ გამოცხადდა მოედანზე“.

რილეევს ოთხად გაჭრა შეუცვალეს ჩამოხრჩობით, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი 13 ივლისს, 1826 წ.

რილეევის ლიტერატურულ მემკვიდრეობას წარმოადგენს უმთავრესად მისი „ფიქრები“ („დუმი“) და პოემები. პოემებიდან ცნობილია „ვოინაროვსკი“. განსაკუთრებით შავრაზმელების დიდი აღელვება გამოიწვია ლექსმა „მედროვეს“. ამ ლექსში რილეევი ილაშქრებდა მრისხანე და საზიზღარ მებატონის არაქჩიევის წინააღმდეგ. ცნობილია აგრეთვე ლექსი „ბოგდან ხმელნიცკი“.

შ. ბ.

# მედროვეს

მედროვევ ბილწო, არამზადავ და საშინელო,
მონარქის ყმაო, მეგობარო, ფლიდო, მლიქვნელო!
მშობელი ქვეყნის ხარ ტირანი აუტანელი—
განდიდებული, მეტიჩარა და საძაგელი.
კადნიერდები შემომხედო ზიზღით, ვაგლახით,
თითქოს მიცხადებ ბოროტ რისხვას მრისხანე სახით.
შენს პატივს გროშად არ ვაფასებ, რადგან გინება
შენი ბაგიდან ჩემთვის, მჯერა, ქება იქნება.
შენს მიერ მოძღვნილს დამცირებას გულში დავცინი.
განა ოდესმე დამამდაბლებს შენი თაკილი!
რადგან მე თითონ შენდამი ზიზღს ვატარებ მკერდში
და ვამაყობ რომ შენს ბილწ ზრახვას ვერ ვპოებ ჩემში.
შენი წუთიერ დიდებისა რას ნიშნავს ხმები?
რას მოასწავებს ცრუ სახელის ფუჭი ჰანგებისჯობია შენთვის, დავიწყების დაგფაროს ფარდამ,
ვიდრე ცხოვრობდე გაიძვერა და არამზადა!
ვიდრე შენს ქვეყნის სამჯავროზე ეგ შენი თავი —
წარუდგეს, როგორც სამარცვნიბო, გასაკიცხავი.
რა სარგებლობა მოგიტანა მაგ განდიდებამ,
გვარი კი არა — ქვეყნად ფასობს თითონ ღირსება.
რაა პატივი! მის გარეშეც მეფეები მძაგს.
ციცერონშიაც — არა კონსულს, თითონ ვცემ თაყვანს.
დიადო კაცო! რად არ ძალგიძს კვლავ დაიბადო,
რომ ქვეყნის ჭირი, განსაცდელი კვლავ გაიფანტოს.
ძრწოდე ტირანო! შეუძლია მას დაბადება
კასსის, ან ბრუტსა, ანდა მეფეთ საშიშ მტერს კატონს!
ო, ვით ვესწრაფვი ჩემი ქნარითმივუძღვნა ქება,
ვინაც ძირს დაგცემს ჩემი ქვეყნის მრისხანე ბტონს.
იქნება ცდილობ პირფერობით გაბრუებული
ხალხს დაუმალო ბოროტების მიზეზი ცხადი,
არ იცი შენი საშინელი მდგომარეობა
და ცდები, ბრიყვო უვიცობით დაბრმავებული.
როგორც არ უნდა ითვალთმაქცო ველარ დამალავ,
ბოროტ თვისებას მაგ სულისას აწ ვერ დაფარავ.
ხალხის წინაშე შენი ხსოვნა დაიკრულება,
შეიგნებს ერი, რომ მოსტაცე თავისუფლება!
მძიმე ბეგარით კვლავ გაძარცვე შენ იგი ერი.
წაართვი სოფლებს სილამაზის ძველი იერი.
მაშინაც ძრწოდე, ო, მედროვევ, საზიზღარ სულით
საშინელია რისხვა ხალხის ამხედრებულის.
მაგრამ თუ ბოროტ ბედს მოუნდა დაზოგვა შენი
და აგარიდა ხალხის რისხვა და განაჩენი—
მაშინაც ძრწოდე, ო, ტირანო, შენს მტარვალობას
ღირსეულ სასჯელს გამოუტანს შთამომავლობას!

თარგ. შ. ბურბაძის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „მ ი წ ა! მ ი წ ა!“

## ამერიკული ლიტერატურა ჰხედავს ახალ მიწის ნაპირებს

### თეოდორ დრაიზერ

### სხვა გზა არ არის

თეოდორ დრაიზერი — უდიდესი ამერიკული რეალისტი მწერალია. მის კალამს ეკუთვნის რომანები: „ფინანსისტი“, „ტიტანი“, „გენია“, „ამერიკული ტრაგედია“ და სხვ. დრაიზერი პირველად 1928 წელს ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში, რასაც შედეგად მოჰყვა მისი წიგნი „დრაიზერი უყურებს რუსეთს“. ამის შემდეგ ის განუწყვეტლივ გამოდიოდა პრესაში, როგორც საბჭოთა კავშირის მეგობარი. 1931 წ. დრაიზერი უახლოვდება ჩ.ა.შ. შტატების რევოლუციურ მოძრაობას. აქტიურ მონაწილეობას ღებულობს გაფიცულ მემაღაროელთა დაცვასა და სხვა რევოლუციურ პოლიტიკურ კამპანიებში. დრაიზერი წევრია პროფესიულ ჯგუფების რევოლუციური ლიგის. 1931 წ. გამოვიდა მისი უკანასკნელი წიგნი „ტრაგიული ამერიკა“, სადაც ის რევოლუციურ კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს შეერთებული შტატების საზოგადოებრივ წყობილებას მის მიმართ საბჭოთა კავშირის დაპირისპირებით.



ქვემოდ გამოქვეყნებული ნაწყვეტი წარმოადგენს მის სიტყვას, რომელიც ამოღებულია მისი ჯერ გამოუქვეყნებელი წერილიდან „მიმართვა მხატვრისადმი“.

—:—

მოსალოდნელი იყო გვეფიქრა, ამჟამად, ჩვენი ამერიკელი ინტელიგენციის საგრძნობი ნაწილი მიხვდებოდა, რომ ქვეყანა განიცდის საშინელ კრიზისს, რომლის ლიკვიდაცია ყოვლად შეუძლებელია შეგინებული და გახრწნილი ამერიკული კაპიტალიზმის სისტემის, მისი ქუოუმების, მათი მოამომავლობათა და აგენტების აღდგენის საშუალებით.

ყოველგვარი საფარი ბერკეტი, როგორიცაა მრეწველობის აღგენის ნაციონალური ადმინისტრაცია ფუჭუჭურია. ეს ორგანიზაცია სხვა არაფერია, თუ არა ალორძინების გეგმების მიღწევა არა მასისათვის, არამედ მხოლოდ გარკვეულ კლასებისათვის. მართლაც ძველ საფუძვილზე, სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ, ის მიზნად ისახავს აღადგინოს და განამტკიცოს სიმდიდრეთა განაწილების წინანდელი თორმები. მთელი სიმდიდრეთა 95 პროც. ხალხის 5 პროც. ხელში, ხოლო მოსახლეობისათვის 95 პრ. კი მთელი ქონების მხოლოდ 5 პროცენტი.

ამასვე შეიძლება დავუმატოთ ისიც, რომ რუზველტის ეკონომიური პოლიტიკის პროგრამა შედგენილია გალატაკების აყვავების მისაღწევად, რაც წარმოადგენს რუსეთის დიამეტრალურად საწინააღმდეგო მოვლენას, სადაც ალორძინება — აყვავებას აღწევენ კეთილდღეობის საშუალებით, ინტენსიურ მასობრივ წარმოების განვითარების საშუალებით, რომელიც მოქმედობს მთელი საზოგადოებრივობის ინტერესებით და რომელსაც არ მოაქვს რაიმე დამატებითი შემოსავალი რომელიმე ცალკე ინდუსტრიულ ჯგუფებისათვის.

მაშასადამე მუშებს, ფერმერებს, მოსამსახურეებსა და ინტელიგენტებს შეუძლიათ დაამყარონ საერთოდ სამართლიანი სოციალური წესწყობილება მხოლოდ კაპიტალიზმის სრული ლიკვიდაციითა და კონტროლის დაწესებით არა მარტო წარმოებაზე განაწილებაზე, გაცვლასა და მიხმარებაზე, არამედ თვით მთავრობაზედაც.

სხვა გზა არ არის.

მაგრამ როგორია ამჟამად ამერიკის ინტელიგენციის, ან საერთაშორისო ინტელიგენციის, ესტეტების, მხატვრების, ფილოსოფოსების, სწავლულების, პედაგოგების, გამომგონებლებისა და მოაზროვნეთა მდგომარეობა? რაც უნდა ფართე არ იყოს მათი გონებრივი ჰორიზონტი, რაც უნდა დიდი არ იყოს მათი საზოგადოებივი ღირებულება, ახლანდელი მდგომარეობის მიხედვით, ისინი ვერაფრით განსხვავდებიან ჩვეულებრივ მოსამსახურეებისაგან.

მე წინადადებას ვაძლევ მათ, ყურადღება მიაქციონ შედარებით უფრო უზრუნველყოფილ მდგომარეობას, რასაც მიაღწიეს მწერლებმა, მხატვრებმა, სწავლულებმა, მოაზროვნეებმა და პედაგოგებმა რუსეთში.

რუსეთში ახლა იყენებენ (და მერე როგორ!) ინტელიგენციას როგორც ინდივიდუალურ, ისე მასიური ხასიათის სხვადასხვაგვარ მხატვრულ და შემოქმედებით მუშაობაში. ისინი სავსებით უზრუნველყოფილ პირობებში მუშაობენ არქიტექტურის, მეცნიერების, აღზრდის, გამოკვლევათა, ხელოვნესაბა და ლიტერატურის დარგებში.

ნუთუ მომავალ, ეგრე აუცილებელ სოციალურ გადახალისებათა პროცესის დროს ინტელიგენცია განზე გადგება მშრომელთაგან, მუშათა მსისაგან და სრულ კმაყოფილების გრძნობით გადავა სხვა, მისთვის მტრულ ბანაკში? იმედი მაქვს რომ არა,— განსაკუთრებით ინტელიგენციის მრავალ საუკუნეთა განმავლობაში შემოქმედებით მონობის შემდეგ მაინც.

### უოლდო ფრენკ

### მთელი ქვეყნის ბელადი

უოლდო ფრენკ ცნობილი ამერიკელი მწერალი და პუბლიცისტია. მას ეკუთვნის რუსულ ენაზე გამოცემული რომანი „გზაჯვარედინი“ და „დღესასწაული“. იმპერიალისტურ ომის დროს ერთი იყო ამერიკელ ინტელიგენტთა იმ მცირე რიცხვში, რომელიც გამოდიოდა ომის საწინააღმდეგო პროპაგანდით. მილიტარისტული წრეების ზეგავლენით ხელი აიღო მისი ხელმძღვანელობით არსებულ ჟურნალ „შვიდი ხელოვნების“ გამოცემაზე.

1931 წ. ფრენკი იყო საბჭოთა კავშირში, აქედან გამგზავრების ერთი წლის შემდეგ მან გამოაქვეყნა წიგნი რუსეთის შესახებ „განთიადი რუსეთში“, რომლიდან ამოღებულია ქვემოდ მოყვანილი ნაწყვეტი.



ამერიკაში დაბრუნების შემდეგ ფრენკ მონაწილეობდა მთელ რიგ პოლიტიკურ კამპანიებში, რომელსაც მეთაურობდა კომპარტია; ფრენკ შევიდა პროფესიულ ჯგუფების რევოლუციურ ლიგაში.

—:—

რევოლუციები — ახალგაზრდობის მეგობარია, უკეთ ისინი მტრობენ სიბერეს. საბჭოთა კავშირის სამრეწველო ქალაქებში, სამრეწველო ცენტრებში ქუჩები, ქარხნები, ფაბრიკები, კოლმეურნეობები და მოედნები ხმაურობენ ახალგაზრდული სიმღერით. ახალგაზრდობა, რომელსაფ მინიჭებული აქვს სრული თავისუფლება, საუკეთესოა. რუსეთის ახალგაზრდობა სარგებლობს გასაოცარი თავისუფლებით. ის მთელი არსებით დანდობილია შრომასა და რწმენაზე, რომელსაც მიაქვს ყველა მისი საათები, მთელი მისი ნიჭი, უნარი და ოცნება. საბჭოთა კავშირის ყოველი ცალკე ახალგაზრდა ერთეულის თავისუფლება მდგომარეობს მთლიანის, საერთოსადმი აუცილებელ სამსახურში. ეს არის ერთადერთი რეალური თავისუფლება, რომლისაკენ შეიძლება მიისწრაფოდეს ადამიანი: თავისუფლება დამყარებული შეგნებასა და საზოგადოებაში შენი როლის სიხარულით შესრულებაზე.

საბჭოთა ახალგაზრდობამ სავსებით მიიღო კომუნიზმი, ის შეგნებულად კომუნისტურად აშენებს თავის ცხოვრებას. მოსკოვში მე ყველგან ვხვდებოდი ამ ახალგაზრდობას და ყოველთვის, როცა მე მოვხვდებოდი მათთან ყველა ჩემი ეჭვები იფანტებოდა,—მე ბედნიერი ვიყავი..

ერთხელ, მოსკოვის დიდ სახლში — კავშირთა სახლში უნდა შემდგარიყო პიონერთა და კომკავშირელთა კრება. ორი საათის განმავლობაში დამჯდარი, თუ ფეხზე დამდგარი ორი ათასამდე ახალგაზრდა არჩევდა თავის ცოცხალ პრობლემებს. მე დავიკარგე ამ ოქროფრად მღელვარე საბჭოთა ბავშვების ზღვაში.

ყმაწვილები მე ყურადღებას არ მაქცევდენ. ისინი მეტად გართულნი იყვნენ. რით იყვნენ გართულნი ისინი? მხოლოდ

ერთ თემით: რევოლუციით. ყოველი პიონერი, ყოველი კომკავშირელი იყო მისი მებრძოლი; უფრო მეტი, ყოველი მათგანი იყო მისი შემომქმედი, ისინი გრძნობდენ, რომ საერთაშორისო მუშათა კლასის მომავალი, მთელი კაცობრიობის მომავალი — დამოკიდებულია მათზე, რომ ეს მომავალი შექმნილი იქნება მათ მიერ, მათი გონების, ნიჭისა და სხეულის მიერ.

ამის შემდეგ, განა გასაკვირალია, თუ მათი თვალები, ეგრე ბრწყინავენ, თუ მათი სახე ამჟღავნებდა ესოდენ დამაჯერებელ გამომეტყველებას? მათში ვერაფერი შევამჩნიე ხელოვნური.

კედლიდან ლენინის მრისხანე სახე და მარქსის დაფიქრებული გამომეტყველება გადმოსცქეროდა ყმაწვილებს. სიცილი მოხეთქილ ნიაღვრად მოდიოდა მათი სავსე სიცოცხლისა, მათი რწმენისა და ძლიერების შეგნებისაგან. ბავშების უმრავლესობა იცინის. ეს ბავშები კი იცინოდენ იმის შეგნებით, რომ უძვირფასესია მათი მომავალი, ისტორიული მიზნები.

—:—

ახლა იბადება ახალი კულტურა, რომელიც იქნება კაცობრიობის პირველი კულტურა (მონურ კულტურისაგან განსხვავებული) — ჭეშმარიტი საერთაშორისო კულტურა.

ასეთი კულტურის დაბადება შეუძლებელია იყოს უბრალო პროცესით და მის ბოლომდე მისაყვანად საჭიროა უამრავი ადამიანისა და ყველა ეროვნებათა ძალლონე. ეს პროცესი იმდენ ფორმას მიღებს, რამდენსაც დედამიწა, იმდენ რთულს, რამდენსაც კაცობრიობის გენიის გზები იღებს ხოლმე. მაგრამ არც ერთი მისი ეტაპი არ იქნება ეკონომიურ გადატრიალებაზე უფრო მნიშვნელოვანი, რომელიც ხდება სოციალური რევოლუციით. **ამ დარგში საბჭოთა კავშირს სამართლიანად უჭირავს მთელი ქვეყნის ბელადის ადგილი.**

ყოველი ადამიანი, ვისაც არ უნდა, რომ ადამიანთა სიცოცხლე იყოს უბრალო სტერილიების კორიანტელი, ვინც რაიმე მნიშვნელობა აძლევს იმ ღირებულებას, რომლისთვისაც ცხოვრობდენ ადამიანები ყველა ეპოქაში და აფასებდენ ჭეშმარიტებასა და სილამაზეს — ვალდებულია მხარი დაუჭიროს საბჭოთა კავშირს. ჩვენს დროში ეს არის კაცობრიობის ნამდვილი საიმედო დასაყრდენი.

## შერვუდ ანდერსონ

## ისინი ახლოს არიან

**შერვუდ ანდერსონ ცნობილი ამერიკელი მწერალია. მის კალამს ეკუთვნის მოთხრობების მრავალი კრებული. რუსულად თარგმნილია „უაინზბურგ ოგაიო“, „კვერცხის დღესასწაული“, და სხვ. მასვე ეკუთვნის მთელი რიგი რომანები. შერვუდ ღარიბი ფერმერის შვილია. ახალგაზრდობაში იყო მუშა, შემდეგ ჯარისკაცად ამერიკის არმიაში. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ემხრობოდა რევოლუციურ მოძრაობას. აქტიურად გამოდიოდა ამსტერდამის ომის საწინააღმდეგო კონგრესზე. 1932 წ. მონაწილეობას იღებდა ამერიკის მთელ**



**რიგ რევოლუციურ პოლიტიკურ კამპანიებში. ანდერსონ წევრია პროფესიულ ჯგუფების რევოლუციური ლიგის.**

—:—

(„მწერლის შენიშვნა“ — დაბეჭდილია ჟურ. „ნიუ მესსეს“-ში, 1933 წ. აგვისტო).

—:—

ახლა ამერიკელი მწერლის ყველაზე უფრო მწუხარე განცდა არის ამერიკული წიგნის მაღაზიაში შესვლა, ღმერთო, რა ბნელი პერსპექტივაა, რა ღრმა სევდა და გლოვება.

რატომ?

რეკლამა არ არის, წიგნზე მოთხოვნილება ვარდება, ჟურნალებზე ხელის მომწერთა პოვნა ხომ უფრო ძნელია. მე დავეხეტებოდი მთელს ქალაქში, ხშირად ვჩერდებოდი და ყურს ვუგდებდი ორატორ კომკავშირელებს, რომლებიც გზაჯვარედინებზე გამოდიოდენ... ცოტა მოკრძალებული ვიყავი ჩემი თეთრი კოსტუმის, ჯოხისა და პანამის გამო. ახალგაზრდა კომკავშირელი ქალი, რომელიც გამოვიკუთხესა და 2 ავენიუზე, მოვიდა ჩემთან და გაჩერდა. ეს იყო საღამოს.

— თქვენ უმუშევარი ხართ?—მკითხა მან დასაოცარი და მომჯადოებელი გულუბრყვილობით.

ვფიცავ, შემრცხვა, ძალიან შემრცხვა.

თეთრი ტილოს კოსტუმი, ჯოხი და პანამა.

— ჩემო დაო, უმუშევრები ასე როდი იცვამენ.

...მაგრამ დავუბრუნდეთ ამერიკელ მწერლებს. დე, გამოჩნდეს ახლა ახალი მწერალი, ახალი პოეტური ნაწარმოებით. ერთმა ღმერთმა უწყის მხოლოდ თუ რა მოელის მას.

ახალგაზრდა მებრძოლ კომუნისტებში მე ვნახე საშინელი სიღარიბე, ახალგაზრდობა ვნახე, მაგრამ სასოწარკვეთილება არ შემიმჩნევია.

თუ კაპიტალიზმის მოსპობისა და რაღაც ახალის, ჯანსაღისა და ძლიერის დამკვიდრებისათვის საჭიროა ჩვენ, ეგრედ წოდებული, მხატვრობის კლასი მოვისპოთ, გავქრეთ, დე, ასე იყოს. ჭირიც წაგვიღია! სიღარიბე და ოდნავი შერყევა ვერაფერს დაგვაკლებს ჩვენ, მე კი მჯერა ჩემი კლასის, მხატვართა კლასის. სამყარო დაბერდა, ცვლილებები უწინაც ხდებოდა. თუ კი ამერიკაში უნდა გაჩნდეს ახალი, უფრო დიდი და ღირსეული ადამიანები, ასე მანსი ერთის წინააღმდეგ არის იმის გამო რომ ისინი მოვლენ მასიდან, რომ უკვე ახლოს არიან.

თუ კი კაპიტალის უღლისაგან მთელი კაცობრიობის განთავისუფლებისათვის ბრძოლა მოითხოვს ჩვენი კლასის გაქრობას —დეე, ასე იყოს, ჯანიც გაგვარდეს, ჩვენ, რა საჭიროა, რომ ჩვენთვის დაიხოცონ მუშები, ჩვენ გადავგვარდებით, ჩვენ გავსცურავთ, საბოლოო ჯამში ჩვენ ვიქნებით უფრო ჯანსაღნი და უკეთესნი.

—:—

## ლენგსტონ ხიუზ

## მე ვიდარდებ მოსკოვზე

**ლენგსტონ ხიუზ ერთ-ერთი გამოჩენილი ზანგი პოეტი და რომანისტია, თანამედროვე ამერიკაში. ხიუზ ავტორია რუსულ ენაზე თარგმნილი რომანის „სიცილი ცრემლის ქვეშ“. (გამოც. „გიხლ“ 1933 წ.). უკანასკნელი წლების განმავლობაში ხიუზის პოეტური შემოქმედება უფრო გარკვეულ რევოლუციონურ ხასიათს ატარებს. 1932—33 წ.წ. თითქმის ერთი წელი დაჰყო მან საბჭოთა კავშირში, სადაც მან სხვათა შორის დიდი მგზავრობა მოაწყო შუა-აზიაში. ამჟამად ხიუზ მუშაობს ნარკვევების წიგნზე თურქმენისტანის შეხახებ.**



—:—

„თუ თქვენ ყველაფერი ამის ყიდვა ვერ მოახერხოთ ნიუ-იორკში, შეიძინეთ ბერლინში. წინასწარ მოიმარაგეთ ყველაფერი: კონსერვები, შაქარი, საპონი, ტუალეტის ქაღალდი, ფანქრები, მელანი, თბილი ტანისამოსი, კონსერვის გასაღებები, კბილის ჩოთქი, ფეხსაცმელის ზონარები და სხვ. და სხვ. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული იქნებით იაროთ მოსკოვში ჩამოხეულ და ჭუჭყიან მაწანწალად, — ასე მეუბნებოდენ დაჟინებით ჩემი ახლობელი მეგობრები.

„საბჭოთა კავშირში ყველაფერს განაგებენ გლეხები და ღარიბები, ესენი კი ყველაზე უფრო რეგვენი ხალხია ქვეყანაზე. მოსკოვი თქვენ განცვიფრებაში მოგიყვანთ იმედს დაგიკარგავთ“,—მეუბნებოდენ მე პატივცემული ჯენტლმენები, რომლებმაც „სპეციალურად შეისწავლეს“ რუსული ექსპერიმენტები.

„ო, იფიქრეთ, თუ რა ბედი ეწვევა თქვენს პოეზიას. მოსკოვში მხოლოდ პროპაგანდაზე ფიქრობენ“, — განცვიფრებით მომმართავდენ ხოლმე უმშვენიერესი დამები.

„ყველაფერი რასაც თქვენგან ითხოვენ, —ეს არის თქვენი კომუნისტად გადაქცევა.

ეს უნდათ თქვენგან და თქვენ ჯგუფში შემავალ ზანგებისაგან, მხოლოდ ეს, რომ თქვენ მოგკლან მერე, როცა დაბრუნდებით, სამშობლოში, თუ კი, რათქმა უნდა, ამერიკის მთავრობა დათანხმდა თქვენს შემოშვებაზე",—მეუბნებოდენ მე ზანგი ბურჟუები.

„[illegible]ბესია შინ დარჩით".

—:—

„შეუძლებელია, — ვუპასუხე მე,—მოსკოვი უნდა ვნახო, ეს აუცილებელია!".

ამრიგად, როცა „ევროპა" გავიდა ნიუიორკის ნავსადგურიდან 1933 წ. 15 ივნისს მე ვიყავი 22 ზანგთა შორის, რომლებიც მოვემგზავრებოდით საბჭოთა კავშირში. ფილმის „თეთრები და შავები"-ს გასაკეთებლად.

სამი თვის განმავლობაში კინოში მუშაობამ განცვიფრებაში მომიყვანა, განსაკუთრებით მაშინ, როცა მე, როგორც მწერალს, მომიხდა მგზავრობა შუა-აზიაში და იქ, ბუხარასა და სამარყანდის ირგვლივ გაშლილი ახალი ცხოვრების შესწავლა. სოციალიზმი ძირფესვიანად აგდებს საუკუნეთა განმავლობაში განმტკიცებულ ზნეჩვეულებებს: პარანჯას, მრავალცოლიანობას, მეჩეთებს, ალაჰის კულტს და წერა-კითხვის უცოდინარობას. ყველაფერი ეს ჰქრება შუა აზიის დღევანდელ სინამდვილიდან.

შუა აზიაში ხუთი თვის ყოფნის შემდეგ მე სიამოვნებით დავბრუნდი მოსკოვში — ამ უდიდეს მქუხარე, ქალაქში, რომელიც ძალიან მიაგავს ჩიკაგოს, კლივლენდს, ან ნიუ-იორკს, მაგრამ რომელიც ამავე დროს ბევრი რამით განსხვავდება მათგან. ამერიკის ქალაქებში ყველაზე უფრო პატივცემული და ძლიერი ნივთია — ფული. მოსკოვში ძლევამოსილია არა ფული— არამედ შრომა.

რაც შეეხება პირადად მე, უაღრესად კმაყოფილი ვიყავი საბჭოთა კავშირში ყოფნით. მე აქ გამოვდიოდი დემონსტრაციებზე, ვხვდებოდი უამრავ პოეტებს, მხატვრებსა და არტისტებს, ვესწრებოდი საუკეთესო თეატრებს, დიდი საოპერო თეატრიდან დაწყებული წითელი პრესნის თეატრამდე, სადაც სცენა გარს უვლის მაყურებელთა დარბაზს, ხოლო საზოგადოება კი ზის შუაგულში.

მე ვნახე მოსკოვში მილიონში ყველაზე [illegible] გოგონასა და ხეზანის [illegible]. [illegible] წითელ [illegible], ვცხოვრობდი [illegible], [illegible] სინტერესოდ და [illegible].

მე დავბრუნდები ამერიკაში ისევე სოფთა, ისეთივე შთაგონებითა და ჯანსაღი ისევე მთლიანი და დაუზიანებელი, როგორც წამოვედი ნიუ-იორკიდან.

მე ვფიქრობ ამერიკაში დაბრუნების შემდეგ აუცილებლად ბევრს ვინაღვლებ მოსკოვზე...

## მაიკლ ჰოლდ

### უდიდესი ალორძინება

**მაიკლ ჰოლდ ცნობილი ამერიკელი რევოლუციონერი პოეტი და რომანისტია. მის კალამს ეკუთვნის რუსულ ენაზე გამოცემული წიგნი „120 მილიონი" და „ღარიბი ებრაელები". ჰოლდ ერთ-ერთი საძირკვლის ჩამყრელთაგანია ამერიკის რევოლუციური ლიტერატურული მოძრაობისა.**



**ის [illegible] ამერიკულ რევოლუციურ ჟურნალ „ახალ მასებს". თავის წიგნის „120 მილიონის" წინასიტყვაში იგი წერს: „საბჭოთა კავშირის ნახვამ და ახალ ცხოვრებასა და ხელოვნებასთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარებამ მისცა ჩემს შემოქმედებას ის მიმართულება, რაიც აუცილებელი იყო ჩემთვის, რაც მე არ გამაჩნდა; საბჭოთა რუსეთმა განმკურნა მე სენტიმენტალობისაგან და მომცა საკმაო გამბედაობა იმისათვის, რომ განვაგრძო ჩემი საქმე იმ ქვეყანაში, სადაც პროლეტარული მწერალი მოკლებულია მეგობრებს..**

—:—

ამოღებულია 1933 წ. ნოემბრის 4 „დეილი უორკერ"-ში მოთავსებულ წერილიდან.

—:—

ახალი კულტურა, რომელსაც ჰქმნიან საბჭოთა კავშირის პოეტები და მხატვრები მთელ მსოფლიოზეავრცელებს თავის გავლენას. საბჭოთა კინო იყო საერთაშორისო კინოს ტონის მიმცემი. საბჭოთა დრამატურგია საერთაშორისოდ ცნობილი ხდება. საბჭოთა კავშირში გამოცემულმა ერთმა საბავშო წიგნმა ([illegible] ხუთწლედის შესახებ). მსოფლიო რეკორდი აიღო, მსოფლიო თანდათან ეცნობა საბჭოთა კავშირის მუსიკას, პოეზიასა და მთელს კულტურულ დოვლათს.

შეიძლება გიყვარდეს ან გძულდეს საბჭოთა კულტურა, მაგრამ არ შეიძლება იას უყურებდა გულცივად. მასში არის სიცოცხლე, სიხალისე, სიმკვირცხლე, სიახალგაზრდავე. ის გამოსახავს ახალ ქვეყანას, რომელიც დამკვიდრებულია ახალ მჭიდრო, მაგარ საფუძველზე და არა ცარიელ ხოტბაზე „დუჩეს", ან ბელადის მიმართ. საბჭოთა ცხოვრების გმირია მასა — გიგანტი კი პროლეტარიატი და მისი გიგანტური აღმშენებლობა.

ახალგაზრდა საბჭოთა მწერლები არ ლაპარაკობენ სისხლზე და მარტოოდ სისხლზე, როგორც ეს სჩვევია ფაშისტებს, არამედ ისინი შელლის მსგავსად ლაპარაკობენ ადამიანის სიმშვიდესა და ამ სიმშვიდის მარადიულობაზე. მის სრულმნაზე.

ისინი მთვრალები არიან არა ომისადმი მიდრეკილებით, არამედ შემოქმედების უსაზღვრო შთაგონებით არიან აღტყინებულნი.

საბჭოთა კავშირმა ახლახან დაასრულა თავისი პირველი ხუთწლედი, და მის მომავალზე მსჯელობა შეიძლება იმის მიხედვით, თუ რა მიღწევები აქვს მას ამ ხუთწლედის დამთავრების შედეგად.

ბურჟუაზია ჰქმნის ომს — მუშათა კლასი — მშვიდობიანობას. ფაშისტური ბურჟუაზია უმოწყალოდ სტოვებს მის მიერ ექსპლოატირებულ მასებს; საბჭოთა ხელისუფლებას კი ამ მასებისათვის მოაქვს თავისუფლება და განათლება.

ბურჟუაზია ხშირად იჩენდა მშობლიური მზრუნველობას ინდივიდუალიზმის ბედზე რუსეთში. ბურჟუაზიული ჟურნალები ბრალს სდებენ საბჭოთა კავშირს იმაში, რომ აქ თითქოს მასების მთელი გონებრივი ცხოვრება ერთი რეგლამენტს ემორჩილებოდეს. მაგრამ როცა თქვენ გებულობთ, რომ ძველ რუსეთში მცხოვრებთა 80 პროც. იყო უსწავლელი, წერა-კითხვის უცოდინარი, ხოლო ახლა კი ეს ლიკვიდირებულია, თქვენ თვალნათლივ რწმუნდებით, რომ საბჭოთა კავშირმა მილიონიანი ინდივიდუმები საბოლოოდ გაანთავისუფლა მონობისა და სიბნელისაგან.

საბჭოთა კავშირში სრული თავისუფალი სარბიელი აქვს ქალს. საბჭოთა კავშირი ისეთი ქვეყანაა, სადაც 41 სხვადასხვა ენაზე გამოდის გაზეთი, სადაც არ არის რასიული წარმოშობის ბოდვები. საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ყოველ ცალკე ეროვნებას აქვს თავისი ავტონომიური რესპუბლიკა და საკუთარი კულტურა.. რევოლუციამდე უკრაინაში არ იყო არც ერთი სამეცნიერო საგამოკვლევო ინსტიტუტი — ახლა იქ 1.058 ინსტიტუტია. ბავშვთათვის არის 88 სპეციალური თეატრი 28 მარიონეტკების თეატრი, 64 სამხატვრო სკოლა—ყველაფერი ეს რევოლუციის ნაყოფია... გარდა ამისა არსებობს 256 მოზრდილთა თეატრი.. წიგნები და სამეცნიერო ნაშრომები, აგრეთვე ბელეტრისტული ნაწარმოებნი ხშირად მილიონ ტირაჟით გამოდის. ყოველდღიურად 40 მილიონი გაზეთი ვრცელდება. ეს არის უდიდესი ახალი აღორძინება. ჩვენს თვალწინ იშვა ახალი ქვეყანა.

სალამი შენ, სოციალისტური სამშობლოვ, სალამი შენ საბჭოთა კავშირო! შენ ცოცხალი მაგალითი ხარ იმისა, რომ შესაძლოა ადამიანის გარდაქმნა, რომ კაცობრიობის ფართე მასებში მოცემულია ყველაფერი ისე, რაც აუცილებელია თავისუფალი და უმშვენიერესი სამყაროს შესაქმნელად...

# თანამედროვე ამერიკული ლიტერატურა

ს. დინამოვი

ეს იყო შემოდგომის ნათელი და მიზანი დღე; გზატკეცილის ორივე მხრით გადაშლილი იყო მინდვრები, სოფლის შარაგზებზე მიიზლაზნებოდენ, ტაატით მიდიოდენ ურმები შორიდან ძლივს მოისმოდა მთიბავთა ხმა.

ჯონ-დოს-პასოს, ცნობილი ამერიკელი მწერალი ჩქარი ნაბიჯით მიჰყვებოდა შარაგზას, თან ხარბად გადასცქეროდა ირგვლივ გადაშლილ მინდვრებს, რამდენი რამე სმენია. რამდენი რამე წაუკითხია მას საბჭოთა სოფლის, რუსის გლეხის შესახებ და აი, ის ახლა აქვეა, ასე ახლოს დგას ის გლეხიც, რომელიც სრულიად არ ჰგავს ამერიკულ ჟურნალში აწერილ გლეხს.

თუთხმეტიოდე კილომეტრის გავლის შემდეგ დოს-პასოსთან ერთად ჩვენ შევიდით ქოხ-სამკითხველოში. პატარა ბიბლიოთეკა იყო, ჩვენ მაინც საკმაოდ ბევრი ვიპოვეთ იქ ამერიკელი მწერლების წიგნები. ჩვენ იქ ვიპოვეთ: ეპტონ სინკლერი, ჯეკ ლონდონი.

— ვერ წარმომედგინა თუ იქ, ასე შორეულ ქვეყნის მივარდნილ კუთხეში ვიპოვდი ჩემი ამხანაგების, ჩემი თანამოკალმეთა წიგნებს,—სთქვა ჯონ-პასოსმა.

ის გაოცდა. ეს იყო სიხარულით აღტაცება, პატარა ქოხ-სამკითხველო ჯონ-პასოსისათვის გახდა ახალი ქვეყნის, პროლეტარულ რევოლუციის ნიშანი. ის დარწმუნდა, რომ საბჭოთა კავშირში იცნობენ და კითხულობენ ამერიკელ მწერლებს, რომ მათი წიგნები ხვდებიან საბჭოთა კავშირის უზარმაზარ ტერიტორიის ყველა მივარდნილ კუთხეში.

დიახ, ამერიკელ მწერალთა ნაწარმოებები მილიონობით იცემა ახლა, ეს მაშინ, როცა წარსულში მხოლოდ ერთეულები გამოდიოდა ჩვენს წიგნის ბაზარზე.

**1900 წლიდან,—სწერს თანამედროვე ამერიკის უდიდესი მწერალი—თეოდორ დრაიზერ, მიუხედავად ამისა რუსეთში ოქტომბრის რევოლუციამდე მის შესახებ ერთი სიტყვაც არ თქმულა, არც ერთი მისი წიგნი არ გამოსულა.**

პრინციპიალურად სულ სხვაგვარი იყო რუსულ გამოცემათა დამოკიდებულება ამერიკელ მწერალთა ნაწარმოებების მიმართ. ჩვენს დროში კი ითარგმნა და გამოვიდა თითქმის ყველა უახლოესი ნიმუში თანამედროვე ამერიკული ლიტერატურისა, ჩვენს მკითხველს დღეს საშუალება აქვს გაეცნოს ყველაფერ იმას, რაც საუკეთესო და ძვირფასია თანამედროვე ამერიკულ ლიტერატურაში.

რა არის მასში ახალი? რა ახალი, სიტყვა შეუძლია მან სთქვას?

ტეოდორ დრაიზერ—აი, ის სახელი, რომელიც კარგად ცნობილია ჩვენში. 1927 წ. ის ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში, აქ დაჰყო მან რამდენიმე თვე ის ქვეყნის ბევრ მხარეს ესტუმრა, შემდეგ მან დასწერა წიგნი „დრაიზერ უცქერის რუსეთს", რომელშიაც ის გადაჭრით იცავს საბჭოთა კავშირს.

— საბჭოთა ბელადებს,—სწერს დრაიზერ—როგორც თეორეტიკოსებს, ისე პრაქტიკოსებს კარგად ესმით, რომ ყოველი მათგანისათვის საუკეთესოა ამა თუ იმ ფორმით ფიზიკური და გონებრივი შრომა, ხოლო ცუდია უნებლიე თუ იძულებითი სიზარმაცე; საბჭოთა ბელადებმა მიზნად დაისახეს იზრუნონ მუშაობაზე და ძირფესვიანად აღმოფხვრან უსაქმობა. მთელი ჩემის გულითა და სულით ვესალმები ამას".

დრაიზერის წიგნი მეხივით დაეცა ყველ იმათ, ვინც ებრძოდა ამერიკელი ხალხის სრულიად სამართლიან სურვილს საბჭოთა კავშირთან მეგობრულ ურთიერთობის დამყარების შესახებ. მილიუკოვმა არ დააყოვნა, ჩამოვიდა ამერიკაში და გაილაშქრა დრაიზერის წინააღმდეგ, მაგრამ უდიდესი მხატვარი (დრაიზერ) განაგრძობდა ბრძოლას საბჭოთა კავშირის ცნობისათვის, მსოფლიოში ორი უდიდესი ქვეყნის მეგობრულ ურთიერთობის დამყარებისათვის. ტეოდორ დრაიზერ არა ერთხელ გამოვიდა იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ—საბჭოთა კავშირის დასაცავად. ის ნამდვილი, გულწრფელი მეგობარია საბჭოთა კავშირის. „მე წინააღმდეგი ვარ საბჭოთა კავშირის მიმართ ყოველგვარი კონფლიქტის საიდანაც არ უნდა გამოდიოდეს ის",—განაცხადა მან.



ეპტონ სინკლერი.

არნოლდ ბენეტმა დრაიზერს უწოდა „თანამედროვეობის უდიდესი მწერალი". თავისი მოღვაწეობის 30 წ. განმავლობაში დრაიზერმა შექმნა თხზულებანი, რომელიც წარმოადგენს ამერიკის ეპოსს, მისი ცხოვრების ყოველმხრივი და ღრმა გადმოშლით. დრაიზერის პირველი ორი რომანი „კერრის და" „ჯენის გერგარდ"—ეს ორი ქალის ისტორიაა, რომლებიც იბრძოდენ თავიანთი ადგილისათვის ცხოვრებაში და რომლებმაც უარყვეს, ბურჟუაზიული პირობითი მორალი. ამ თხზულებებისათვის დრაიზერს „უზნეო" მწერალი უწოდეს, კრიტიკამ იერიში მიიტანა მასზე, ვინაიდან დრაიზერის გმირი ქალები იმდენად „გაკადნიერდენ" მათ უქორწინოდ იცხოვრეს თავიანთ საყვარელ ადამიანთან.

კრიტიკის თავდასხმამ ვერ შეაჩერა დრაიზერი, ის იბრძოდა თავის უფლებებისათვის—დარჩენილიყო ასეთივე რეალისტად, ის მიისწრაფოდა სრული სიმართლით დაეხატა თანამედროვე ამერიკული ყოფაცხოვრება, მისი სინამდვილე. შემოქმედების წვრილბურჟუაზიული ხასიათი საშუალებას არ აძლევდა დრაიზერს დაენახა მას ქვეყანა ისე როგორც ის არის, მიუხედავად ამისა, მისმა რეალიზმმა მაინც შეაშინა რეაქციონური მწერლები და კრიტიკოსები, მაგალითად რომანი „კერრის და" მხოლოდ პირველი გამოცემით რამდენიმე ასი ცალი გამოიცა და ის გასასყიდათ არც გამოსულა წიგნის ბაზარზე. დრაიზერ მაინც თავის საქმეს აგრძელებდა. ის მთელი ათი წლის განმავლობაში სწავლობდა ცნობილი მილიონერის—ჩარლზ იერკსის ცხოვრებას, ის თანისთან იწერდა მთელ რიგ სახეებს, ამ რიგად 1912 წ. გამოვიდა მისი წიგნი „ფინანსისტი". იერკსი ამ რომანში გამოყვანილია ფრენკ კუპერვუდის სახელწოდებით. ბავშობიდან ის ცხოვრობს მომხამულ ატმოსფეროში. ყველაფერი რაც მის ირგვლივ არის მხოლოდ ერთ რამეს ჩასჩიჩინებს მას—ეს არის ფული. აქ ყველაზე მთავარია ფული! მთელი განწყობილება, მთელი ატმოსფერა, მის ირგვლივ შექმნილი მასში ზრდის მტაცებელს, მის დევიზად ხდება ბრძოლა ყველა სუსტის წინააღმდეგ, მოტაცება ფულის ყველა იმათგან ვისაც ეს გააჩნია და შესაძლებელია წაართვას. კუპერვუდ ჩქარა ხდება უდიდესი ფინანსისტი, მის ხარჯზე არის პრესა, ჟურნალისტები, მოხელეები, პოლიცია, და ფილადელფიის პოლიტიკური მოღვაწეები. მიუხედავად ამისა ის მაინც მარცხდება. მისი გაიძვერობა მჟღავნდება, ის ვარდება საპატიმროში, სტოვებს ფილადელფიას და გადადის ჩიკაგოში. რომან „ტიტან"-ში (1914წ.) დრაიზერ უფრო აძლიერებს და შლის ფინანსისტ კუპერვუდის ფინანსიური ავანტურისტულ კომბინაციებს, ის მოძრაობს უზარმაზარ ხალხის მასივით, ყველაფერს ანადგურებს თავის გზაზე. მილიონ დოლარი უვარდება მას ხელში, მთელი რიგი სხვადასხვა სახის წარმოებები არის მის ხელმძღვანელობის ქვეშ. რისთვის კეთდება ყველაფერი ეს? რათ ესაჭიროება კუპერვუდს ეს მილიონები? მიუხედავად იმისა რომ დრაიზერ რამდენიმე სიმპატიას გრძნობს კუპერვუდისადმი, ის მაინც გვიხატავს თუ როგორ ამცირებს ადამიანს ნივთად ფულის ბატონობა, თუ როგორ სპობს ფული ადამიანში ყოველგვარ ადამიანურ გრძნობებსა და განცდებს, კუპერვუდი სულ ახალ-ახალ მილიონებს უყრის თავს, მაგრამ მას არ გააჩნია არავითარი ფართე ინტერესი, ფულმა გამოცალკევა ის გარეშე სამყაროსაგან.

დრაიზერის დამსახურება იმაშია, რომ მიუხედავად თავისი იდეოლოგიის მეტად განუსაზღვრელობისა, მან მოგვცა დიდი ფინანსისტის მეტად ცოცხალი, ნათელი სახე და ცალკე ხასიათების საშუალებით მთლიანად დაგვიხატა კაპიტალიზმი მთელი თავისი მწვავე შედეგებით.

რომან „გენია"-ში, რომელიც 1916 წელს მოსპო სასამართლომ დრაიზერი ისევ უბრუნდება ბურჟუაზიულ სამყაროში ადამიანზე ფულის ბატონობის საშინელსა და მომაკვდინებელ თემას. ნიჭიერი მხატვარი იუდჟინ ვიტლა გადაიქცა მოსაწყენ მოხელედ და რეკლამების მსახურად, მას თავის წიაღში ითრევს ოქროს ნიაღვარი, ის კვდება, როგორც ხელოვანი, გადაგვარდა ბურჟუად. დაბოლოს ის სტოვებს ყველაფერ ამას, გახდება უბრალო მუშა და უდიდესი ტანჯვით იკვლევს გზას ჭეშმარიტ ხელოვნებისაკენ.

„გენია" თავისებური მანიფესტია დრაიზერისათვის. ის თითქოს აფრთხილებს თავის ამერიკელ თანამოკალმეებს, ის მათ უმტკიცებს ვიტლას მაგალითით რა მოელით თუ ისინი ზურგს შეაქცევენ რეალიზმს, სინამდვილეს. ასეთ მანიფესტს უდაოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამერიკასათვის.

ჩვენში მილიონები იცნობენ ჯეკ ლონდონს. მაგრამ ბევრმა არ იცის, რომ ნიჭიერმა მწერალმა თავი მოიკლა, მიიღო ოპიუმი, იმის გამო რომ ის შეისყიდა ბულვარულმა პრესამ. მან მთელი თავისი დიდი ნიჭი დაახურდავა მაღალ ჰონორარზე და ის გახდა უბრალო ობივატელი მკითხველის გამრთობი.

არა ნაკლებად ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა მარკ ტვენი, რომელსაც მთელ თავის სიცოცხლეში უნდოდა შეექმნა სატირული ... ნაწარმოებები, ხოლო გამოაქვეყნა რამდენიმე გულუბრყვილო კული ... და თავიც კი შეიძულა, „კლოუნი" უწოდა თავის თავს.

ალბერტ ედვარდ, ავტორი ჩვენში საკმაოდ ცნობილი რომანის „ამხანაგ იეტსა"-ს, თავის ლიტერატურული მოღვაწეობის დასაწყისშივე გარდაიცვალა, როცა მან დიდი ჰონორარისათვის დაიწყო წერა რეაქციონურ პრესაში. დრაიზერს სხვა გზისაკენ მიუთითებდა ამერიკელ მწერლებს, ის ამ უკანასკნელთაგან მოითხოვდა მეტ გამბედაობას.

1925 წ. დრაიზერმა შექმნა თავისი ყველაზე უფრო მონუმენტალური ნაწარმოები, ეს არის „ამერიკული ტრაგედია"—ორ ტომად. ეს რომანი განსაკუთრებით საინტერესოა ახალგაზრდობისათვის. ჩვენს წინ წვრილბურჟუაზიული ოჯახია... ბავშვები იზრდებიან სასტიკ რელიგიურ წესების მიხედვით, მით უფრო რომ მათი მშობლების პროფესია არის სალმთო გალობა ქუჩებსა და მისიაში, მართალია მშობლები ბავშვებს აჩვენ და მიწაზედაც დადიან, მაგრამ მათ ამავე დროს მთელი რიგი „საქმეები აქვთ ცაზედაც". ზეციური საქმეებით გართულებს ავიწყდებათ შვილების საქმე. ქუჩებში საღმთო ჰიმნის სიმღერის შემდეგ ქალი დამოუკიდებლად გარბის აქტიორთან, ხოლო შინ ბრუნდება უაქტიოროდ მარტო ბავშვით. კლაიდ გრიფფიტს ჩქარა თავს აბეზრებს თავის ფანატიკ მშობლების რელიგიურ ხელობას, ის დგება ჰოტელში; მოულოდნელად ის ხდება პატარა ქურდობის მონაწილე, გარბის ქალაქიდან და იწყებს მუშაობას თავის მდიდარ ბიძასთან, ახალგაზრდა კლაიდის წინაში იშლება მდიდართა უზრუნველყოფილ ადამიანთა, კომფორტისა, ფუფუნებისა და ფულის მეუფეების ქვეყანა.

როგორც მზისუმზირა მზისკენ ისე მიილტვის ამ ქვეყნისკენ, ბოროტების ჩადის, რათა თავი დააღწიოს ქალიშვილის კარიერისათვის ხელის შემშლელ პირობებს და ხვდება ელექტრონის სკამზე. კლაიდის ამ გზას დიდი ენერგიით აწერს დრაიზერ, მწერალი დეტალურად გადმოგცემს კლაიდის მთელცხოვრებას ბავშობიდან მოკიდებული ასიკვდილო ელდენამდე. დრაიზერ ჰქმნის ამერიკული ცხოვრების აფართო პანორამას, ის მთელი თავისი დამახასიათებელი წვრილმანებით გადმოგვცემს ამერიკულ ცხოვრების მოვლენებს, ის ოდნავადაც არ ილტვება, რომ ერთ წვრილმანს მიაყოლოს მეორე, ხაზი გაუსვას მოვლენათა მთელ რიგს და ყველაფერი ეს ერთად წარმოგვიდგენოს, როგორც მთლიანი სანახაობა, როგორც დასრულებული სურათი.

დრაიზერის შემოქმედება, მისი თხზულებანი ძალიან ბევრს გვაძლევს ამერიკის გასაცნობად.

დრაიზერთან ვერ მივა ნიჭით ეპტონ სინკლერი, რომელიც ეყრდნობა მუშათა კლასის ბრძოლას, მან შექმნა რამდენიმე ნაწარმოები, რომლებიც ჩვენში სარგებლობენ სამართლიან პოპულარობით მკითხველთა შორის. უწინარეს ყოვლისა ეს არის „ჯუნგლი". თითქმის 30 წელი გასიდა ამ რომანის გამოქვეყნების დღიდან, მიუხედავად ამისა მას დღემდე არ დაუკარგია თავისი დიდი ღირებულება; სინკლერი მასში აგვიშლის მუშა იურგისის ცხოვრებას, ის დაუნდობელი და შეუბრალებელია თვით თავის მიმართაც, როცა ის სამუშაოზეა, როცა ის შრომობს როგორც ცხენი, ის მზად არის ჩაიდინოს ყველაფერი დოლარის მოგებისათვის. ის თავდებული მონაა კაპიტალიზმის. ის შრომას სწირავს უკანასკნელ სისხლის წვეთსაც კი, მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც მარცხდება, მას ართმევენ სახლს, ცოლი უკვდება, თვითონ ის ჰხედავს, რომ მისთვის, როგორც პროლეტარისათვის გამოსავალი მხოლოდ სოციალიზმშია.

რომანმა დიდი მითქმა-მოთქმა, დიდი ამბავი გამოიწვია. სინკლერზე მაშინ მთელი ქვეყნის პრესა ალაპარაკდა.

რატომ მოხდა ეს ასე? გაზეთებმა ამხედრდენ იურგისის ბედის გამო? მათი მღელვარება გამოწვეული იყო იურგისის ბედით? არა, საზოგადოებამ და პრესამ ყურადღება მიაქციეს იმას, რომ ჩიკაგოში ცუდი ხორის კონსერვები და ხორცეული პროდუქტები მომზადებოდა. მე ვუმიზნებდი საზოგადოების გულს. და უეცრად მუცელში მოვხდი განაცხადა სინკლერმა ამ რომანის შესახებ, რატომ მოხდა ეს ასე? რატომ ვერ მიაღწია რომანმა მიზანს? ამის პასუხს ჩვენ ვპოულობთ ლენინის განმარტებაში სინკლერის შესახებ. ლენინმა მას „სულის სოციალისტი" უწოდა. ეპტონ სინკლერი მიისწრაფის იქითკენ, რომ აღძრას სიბრალული მუშათა



ჯონ დოს-პასოს

კლასისადმი, გამოიწვიოს მისდამი თანაგრძნობა, ეს მაშინ, როცა პროლეტარიატს არაფრად ესაჭიროება მისი დამმონავებელთა სიბრალული, პროლეტარიატს აქვს ბრძოლის საკუთარი გზა და ბურჟუაზიული ქალბატონებისა და ფილანტროპების სიბრალულს მათთვის ზიანის გარდა არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეუძლია. ეს ესმის ეპტონ სინკლერს. თავის უკანასკნელ წიგნში „გამოსავალ გზა"-ში. ის არწმუნებს მილიონერს, სწორედ მიაგნო, ნახა დასარწმუნებული. ხვალი ისმენს და სჭამს, ახლა სინკლერი თავის პირვანდელ პოზიციასაც კი სთმობს, მისი უკანასკნელი თხზულებანი მეტად შემთანხმებლურია, ახალი ადამიანები უკვე ლაპარაკობენ იმას, რისი თქმა მიატოვა შემოქმედმა სინკლერმა.

აქ პირველ რიგში უნდა დავაყენოთ შერვუდ ადერსონ. ანდერსონ ამერიკის საუკეთესო ნოველისტია, და ყველაზე უფრო მწუხარე ვიტყოდით ჩვენ. 1919 წ. გამოქვეყნებული მისი წიგნი „უაინსბურგ ოგაიო"ეს სასოწარკვეთილი კვალია. ანდერსონ ... პატარა მეშჩანებს, წვრილ მწარმოებლებს, ვაჭრებს, მასწავლებლებს ... ისინი ცხოვრობენ საშინლად, ... ანდერსონის მოთხრობის ... „არაფრისგან არაფრისაკენ". ისინი გასრესილი არიან ცხოვრებისაგან, ისინი ცხოვრებაში არავითარ პროგრესს, არავითარ სიხარულს არ ჰხედავენ, ისინი იხრჩობიან როგორც მხრჩოლავი ვაზის ღრუბლებში მოქცეულნი, ისინი ცდილობენ ნიადაგის მოსინჯვას სიყვარულით, მაგრამ ეს მხოლოდ აძლიერებს მათ ტანჯვას. ისინი მარტონი არიან, ვით უკანასკნელი ადამიანები მიწაზე—მათი ხვედრი სასოწარკვეთაა, ხოლო სიცოცხლე კი საშინელება, სიბნელე, ტანჯვა.

ეს სრულიად გამოუსავალი მდგომარეობით შექმნილი გაჭყობილებანი, უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში ანდერსონში იცვლება სრულიად სხვა განწყობილებით, მხატვარი უკვე გრძნობს ნიადაგს, მის თხუზულებაში იმედითა და ხალისით სავსე ჰანგები გაისმა.

შერვუდ ანდერსონმა მონაწილეობა მიიღო ამსტერდამის ომის საწინააღმდეგო კონგრესში. ის გამოდის საბჭოთა კავშირის დამცველად. მისი რომანი „სურვილების გადაღმა" (რუსულ თარგმანს უახლოეს ხანში გამოსცემს გამომცემლობა „გიხლ"), მთლიანად მიძღვნილია ამერიკის მუშების ყოფაცხოვრებისადმი. ანდერსონ, რომელიც წლების განმავლობაში იყო დაღუპვის გზაზე შემდგარი ხალხის მხატვარი მიმართავს ახალ სიცოცხლის მშენებელთ.

შერვუდ ანდერსონ ახალ გზაზე გავიდა, მან იპოვა ჩიხიდან გამოსავალი. ეს არ შეიძლება ითქვას სინკლერ ლიუსიზე, რომელიც წარმოადგენს მეტად ნათელ და თავისებურ მხატვარს და რომელსაც ალბათ უეჭველად იცნობდენ ჩვენი მკითხველები. სინკლერ ლიუისი ცნობილი გახდა, როგორც დიდი რომანის „მთავარი ქუჩა"-ს ავტორი. მან აიღო პროვინციალური ქალაქი და გადმოგვიშალა აქ მცხოვრებთა გრძნობები, განცდები, მოქმედება და აზრი. ამ ხალხისათვის მთავარია ფულის შოვნა. მათ არ გააჩნიათ არავითარი სხვა მოთხოვნილება, სხვა ინტერესი, არავითარი სხვა სულიერი საზრდო არა აქვთ ამათ. ამ დამდგარ ჭაობში ვარდება ინტელიგენტი ქალი კეროლ კენიკოტ. მას უნდა რაღაც გააკეთოს, ჭაობში ჩნდებიან რაღაც აშმორებული ბურთულები — მაგრამ ფინალში თვით კეროლი მარცხდება და ტიპიური ობივატელი ხდება.

სინკლერ ლიუის ამ რომანით გამოირჩევა, როგორც მწერალი სატირიკოსი, ის დაუსარტყმელად ირჩევს საზოგადოების ყველაზე უფრო მტკივან ადგილს.

„ბებბიტ"-ში ლიუის ჰქმნის სტანდარტული ბურჟუას სახეს, რომელიც უფერულია ისე, როგორც სხვა ყველა საქმოსნები, მასაც ისევე უყვარს ფული, როგორც სხვა მის კამპანიონებს, ისიც ისეთივე კოსტუმს ატარებს, როგორსაც სხვა ბურჟუები, ჰყავს ათას სხვა ქალების მსგავსი ცოლი და სხვ. ბებიტი ჰგავს ყუთში ჩაწყობილ წუმწუმის ღეროებს, რომელიც ძნელი გასარჩევია ერთიმეორისაგან.

შემდეგ ლიუის აკრიტიკებს სამეცნიერო ინტელიგენციას, („ეროუსმიტს"), რელიგიას („ელმერ განტრი"), მაგრამ მისი პროტესტის შუბი თანისთან ჩლუნგდება, ის იმეორებს ერთსა და იმავეს, ახალ სიტყვას ვერ ჰპოულობს ის. სინკლერ ლიუისმა ვერ მონახა ისეთი გმირი, რომელიც განასახიერებდა ნამდვილ პროტესტს. რამდენიმედ მისი წინანდელი სატირული შტრიხები არის მის უკანასკნელ რომანში „ანა ვიკერს", მაგრამ ეს მხოლოდ უბრალო ნიშნის მოგებაა და სხვა არაფერი.

დოს-პაროსს არის თანამედროვე ამერიკის ერთ-ერთი დიდი მწერალი; ის ნამდვილი და გულწრფელი მეგობარია საბჭოთა კავშირის. სამწუხაროდ, ის მეტად გატაცებულია ფორმალური ძიებით, ის ძალიან ბევრს მოიგებდა, რომ უფრო ნათლად და გარკვევით გადმოგვცემდეს ამერიკის სინამდვილის უდიდეს ცოდნას, რომლითაც ის არის დაჯილდოვებული.

ამერიკის ლიტერატურას თავის რიგებში ჰყავს მუშათა კლასის წარმომადგენლებიც, რომლებსაც ესმით სინამდვილე, რომლე-

ბიც ცდილობენ გვიჩვენონ ამერიკის ცხოვრება ისე, როგორც ის არის.

ეს არის მაიკლ ჰოლდ. მან დასწერა მთელი რიგი მოთხრობები და მშვენიერი წიგნი „ღატაკი ებრაელები“ — რომელშიაც გადმოშლილია ნიუ-იორკის ღარიბ ებრაელთა ცოცხალი და ნამდვილი ცხოვრება.

შემდეგ არის მერი ხიტონ ვორს, რომლის რომანი „გაფიცვა“ ნათელ ფერადებით გვიხატავს სამხრეთ ამერიკის ფეიქართა ყოფა-ცხოვრებას. აქვე არის მაირა პიჯ, რომელმაც თავის რომანში „ქარიშხალი ახლოვდება“ — ყურადღების ცენტრში დააყენა მუშის ოჯახი. ამ ავტორმა ბრწყინვალედ შესძლო მუშის მიერ ფერმიდან ფაბრიკამდე გავლილი გზის გადმოცემა.

არიან აგრეთვე მთელი რიგი სხვა მწერლები და პოეტები, რომლებიც შემოკრებილნი არიან ჟურნალ „ახალ მასების“ ირგვლივ, ეს ჟურნალი წარმოადგენს ამერიკის რევოლუციურ მწერლებსა და ინტელიგენციის ორგანოს.

საბჭოთა მწერლები ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდენ ამერიკის კულტურისა და მწერლობისადმი. ამერიკასა და საბჭოთა კავშირს შორის ნორმალურ ურთიერთობის დამყარება ჰქმნის ახალ პირობებს ამ ორ ქვეყანას შორის ამ დამოკიდებულების უფრო გაძლიერებისათვის. ამერიკაში დიდი ინტერესით შეხვდენ „ბრუსკოვი“-ს, „განადგურება“-ს, „რკინის ნიაღვარი“-ს და სხვ. საბჭოთა მწერლების თხზულებათა გამოსვლას.

ეჭვს გარეშეა, რომ ეს ახალი ინტერესი მონახავს ახალ გამოსავალ გზას და ამერიკასა და საბჭოთა კავშირს შორის უფრო განმტკიცდება კულტურული ურთიერთობა.

# კ ა ვ კ ა ს ი ი ს ტ ყ ვ ე

## ა. პ უ შ კ ი ნ ი

### ნაწილი მეორე.

შენ, მთის ქალწულო, ცხოვრების სიტკბო
და აღტაცება იცან ფარული
და მაგ უმანკო, ცეცხლმფრქვევ თვალებში
სინთო ტრფობა და სიხარული.
როდესაც ღამის ცრუ სიჩუმეში
შენ მეგობარი გწვავდა ამბორით,
სინაზით სავსეს, ქვეყნიერება
გავიწყდებოდა, ასე ამბობდი:
„ძვირფასო ტყვეო, გამხიარულდი
და განარიდე მწველ თვალებს სევდა;
მომეყრდნე მკერდზე და დაივიწყე
თავისუფლება, სამშობლო, დედა.
ახ, სულის მეფევ! მზად ვარ გავიქცე
თუნდ უდაბნოში შენთან ფარულად;
გიყვარდი; არავის ჯერ ჩემ თვალთათვის
არ უკოცნია; არ მოპარულა
ჩემს სარეცელთან ჩუმად ჩერქეზი,
ნორჩი, შავთვალა, განთქმული მთებში;
მთვლიდენ სასტიკ და მიუკარებელ
ლამაზ ქალწულად აულის მთებში.
მაგრამ გადაწყდა დღეს ჩემი ბედი
და ჩემი ყოფა ბეწვზე ჰკიდია:
მკაცრი მამა და ულმობელი ძმა
ჩემთვის საძულველ კაცზე მყიდიან
ოქროს ფასად და უცნობ აულში;
ეს მიკლავს გულს და მიკიდებს ხანძარს;
მაგრამ ძმას, მამას შევევედრები...
ან და ვიშოვი შხამს, ან ბასრ ხანჯალს!
რა ვქნა, ძვირფასო, მიყვარხარ ასე,
რომ ვერ გშორდება გული და თვალი;
რაღაც ჯადოსნურ ძილით მიზიდავ;
ყველგან, ყოველთვის შენით ვარ მთვრალი“
მაგრამ ის ნებით სავსე ქალწულსა
უცქერდა მუნჯურ სიყვარულითა,
და, დატვირთული მძიმე ფიქრებით,
ყურსა უგდებდა სიბრალულითა.
მოგონებანი წარსულთა დღეთა
თავდავიწყების ღრუბლად ებურა...
და ერთხიო ცრემლიც კი გადმოსცვივდა
ღრმა თვალებიდან სეტყვისებურად.
ჰმუნვა უსასო სიყვარულისა
გულში, ვით ტყვია, ედო მდაღველო...
და, ბოლოს, ქალწულ ქალის წინაში
დალარა სულის მთელი ნაღველი:
„ახ, დამივიწყე!—არა ვარ ღირსი
შენის ტრფობისა და აღტაცების;
ნუ ღუპავ ჩემთვის უკეთეს დღეებს;
სჯობს სხვას მიუხმო, რომ გატაცებით
ჩემი მწუხარე გულის სიცივე
შესცვალოს ტრფობის გიჟურ ალერსით:
ის გიერთგულებს და დააფასებს,
ჭაბუკურ გრძნობით უმწვერვალესით,
შენს სილამაზეს, ნაზ გამოხედვას
და ცეცხლს ქალწული—ამბორებათა;
მე კი, უსასოდ, უსურვილებოდ,
დავსჭკნები, როგორც მსხვერპლი ვნებათა.
ხომ სჭვრეტენ უიღბლო სიყვარულის კვალს,
სულიერ ღელვის საშიშ იარით?
დამტოვე, მაგრამ გებრალებოდე,
გახდი ჩემ ჭირთა თანაზიარი!
მე, მეგობარო, სვებედ დამწვარო,
რად ვერ გიხილეს ჩემ თვალთა მაშინ,
როცა იმედებს ბრმად ვენდობოდი
და დავფრინავდი ოცნების რაშით!
აწ გვიან არის... ნეტარებისთვის
მკვდარი ვარ უკვე და დაკარგული:
გადაეჩვიე ხორციელ ტკბობას
და ნაზ გრძნობისთვის გაქვავდა გული“.

„რა მძიმე არის მკვდარ ბაგეებით
უპასუხებდე ცოცხალ, ნაზ ამბორს
ცივი ღიმილით ხვდებოდე ამ დროს!
რა მძიმე არის, ჰვით დახრული,
უგრძნობო სულით, დუმილით სავსე,
მეგობარ ქალის ვნებიან მკერდში
მაგრად ჩაკრული, ფიქრობდე სხვაზე“!
„როს ასე ნელა და ასე ნაზად
ხვამ ამბორს ჩემსას, ცეცხლის მომდებლად
და სიყვარულის წამებს, შენთვის
გარბიან სწრაფად, აუშფოთებლად,—
მე, დაჰნეული და უნუგეშო,
ვყლაპავ რა ჩუმად ცრემლებს საზარელს,
ვხედავ თვალწინ, როგორც სიზმარში,
სახეს ძვირფასს და მუდამ საყვარელს;
იმას მოუხმობ, მისკენ ვისწრაფი;
ვსდუმ როს ვერ ვხედავ, სევდას ვეხვევი,
შენთან ვეძლევი თავდავიწყებას
და საიდუმლო ლანდს კი—ვეხვევი.
მათთვის ვღვრი ცრემლებს უდაბურებში,



თან დამსდევს მუდამ, ვითარცა ლანდი,
და ჩემს დაჭრილს და დაობლებულ სულს
ავსებს კაეშნით და მძიმე დარდით“.
რას აქნევ ამ ჩემს ჟანგიან ბორკილს,
ფიქრს, მოგონებას, ცრემლს და „იარებს“
ეს ყოველივე მე დამიტოვე.—
ვიცი შენ ვერ გაიზიარებ.
ხომ მოისმინე აწ ალსარება
დაკოდილ გულის, ღია და წრფელი?
მშვიდობით!.. ერთხელ კიდევ მომეცი
უკანასკნელად ეგ შენი ხელი.
ქალის გულს დიდხანს გაყვება განა
გაყრის სიცივე, ჰმუნვით ნახაზი?
გაივლის ტრფობა, მოვა მოწყენა
და შეიყვარებს ისევ ლამაზი“.
უხმოდ, უცრემლოდ ატირებული,
განცვიფრებული იჯდა ქალწული
და უმოძრაო იმის თვალებში
ღრმა სამდურავი იყო ჩაწნული.
როგორც აჩრდილი, გაფითრებული,
მთლად ცახცახებდა და მისი ხელი,
ქვასავით ცივი მიჯნურს ეჭირა..
ბოლოს დაირღვა დუმილი გრძელი
და კაეშანი სიყვარულისა
გადმოიღვარა, მძიმე და მწველი:
„ახ, რუსო, რუსო, რატომ დაგნებდი,
როს არ ვიცოდი ეგ შენი გული!
განა შენს მკერდზე დიდხანს სტკბებოდა
თავდავიწყებით ქალწულის სული?
მოვლენ ისევე მზე ღამეები,
სავსე ხალისით და სიყვარულით,
თუ სამუდამოთ დაღუპულია
ჩემთვის ალერსი და სიხარული?!
ახ, ჩემო სიყრმევ, გამოუცდელო,
ტყვევ, ცრუ ალერსით ნეტა გაგერთო.
თუნდ მარტოოდენ სიბრალულისთვის...
ეს საიდუმლო კი არ გაგენდო!
მაშინ რა ნაზად, რა მზრუნველობით
დავიტკბობდი ხვედრს, გაკრულს ხუნდებში;
გიდარაჯებდი ტანჯულ მეგობარს
მოსვენების და ძილის წუთებში;
ეს არ ისურვე... მითხარი მაინც,
ვინ არის შენი ლამაზი სატრფო?
რუსო, შენ გიყვარს? ჩემთვის გაყინულს,
შენ გულს შორიდან სხვა სახე ათბობს?
ეხლა ცხადია ჩემთვის, თუ რატომ
ეძლევი ტანჯვას, უსაზღვრო წუხილს..
მომიტევე მეც და ნუ დასცინებ
ამ ჩემს კაეშანს და სულის დუღილს“.
დადუმდა, ტანჯულ ქალწულის მკერდზე
ცრემლი და ოხვრა სწვავდა, ხუთავდა,
მისი ბაგენი საყვედურს უხმოდ
დუდუნებდენ... და ძლივსღა სუნთქავდა
ღრმად მოხვეული სატრფოს მუხლებზე,
ეგდო უგრძნობოდ, ბოლმითა სავსე.
მაგრამ, ტყვემ, წყნარად მოხვია ხელი
წამოაყენა და უთხრა ასე:
„ნუ სტირი! მეც ვარ დევნილი ბედით,
გულსაც უცდია წამება მკვეთრი.
მე არ ვიცოდი ტრფობა სხვაგვარი,
ვკვნესდი ერთისთვის, მიყვარდა ერთი.
და ჩავქრები, ვით ალი მბოლავი,
დავიწყებული ტრამალებს შორის.
ჩემთვის სანატრელ ნაპირებიდან
განმარტოებით მოკვდები შორს,
კუბოდ მექნება ეს უდაბური
და აქ, განდევნილ ჩემს საწყალ ძვლებზე
დაიჟანგება მძიმე ბორკილი,
ვით ხალტე ურმის მიგდებულ თავლებზე“.
დაბინდდა, მაგრამ ჯერ ისევ ჩანდენ
თოვლიით ნაფერნი მთათა რკალები.
ისინი ურთერთს თავჩაქინდრულნი
გაშორდენ უხმოდ, დახრილ თვალებით.
განთიადს მოსდევს სხვა ახალი დღე
და ღამეს ღამე უკან მისდევს.
ტყვე კი, მწუხარე, აულთ გარშემო
დადის და თვის დარდს კლდე-ღრეთ
უყვება.
როგორ სწყურია თავისუფლება!
როცა ბუჩქებში ნაზ ნიამორის
ელვებს სახე, ან ჯეირანი
გარბენს ბნელში ნიავის ქროლვით,—
ის აინთება და მის ფეხებზე
აჩხარუნდება ბორკილი, მღრღნელი;
ყურს უგდებს: ხომ არ მოიპარება,
ყაზახი.. მაგრამ ირგვლივ დუმილი;
აული მრჩევლი და მონათ მხსნელი,
მხოლოდ ტალღების იმის ტლაშუნი
და, როს კაცის სუნს იკრავს, ნადირიც
გარბის საქმე აქვს თითქოს საშური.
ერთხელ გავარდა ომის ხმა მთებში:
გარბის, საქმე აქვს თითქოს საშური.
„ჯოგისკენ ყველა! ჯოგისკენ ყველა“!
ატყდა ხმაური; მირბი-მორბიან;
და ჩხარუნებენ ლაგმები ყველგან;
ბოიყრიანებს აქ ჯარი; მხტიან ცხენები;
და იშლებიან შავად ნაბდები:
უკვე მზად არის მთელი აული
თავდასხმისათვის თავის ხანდებით..

და ველურები, ომში ალზრდილნი,
მდინარეხავით დაეშვენ დაბლა;
ეკვეთენ ყუბანს — ძალმომრეობით
რომ შეაგროვონ ხარკი და დავლა.
ხიწყნარე არის აულში დიდი,
მზის ყურზე სძინავთ სახლთა მცველ ძაღ-
ლებს;
შავგვრემანნი და შიშველნი ბავშნი
ხტომით, ხმაურით უვლიან სახლებს;
მათი პაპები დამსხდარან წრეში;
ასდით ჩიბუხებს მოლურჯო ბოლი;
უსმენენ ქალწულთ შაირ-სიმღერას
და უცემთ გული ჭაბუკურ თრთოლით

**ჩერქეზული სიმღერა**

1.

ჰრბიან ზვირთები ჩქერით, გრიალით,
ლამის სიჩუმე აკრავთ მთებს შუბლზე;
ყაზახს, დაქანცულს ბევრი წრიალით,
წასძინებია, დაბეჯენილს შუბზე.
ნუ სთვლემ, ყაზახო, ბნელაში ნდობით:
ჩეჩენი დადის წყალგაღმა თოფით.

2.

სცურავს ყაზახი ტალღებზე ნავით,
მდინარის ფსკერზე ბადეს ატარებს;
ფხიზლად, ყაზახო, თუ გიყვართ თავი,
თორემ, ვით ჩქერში ბავში პატარა,
დაიღუპები უჩინარ მტრობით:
ჩეჩენი დადის წყალგაღმა თოფით.

3.

აღთქმულ წყლის პირას, ფერდობზე ხევის,
გაშლილან ყაზახთ სოფლები ჯარად;
ქალები ერხულს უვლიან რხევით....
ახ, მომღერალნო, შინისკენ ჩქარა!
ფრთხილად, ლამაზნ, დამთვრალნო ტრფო-
ბით:
ჩეჩენი დადის წყალგაღმა თოფით.

ასე მღერიან ქალწულნი. რუსი
ზის და იგონებს დაღუპულ სიყრმეს.
გაქცევას ფიქრობს; მაგრამ ბორკილი
მძიმეა, როგორც მდინარის სიღრმე.
უკვე დაშყარა ღამემ ბინდები;
კლდეთა მწვერვალნი ბნელმა დაჰფარა;
სძინავთ მინდვრებს და თეთრ ქოხებს
მთვარემ
მრთალი ნათელი გადააფარა;
სთვლემენ ირმები ცივ ნაკადულთან;
მთებში არწივის მისწყდა ყივილი.
და ისმის მხოლოდ შორი მთებიდან
ჯოგის ფეხთა და ზუს კივილი.
ამ დროს ვილაცის გაისმა ჩქამი,
თეთრი მანდილიც გამოკრთა ტყესთან,
და, გულმწუხარე, გაფითრებული,
მიუახლოვდა ქალწული ტყვესა.
ლამაზის ტუჩნი სიტყვებს ეძებენ,
თვალნი სავსე აქვს სევდით უჩვევით
და შავ ტალღებათ ეცემა მხრებზე
თმები, ლამაზად ნახუჭუჭევი.
იმის ცალ ხელში ხერხი ელვარებს
და მეორეში—ხანჯალი მკვეთრი,
თითქოს ქალწული საომრად მიდის
საიდუმლოდ და გაბედვით მხედრის.
„ჭაბუკეც!" უთხრა მან მთის ქალწულმა
და შეანათა ტყვეს ღრმა თვალები:
„იჩქარე, ძვირფას წამებს ნუ კარგავ,
ვიდრე გვარტყია ღამის რკალები;
ერთი ჩერქეზიც არსად შეგვხდება,
შენ კვალს ვერავინ შენიშნავს ბნელში;
ჰა, ეს ხანჯალიც თანვე წაიღე —
გამოგადგება". და მისცა ხელში.
ხელის კანკალით ასწია ხერხი
და მის ფეხსთან ღრმად დაიხარა:
აწივლოდა რკინა . და ფრიბურად
ცრემლიც მოსწყდა თვალს და დაიღვარა;
წუთიც და—ჯაჭვიც, ქანგმოდებული,
ჩაეცა ძირს და გრგვინით ჩხარა.
„თავისუფალი ხარ უკვე, ტყვეო",
უთხრა ქალწულმა „გაიქეც ჩქარა"!
მაგრამ შეშლილი მის თვალთა ხედვა
ტრფობის საშინელ ცხადად ხატავდა.
იტანჯებოდა. ქარი წივილით
ახვევდა მანდილს და შიგ ხლართავდა.



„ო, მეგობარო!" შესძახა რუსმა,
კუბოს კარამდე შენი ვარ, შენი!
წამოდი ჩემთან, გავიქცეთ ერთად,
დავსტოვოთ მხარე, ეს საშინელი".
მიუგო: „არა, ძვირფასო, რუსო!
ცხოვრების სიტკბომ მარიდა თვალი..
ჰო, მეც ვიცოდი მზე სიხარული,
მაგრამ დღეს მისი არსად სჩანს კვალი:
შესაძლო არის, შენ სხვა გიყვარდეს"...
წადი იმისთან, მას ეტრფიალე!
მე კი...ახ, მე კი რა მაქვს სადარდო?
უკვე დავსცალე ტანჯვის ფიალა".
მშვიდობით! ტრფობის ლოცვა-კურთხევა,
შენთან იქნება ყოველ ჟამს, წრფელი;
მშვიდობით! ჩემი ტანჯვა-წამება
დაივიწყე და მომეცი ხელი"
ტყვემ გაუწოდა რა ქალწულს ხელი,
გაცოცხლდა სულით, გაცოცხლდა ხორცით
და სიყვარულის წმინდა კავშირი
ალბეჭდა გაყრის ხანგრძლივი კოცნით.
და ხელი ხელში, სავსე ღმუნვითა,
მიადგენ ნაპირს, მთვარისგან ნალებს,—
და აი, რუსი, უკვე მიარღვევს
მშფოთავ სიღრმეს და აქაფებს ტალღებს;
ის უკვე მიწვდა მოპირდაპირე
კლდეებს და მარჯვედ ხელს ავლებს კი-
დეც..
უცებ ტალღები ყრუდ ახმაურდენ
და მოსწყდა კვნესაც შორეულ კიდეს.
გავიდა გაღმა და მოიხედა,
განვლილი სივრცე გაზომა თვალით:
მოსჩანს ნაპირი და თეთრი ქაფი,
მაგრამ არსად სჩანს ჩერქეზის ქალი.
სუყველაფერი მკვდარია.. მხოლოდ
ისმის ნიავის სისინი ნელი
და მთვარის შუქზე მჩქეფავ წყლის მკერ-
დზე
ჰქრება ჭავლი და რგოლების ქსელი.
ყველაფერს მიხვდა... უკანასკნელად
მოავლო თვალი, მთებს თოვლს ქვეშ დამ-
რილს,
ცარიელ აულს და მის ყორეებს,
მინდორ-ველს, სადაც მწყესავდა ნახირს,
ციცაბო კლდეებს, სად მძიმე ბორკილს
დაათრევდა და სიკვდილს ელოდა,
როცა პირქუში ჩერქეზი მთებში
თავისუფლად და ლაღად მღეროდა.
იცრიცებოდა ცაზე სიბნელე,
მიწა შავნაბადის იხსნიდა მხრიდან,
დღე მიდიოდა და განთიადი
ცისა კიდურზე ფერადებს მჰფენდა.
ტყვე მიჰყვებოდა ბილიკს.. ბურუსში
უკვე ელავდენ რუსის ხიშტები
და ყაზახები საგუშაგოდან
ხმასა აძლევდენ ურთიერთს ნიშნებით

თარგმანი:
**ვარლამ რუხაძის.**



**საბჭოთა კავშირში 100 ბრძმედი ამ [illegible] წინ**

კუზნეცის მეტალურგიულ ქარხნის მესამე ბრძმედი გასაშრობად დადგა. ბრძმედი ამუშავებული ამ დღეებში და ის დღე და ღამეში მოგვცემს 1200 თუჯს. სურათზე: კუზნეცკის ქარხნის მესამე ბრძმედის მონტაჟი.

ფოტო: სოიუზფოტო.

# ახალგაზრდა მწერალთა გვერდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რიონის პირას

აი დავტოვე გორაკი ვანის
სილორის პირზე მდებარე დაბა,
ჰალებზე იყო სიცხე და ქარი
და ფრიალებდა გოგონას კაბა.
რიონის პირას სანაოს ქოხი
იდგა დარაჯათ მწიფე ყანების,
სანაოდან კი შემოგვცინოდენ
მზის ფერნარევი გლეხის ქალები.
ისინი ხდიდენ სიმინდის ქუჩებს
შიშველი ტარო გოდორში ჩანდა
გაელვარებულ სიმინდის ფერებს
ეფარებოდა ლამაზი კალთა.
ქალს რომ კალთა დაესვრება
ბინძურია, რძლად არ ვარგა,
ქალო უნდა შეინახო
მეტად სუფთად კაბის კალთა
ქალის სული კალთაში სჩანს
ვაჟის სული საყელოში
ასე მღერიან ეხლაც სოფლებში
მღვრიე რიონის მარცხენა მხარეს,
ასე მღერიან და მიდენიან
ოროლობეებში დატვირთულ ხარებს.

***

დაგვხვდა გოგონა კრიალა კალთით
ჰალების პირზე სიმინდს რომ ტეხდა
შეერთებულა ღარიბი ხალხ
და დასძახიან სიმღერას ერთად.
იშვა იმღერა: ოფლში, შრომაში,
ბრძოლებით გზას, რომ იკვლევდა კაცი
ის გასძახოდა საუკუნოებს
და მოითხოვდა საკუთარ ნაწილს.
დაკრეს ზარი და თვითონაც იგვრძნეს
ზარი ვერ ჰრიდა მიწას სიღრმემდე
სთქვეს.—შევიკრიბოთ და შეიკრიბენ
აფრიალებდენ ხელში იმედებს.
ჩადგა გოგონაც ამათ რიგებში
ხალხს მოემატა ღონე და ძალა
ხან შეერთებულთ ხარებს მიუძღვის
ხან კი საკუთარ საზოსტნეს ბარავს.
ჩაიტანს მწვანილს გაშლილ ჰალებში
სიმინდის ძირში ჩაჯდება კაცი
შეჭამს—მოლესილ წითელ ლობიოს
და გამაძღარი გახედავს მანძილს
მანძილს ბოლომდე ფარავს ყანები
ღერო ვერ უძლებს სიმინდის ტაროს
ამოქოჩრილა ლობიოს ბუჩქი
პარკში იმედის კაკლებით ხაროზს.
გორაკი ვანის, ლამაზი სერი
გაშენებული სილორის პირას.
გადმოვიარეთ თან მოგვყვებოდა
მზითა და ქარით პირსავსე დილა.

**მამია ახათიანი**

## პურის ბარაქა

ყინვის ნაკვეთით აწვდენილა
ცაში ბორბალა,
ლამაზ კახეთის იალბუზი
თეთრი რძიანი,
ურემს მიუძღვის,
იზოტოვი გმირი კომბალა,
და მოსავალი მოგუგუნებს
ბარაქიანი.

—:—

ყანა ოქროსფერ თავთავით
სავსე,
ელის ქარავნებს სოფლის
ურმებით,
და ალტაცებას,
ყიჟინას გზაზე
შესდგენ გმირები
სალამურებით.

—:—

მოვალთ მოსავლის
ქარავანებით
ახალ მიღწევით.
სწრაფად მავალი,
ჩვენმა ბრიგადამ
შრომის ძალებით
დროშა მიიღო
გარდამავალი

—:—

ბინდი დაეშვა
[illegible]

ღამემ ჩრდილები
წამოიბურა,
ამოკიაფდა გორაკზე
მთვარე
და ღრუბელს თავზედ
გადაეხურა.

—:—

აქ იყო ჯველა
ხარობდენ ლხენით
ტრამალს ესროდა
მზე სხივთ ნაპერწკლებს.
— ვაშა კომბალავ
— ჭირიმე შენი
— შენი გმირობა სხვებსაც
აქეზებს.

—:—

ლობეს ჩარდახით ურემი
გასდევს,
ძგერს და მომავალს
მოუხმობს გული,
წითელ ქარავნებს
მიჰყვება გზაზე,
სოციალისტურ მინდვრების პური.

—:—

და ალაზანი...
ჩქრიალებს მდორედ,
ნაპირებს მთვარის
სხივები დასცქერის,
პურის მოსავლის
ოქროსფერ გორებს
იგი მდუმარედ
დაჰყურებს თავზე.

—:—

მოსავლის ზეიმს
უხვ პურის მარაგს,
ტრანსპორტიც ელის
სადგურის გულით,
და ორთქლმავალი
აცნობებს ქალაქს
რომ კოლექტივის
მოვიდა პური.

—:—

ივსება გზები,
ხორბალის ტევრით
და დატვირთული
რონოდა ხვნეშის
ტრიალ მინდვრებზე
ტრიალებს კევრი
არტელს კომუნა
უდგება მხრებში.
ლობეს ჩარდახით.
ურემი გასდევს,
ახალ მოსავალს
მოუხმობს გული,
წითელ ქარავნებს
მიჰყვება გზაზე,
სოციალისტურ
მინდვრების პური..

**ავთანდილ კაშმაძე.**

## შენ ხარ ეპოქის პირველი კაცი

თოვდა, ციოდა, იყო ქარბუქი,
გრიალი იყო ყრუ საშინელი,—
დგას მეომარი ტყვიების ურჩი
ტყვიის წვიმებში გულდამშვიდებით!

აქ მკლავებს გმირულს ვაჟკაცურს, მედგარს
ტყვიისგან ცეცხლი გაუჩენია,
მას უკვდავების ძეგლი დაედგა
ვისაც გზა ბრძოლის აურიევია.

თქვენ გადიტანეთ ბრძოლები ბევრი,
გულყარან მტრებსაც თავზარი დასცი,—
გამარჯვებული სდგას ოქტომბერი
და ოქტომბრისთვის მებრძოლი კაცი!

შენი ცეცხლის ხმა მიმოდიოდა
მაინც ზღვა გულში ამქუხარებით;
ტყვია და ტყვია: სისხლი დიოდა
ქუჩას ბრძოლების სიმხურვალეში!

ეხლაც გმირი ხარ კვლავ უშიარი,
აღარ გსდევს ახლა ტანჯვა-გოდება,
დაზგასთან დგახარ,—ლვედის შრიალში
ვაჟური ბრძოლა მოგაგონდება.

თუ ისევ გაჩნდა ომი გულმავი,—
საბჭოთა ქვეყნის საზღვრების გასწვრივ,—
მშრომელი ხალხის რიგები გუშაგი
როგორც პირველი მებრძოლი კაცი!

დროშ გაიკრა ქუხილით, გრგვინვით,
დღენი გარბოდა ვით ორთქლმავალი,
მშრომელი ხალხის შენ დარჩი გმირი,
და შენთან ერთად სხვები მრავალი!

მებრძოლი იყავ—გულუშიშარი
ხელში გეჭირა თოფი და ბომბა;
დაზგასთან დგახარ ღვედის შრიალში
ისევ აბრუნებ დაზგის ბორბალს.

**კონს. ჭანტურიშვილი.**

## სალექის გორი *)

სალექის* გორო გამშვენებს
ხე-ტყის სუნი და ფერიო.
გვირგვინსა გადგმენ ყვავილნი
ბექებს გიმკობენ კლდენიო.

გმოსავენ მწვანე ბალახნი,
ქვებზე გაკრული ხავსიო.
ფრინველებისა გალობა
თან შევარდენის ქარიო.

ხელმს აფარებ ნადირებს
გამშვენებს მათი დედობა
გასიპულ კლდის გვერდს ჩაგიდის
ზაქარიების ხეობა.

სალექის გორო, გადრავენ
კლდეში გაჭრილი შარები,
ახალი მზის ქვეშ შუშდება,
წარსულის ნაიარები.

**12 წლის**

**შოთა ქუმსიაშვილი.**

## ჭანდრისუბნელებს

ვდგევარ თუ ვზივარ
მოგონება თქვენკენ მიწევს
სადაც ვიზარდე
დავვაშკაცდი—სახნრების კვნესით
გომბორის კალთებს
აქ მთაწმინდა შეჯიბრში იწვევს
სულ მცირე ხანში
პასუხს გასცემს ალაზანჭესი.
მაშ გატყდეს გული
ახალგაზრდა, რკინით ნაშენი
თუ სურვილები—
სურვილებათ დატოვოს უქმად
შეხედეთ გმირებს
ვაჟკაცობა როგორია ჰშვენით
კუნთებ მაგარნი
შრომის ფრონტზე რა რიგად ქუხან.
მეც ამ ტემპებში
შესული ვარ ვით ზღვაში ნავი
მიჰქირავს თემა,
ლექსში ვადიდებ დამკვრელთ მარჯვენას
აი, ჩვენს მიზნებს
ხომ სცილდება ლაქები შავი
დარწმუნდით ახლა
საბოლოოდ რომ გავიმარჯვებთ;
მთელი ძალღონით
საჭიროა ტემპში ჩარევა
თუ, რომ გვსურს ,
მალე გავაშენოთ მკვიდრი კედელი
დღეს ჩვენი გულიც
ამ მიზნებით მიეჩქარება,
რომ მშენებლობას
სიტყვა მისცეს დაუშრეტელი.

**ილო ალაზნისპირელი.**

---

* სალექის გორი — გორი, რომელზედაც ლექები გადმოდიოდენ ძველად (ერწოს რაიონი).

## ესპანეთის კომპარტია პარლამენ-ტის არჩევნების დროს



სურათზე: სპეციალური ბრიგადა—ბურჟუაზიულ პარტიების მიერ კედლებზე გაკრულ განცხადებებზე აწებებენ კომუნისტურ პლაკატებს არჩევნების დროს.

ფოტო **სოიუზფოტო**.









**ზემოდან ქვემოდ: 1. ძველი მეტეხი—ციხე-საპყრობილე, ამჟამად ხელოვნების მუზეუმი.**

**2. ბაქო—სტალინის რაიონი, ფაბრიკა-სამზარეულო, სადაც მზადდება 50-დან 60 ათასამდე სადილი.**

**3. აბასთუმანი—დასასვენებელი სახლი.**

**4. ქუთაისი—საბავშვო [illegible] მოწაფეების [illegible] კრებაზე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 40 კ.

სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. 68. მთავლიტის რწმ. „ბ" 1987. შეკვ. № 119. ტირაჟი 2.